ჰაერიტრა მედია

ლაღი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 თებერვალი **სამშაბათი** 2011
№042 (13339) ფასი 60 თეთრი

თბილისი 2011

ქალ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი ჩვენია!

1

ევროპის საჭადრაკო კავშირის
პრეზიდენტი სილვიო დანაილოვი

რეალი ჯადოს იხსნის

აჭრილი და დაჭრილი ანჩელოტი კი ფრთხილობს

9

დღეს ჩემპიონთა ლიგაში ლიონი-რეალი და კოპენჰაგენი-ჩელსია

გატუზოს ოთხი მიუსაჯეს

როგორც „როიტერი“ გვატყობინებს, უეფას სადისციპლინო კომისიამ „მილანის“ კაპიტან ჯენარო გატუზოს ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მოგეხსენებათ, ის „ტოტენჰემთან“ წაგებული შეხვედრის შემდეგ უმსგავსოდ მოიქცა და ჯერ ლონდონელთა მწვრთნელ ჯო ჯორდანს სწვდა ყელში, შემდეგ კი სათადარიგო ფეხბურთელებზეც გაიწია.

რანიერის ადგილი არ გაუცია

რომას ვინჩენცო მონტელა დაუნიშნეს



6

ქართული ფეხბურთი

ლაშა ჯაფარიძე: უხარისხო მოედნებმა ქართულ ფეხბურთს სტილი შეუცვალა

ქართველი ფეხბურთელის დარდები

აქა-იქ ბალახი, ბევრგან ბალახი... მიწამ ძალიან დაგვამიწა

გურთით ვიყავი ბეი და ბეგი, რაღა ვარ? ბეი-ბეგი

რუსთავის "ოლიმპის" წევრი ლაშა ჯაფარიძე ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მცველია – ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მას კონტრაქტი საქართველოს პირველობის თითქმის ყველა ლიდერმა შესთავაზა.

"ლელოსთან" ინტერვიუში კი გამოჩნდა, რომ ჯაფარიძე არანაკლებ საინტერესო პიროვნებაც არის. მან ის თემა წამოჭრა, რომელიც საქართველოში ყველას აწუხებს – ლაშას ჩამოყალიბებული მოსაზრება აქვს, რა გავლენას ახდენს ჩვენი გუნდებისა თუ ფეხბურთელების თამაშის სტილზე უხარისხო მოედნები.

- იანვარში ნალჩიკის "სპარტაკში" შენი გასინჯვის შესახებ არაფერი ვიცით. თუმცა გაუგებარია, ეს რა გასინჯვა იყო, როდესაც საკონტროლო შეხვედრაც არ ჩაგიტარებია.

- ნალჩიკელებთან ერთად არათუ არ მითამაშია, არც მივარჯიშია.

- ანუ არ წასულხარ?

- მიწვევა მივიღე, მაგრამ გუნდში არ მივსულვარ. ეს ყველაფერი სწრაფად მოხდა და, ეტყობა, გასასინჯად ჩემი მისვლა წინასწარ ვერ დაზუსტდა და "ოლიმპში" დროულად დავბრუნდი.

- გუნდთან კონტრაქტი როდის გმთავრდება?

- "ოლიმპს" 2012 წლის მაისამდე ვეკუთვნი და აქედან წასვლას არ ვაპირებ.

- ახალი კონტრაქტი გააფორმე?

- "ოლიმპში" ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ ყველა კონტრაქტი გაუქმდა და ახალი გაფორმდა. მეც ახალს მოვაწერე ხელი, მაგრამ ხანგრძლივობა იგივე დარჩა.

- "სპარტაკის" ამბავი გასაგებია, სხვა გუნდი არ დაინტერესებულა?

- შემოთავაზებები იყო, მაგრამ რეალური – არაფერი.

- თბილისის "დინამოს" მიწვევაც არ იყო რეალური?

- "დინამო" მიწვევდა ზაფხულში, ჩემპიონატის დაწყებამდე, ახლა კი არაფერი უთქვამთ.

- დაუბრუნდი "ოლიმპს" და მარცხენა მცველი მარჯვნივ დაგაყენეს. შენთვის უჩვეულო პოზიცია არ არის?

- საერთოდ, ფეხბურთზე შესვლის დღიდან მარჯვენა მცველი ვიყავი, ასე რომ, უჩვეულო პოზიცია ნამდვილად არ არის. სხვათა შორის, "ვიტ ჯორჯიაშიც" ამ პოზიციაზე დავიწყე თამაში, სანამ მარცხენა ფლანგზე პრობლემა არ შეიქმნა და რამაზ მუმლაძემ იქ გადამიყვანა. წარმატებით რომ ვითამაშე, მერე სულ ამ პოზიციაზე მაყენებდა. სხვათა შორის, გახსოვთ კარლოს და რონჩას, დარასელიას, ახალაიასა და ბურდულის დროინდელი "დინამო"? იმ გუნდთან მარჯვნიდან ვითამაშე და ამ შეხვედრის შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებში დამასახელეს. ასე კიდევ რამდენჯერმე მოხდა.

- "ოლიმპი" მეორე ეტაპისთვის, ფაქტობრივად, ახალი გუნდია. ასეთ ვითარებაში ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი აქვს?

- ორი-სამი ტურის შემდეგ თავად დარწმუნდებით, რომ აქვს.

- ასეთი დარწმუნებული ხარ?

- დიახ, რადგან "ოლიმპში" ისეთი ჯანსაღი ატმოსფეროა, რომლის მსგავსიც, ვეჭვობ, რომელიმე სხვა გუნდში იყოს, ეს კი შედეგზე აუცილებლად აისახება. არანაირი დაძაბულობა, ქიშში და პრობლემები, უფროსებით დაწყებული, გუნდის რიგითი თანამშრომლებით დამთავრებული, ყველა ფიქრობს, ფეხბურთელებმა რაც შეიძლება კარგად ვიგრძნოთ თავი.

აპირებენ სერიოზული საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბებას, დუბლებს სერიოზულად აფინანსებენ, მთავარ გუნდზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეკრების თურქეთში ჩატარებაც ბევრზე მეტყველებს, ბოლოს როდის იყო "ოლიმპი" უცხოეთში? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როგორც იქნა, გუნდი ერთ ფორმაში გამოეწყო. არა მგონია, ეს წვრილმანი იყოს, რადგან თითოეული ნიუანსის გათვალისწინება გუნდის სახეს აყალიბებს. აქ ბევრი რამ შეიცვალა და, ბუნებრივია, მოთხოვნებიც გამკაცრდა.

- თუმცა პირველი ორი შეხვედრა არადამაჯერებლად ჩაატარეთ.

- ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან გუნდში იმდენი ცვლილება მოხდა, შესათამაშებლად დრო კიდევ გვჭირდება. მეორეც – მეორე ეტაპზე "ვიტ ჯორჯიაც" და "ტორპედოც" პირველ შეხვედრას ჩვენთან ატარებდნენ და განსაკუთრებული მონდომებით ითამაშეს. ესეც გასათვალისწინებელია. პირველი ტურები კი ნებისმიერ მეტოქესთან რთულია, მით უფრო, ამ კლუბებთან. როდესაც უეჭველი მოგება გსურს, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფები და თამაში ძნელია. ორივე მეტოქის მიზანი იყო, არ წაეგოთ. "ვიტ ჯორჯიას" კი მოვუგეთ, მაგრამ "ტორპედოსთან" შეცდომები დავუშვით და კინაღამ დავისაჯეთ. მართალია, გოლში გაგვიმართლა, მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდება, ფეხბურთში ძლიერებს უმართლებთ. ისედაც, არა მგონია, ორ შეხვედრაში ოთხი ქულა იმ გუნდებთან, რომლებსაც ძლიერი შემადგენლობები ჰყავთ, კატასტროფა იყოს.

- "ოლიმპის" თამაში შეიცვალა. ამაზე რას იტყოდი?

- ყველაზე თვალშისაცემი ისაა, რომ სწრაფი ფეხბურთის თამაშს ვცდილობთ და ბურთს უაზროდ არ ვიგერიებთ. თუმცა თურქული მოედნების შემდეგ საქართველოში ძალიან გაგვიჭირდა და ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, არადამაჯერებლად თუ გამოვიყურებოდით. ანთალიაში ხალიჩასავით მოედნებზე საკმაოდ კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ, მსგავსი თამაში კი აქ გაგვიჭირდება.

- გასაგებია, რომ მოედანი თამაშზე უდიდეს გავლენას ახდენს.

- მე ასე ვიტყოდი – არა მხოლოდ გავლენას ახდენს, თამაშის სტილს განსაზღვრავს. ახლა კიდევ რა გვიჭირს, ხელოვნურ საფარზე ბურთს კიდევ გააგორებ, რუსთავში კი ურიგო მოედანი არ არის. მაგრამ რუსთავიდან რომ გავალთ და სხვა ქალაქების მოედნებზე ვითამაშებთ, მერე გაგვიჭირდება.

ისე, ძალიან მიკვირს, ჩვენი მოედნების პატრონს სანახაობრივ ფეხბურთს როგორ გვთხოვენ? სანამ ბურთი ჩემამდე მოგორდება, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ორმოში არ ჩახტეს და ფეხზე არ ამიხტეს. კარგ მოედანზე კი მიღებამდე ფიქრობ, ვის გადაანდო და შეტევა როგორ და რა მიმართულებით განავითარო. სწრაფი ფეხბურთი რეალურად არის არა სწრაფი სირბილი, არამედ, სწრაფი აზროვნება და სწრაფი გადაწყვეტილება. მე კი ვერავინ დამაჯერებს, რომ ქართველებს ჭკვიანი და აზრიანი ფეხბურთელები არ გვყავს.

ისიც ყველას გვესმის, როგორია კარგი და ცუდი ფეხბურთი და რომ საქართველოს მოედნებზე ნაჩვენები ფეხბურთი საუკეთესოდ ვერ ჩაითვლება. ჩანაფიქრს ამ მოედნებზე ვერ ვახორციელებთ და ეს განაპირობებს დაბალ ტემპს. მერე, ბურთის დაკარგვის შიშით, პასის მიცემაც არ გინდა. თანაც, უკანა ხაზში არ უნდა შეცდე, მარტივად ითამაშო, თორემ მცველი ბურთს თუ დაკარგავს, მოწინააღმდეგეს შეტევა გაუიოლდება. ამიტომ უმთავრესად იოლ გადაწყვეტილებას ვამჯობინებთ და ბურთს შორს ვიგერიებთ, საკუთარ გუნდს საფრთხე რომ ავაცილოთ. ასე გრძელდება წლებია და, ფაქტობრივად, რუსები რომ ამბობენ, "ბეი-ბეგიზე", ანუ უვარგის ფეხბურთზე გადავერთეთ, რაც ჩვენ არასდროს გვახასიათებდა. ანუ სტილი ამ უხარისხო მოედნებმა შეგვაცვლევინა, გადაგვაჩვია ერთი შეხებით თამაშს და სწრაფ ფეხბურთს.

რატომ არის, კარგ სტადიონებზე სულ ლამაზი ფეხბურთი რომ გამოდის, მაგალითად, ზესტაფონის სტადიონზე? იმიტომ, რომ კარგ საფარზე თამაში ყევლას სიამოვნებს, ნაკლები შეცდომის და უკეთესი გადაწყვეტილების წინაპირობაა, არ გეშინია, რომ ბურთი აგიხტება, თამამად თამაშობ და ტემპიც მაღალია. იმავე მაგალითისთვის ავლაბარში "თბილისის" სტადიონიც გამოდგება, არ გახსოვთ, რამდენი ხალხი დადიოდა? იმიტომ, რომ იქ ყოველთვის ლამაზ ფეხბურთს უყურებდნენ.

"ბეი-ბეგი" ფეხბურთელებსაც არ მოგვწონს და ლამაზ თამაშს ცუდისგან ვარჩევთ, მაგრამ უხარისხო მოედნებს რა ვუყოთ? შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ამას ჩვენი ფეხბურთელების გასამართლებლად ვამბობ, მაგრამ ეს არის სამწუხარო რეალობა და არა თავის მართლება. თუ არ იქნება კარგი მოედნები, სანახაობრივი ფეხბურთი ოცნებად დაგვრჩება.

მერაბ მამულაშვილი

U14 ერთიანი ბიბლიოთეკა

გოჩა ტყებუჩავა

პაბარები დიდ ამბებს ეჩვევიან

25-27 თებერვალს საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრები "რიგის თასზე" იასპარეზებს. ლატვიაში ისეთი ქვეყნების გუნდები ჩავლენ, როგორებიც იტალია, ჰოლანდია, რუსეთი, უკრაინა, შვედეთი და პოლონეთი არიან. ტურნირში მონაწილეობას სულ 16 გუნდი მიიღებს.

შეგახსენებთ, ჩვენი 14-წლამდელების მთავარი მწვრთნელი **გოჩა ტყებუჩავაა**, მისი ასისტენტები კი - **ავთანდილ ასათიანი** და **გიორგი ხიზანიშვილი** არიან.

ლატვიაში საქართველოს ნაკრები 18 ფეხბურთელით გაემგზავრება. ესენი არიან: **გიორგი ჩოჩიშვილი, რუსლან ბედიევი, ირაკლი წერეთელი, უტა ფაცაცია, გაგა კუხიანიძე, რატი არდაზიშვილი, ლუკა ვარძელაშვილი, ლუკა ჯამარაული, გიორგი წულეისკირი, გიორგი ლორია** (ყველა – საბურთალო), **გიორგი არაბიძე, ირაკლი ბულრიძე** (ორივე - ლოკომოტივი), **ლევან ისიანი** (ბოლნისი), **ნიკა ყურშავიშვილი** (ნორჩი დინამოელი), **ილია დონდოლაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **ნიკა კვანტალიანი** (აჭარა), **ნიკა ჯამასპიშვილი** (ოლიმპი), **ლაშა ლეჟავა** (ავაზა).

ლევან ჯანეზაშვილი

ქართველები მოედანზე, რობერტო კარლოსი სკამზე

მახაჩყალის "ანჟიმ" თურქეთში მორიგი საკონტროლო შეხვედრა დანიურ "ბრონდბიუსთან" გამართა და 1:0 მოიგო.

ცხადია, ჩვენების ამბები გვაინტერესებს: საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** შეხვედრა სრულად ჩაატარა, მაგრამ მცველების საიმედო თამაშის გამო ბევრი საქმე არც ჰქონია. ძირითად შემადგენლობაში ითამაშა **ირაკლი კლიმიაშვილმა**, რომელიც ჯერაც გასინჯვაზეა.

ირაკლი დანიელთა კარზე მიტანილი რამდენიმე იერიშის თანამონაწილე იყო: ერთხელ შორიდან არაზუსტად დაარტყა, მერე ფლანგზე ორი მეტოქე მოატყუა და ერთადერთი გოლის ავტორ **დმიტრი ივანოვს** ანგარიშის გახსნის საშუალება მე-19 წუთზე მისცა, მაგრამ მან ეს შანსი ვერ გამოიყენა. მეორე ტაიმში კი მახაჩყალელთა მთავარმა მწვრთნელმა **გაჯი გაჯიევმა** კლიმიაშვილი დაასვენა.

დანიელთა წინააღმდეგ "ანჟის" სახელოვან ახალწვეულს, ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ყოფილ მცველ **რობერტო კარლოსს** არ უთამაშია. "კორინთიანსიდან" დაღესტნურ კლუბში ახლახან გადასული კარლოსი შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს, ისევე, როგორც თურქულ შეკრებაზე მყოფი გროზნოს "ტერეკის" ჰოლანდიელი დამრიგებელი **რუდ გულიტი**.

ბრაზილიელის "ანჟიში" მისვლა რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ბიზნესმენს, **სულეიმან კერიმოვს** უკავშირდება. მან ეს კლუბი ერთი კვირის წინ შეიძინა და ამბიციური გეგმებიც აქვს. აღსანიშნავია, რომ რობერტო კარლოსი წელიწადში 5 მილიონ ევროს მიიღებს.

"ბრონდბიუსთან" არც **გიორგი ილურიძე** გამოჩენილა, რომელმაც ალმათის "კაირატთან" (0:0) გამართული წინა შეხვედრაც გამოტოვა. თუმცა უცნობია, რა არის მიზეზი - კლუბი დატოვა თუ ტრავმირებულია.

ბოლო ცნობებით, მახაჩყალელებს საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველის, **მალხაზ ასათიანის** დამატებაც სურთ.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
ჟურ გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

XX ტურის სიმბოლური ნაკრები

ჯერ მხოლოდ ხურდება, მაგრამ, კალენდარია ისეთი...

ზესამეული, ძვეოთხეული და სხვებიც ვნახოთ

დიდთოვლობის გამო კიდევ ერთი არასრული ტური მოვილიეთ. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი ჯერ ხურდება და ამიტომაცაა, საწყის ორ ტურში გამართული რვა მატჩიდან უმეტესობა მოსაწყენი და ქართული საზომებითაც კი უხარისხო რომ გამოდგა. თუმცა კალენდარი ისეთი მჭიდროა, რომ გუნდებს ტონუსის მოსამატებლად და საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოსაჩენად, წესით, ბევრი დრო აღარ უნდა დასჭირდეთ.

მეოცე ტურმა სატურნირო ცხრილის ყველაზე საინტერესო მონაკვეთში ვერაფერი შეცვალა. ჩემპიონობისთვის მებრძოლი სამივე გუნდი თითო ქულას დასჯერდა და მათი საუკეთესო თამაშების ხილვაც მოგვიანებით მოგვინევს. არადა, დასანანია, "ოლიმპი"-"ზესტაფონი"-"დინამოს" ტრიო ერთურთში საწყის ტურებშივე რომ თამაშობს. გულშემატკივრებისთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მათი ჭიდილი ოდნავ მოგვიანებით ენახათ და ამ გუნდების რეალური ძალაც უკეთ შეეფასებინათ.

1,5 – ასეთია გასული ტურის მატჩებში გოლების საშუალო მაჩვენებელი, რაც, დაგვეთანხმებით, საკმაოდ ცოტაა. თუმცა შეუთამაშებელი და არცთუ ოპტიმალურ ფორმაში მყოფი გუნდებისგან ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. ნინა ტური შედარებით გოლუხვი გამოდგა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გასულ შაბათს ორი გამორჩეული შეხვედრა ჩატარდა და გუნდებმა დაცვაში უფრო დიდი ყურადღებით ითამაშეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიდერთაგან საჩემპიონო ფეხბურთს ჯერ ვერავინ უჩვენებს და პროგნოზების გაკეთებაც საფრთხილო საქმეა, თუმცა კი, "დინამოს" ქულების დაკარგვის უფლება ნაკლებად აქვს, რადგან "ოლიმპს" ოთხი ქულით ჩამორჩება, "ზესტაფონს" - ერთით. იმერულ კლუბს ერთი თამაში მარაგში აქვს და თუ მოიგო, "ოლიმპს" გაუთანაბრდება, მაგრამ ფეროელებს გადადებულ მატჩში სოლიდური მეტოქე ელით ქუთაისის "ტორპედოს" სახით.

ზესამეული რომ ევროტუნირების საგზურს მოიპოვებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება, აი, ევროპის ლიგაზე გამსვლელი კიდევ ერთი ვაკანტური ადგილისთვის კი დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ამ უფლებას ან ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი მოიპოვებს, ანაც თასის ფინალისტი – გაარჩნია, ვინ გახდება ჩემპიონი და ვის დარჩება თასი. სათასო თემა მომავლისთვის გადავდოთ, მეოთხე ადგილის დასაკავებლად კი დიდი ამბები გაჩაღდება. დღევანდელი გადასახედიდან ამის საუკეთესო შანსი "ბაიას", "სიონს", "ვიტ ჯორჯიასა" და "ტორპედოს" აქვთ. სხვა საქმეა, რომ თვით ამჟამინდელ მეოთხეადგილოსან "ბაიასაც" კი სატურნირო მაჩვენებლები უარყოფითი აქვს. მონინავე სამეული დანარჩენებს სოლიდური სხვაობით უსწრებს, რაც ჩემპიონატის ინტრიგისთვის კარგი სულაც არ არის. იმის საფუძვლიანი შიშიც არსებობს, რომ ევროპაში გასულ მეოთხე გუნდს იქ მეტ-ნაკლებად ხეირიანი გამოსვლის დიდი შანსი არ ექნება, მაგრამ მაინც გვქონდეს იმედი, რომ ეს ვარაუდი უსაფუძვლო გამოდგება.

ფინანსური პრობლემების მიუხედავად, "ბაია" ყოჩაღად გამოიყურება, "ვიტ ჯორჯია" წამყვანი ფეხბურთელებისგან დაცლამ გვარიანად აზარალა, "სიონი" მეოთხე ადგილს თუ ვერ შესწვდება, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს, "სპარტაკს" ბოლო ადგილის სულ მალე დატოვებას ვუწინასწარმეტყველებთ, "კოლხეთი" და "სამტრედია" კი სხვებზე უფრო რთულ მდგომარეობაში არიან – რაღა თქმა უნდა, ყბადაღებული უსახსრობის გამო.

აი, "ტორპედოს" სწრაფი ნინსვლა კი არ უნდა გაგვიკვირდეს. ქუთათურებმა ხომ ნაყოფიერი შეკრებაც გაიარეს და ერთპიროვნულ ლიდერ "ოლიმპთან" სტუმრად გამარჯვებამდე ცოტა დააკლდათ.

გვერდი მოამზადა **ლევან ჯანეზაშვილმა**

თებერვალი მარგში

სპარტაკმა კი იგუნდავა, სამტრედიამ რა ჰძნას...

"სპარტაკი"-"სამტრედია" გორში მოსულმა დიდმა თოვლმა გადადო. ეს მატჩი, სავარაუდოდ, მარტის პირველ რიცხვებში გაიმართება. თუკი სპარტაკელებს ამის გამო ხასიათი დიდად არ წახდენიათ და "ქართლზე" გუნდაობითაც შეიქციეს თავი, "სამტრედიას" ნევრებს საქმე სამხიარულოდ ნამდვილად არ ჰქონდათ. როგორც შევიტყვეთ, "სპარტაკმა" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დიდთოვლობის ამბავი დროულად შეატყობინა, აი, ფედერაციიდან "სამტრედიამდე" კი ინფორმაცია დაგვიანებით მივიდა და შეჭირვებულმა იმერულმა კლუბმა გორამდე მგზავრობის ფული წყალში გადაყარა.

ალმოჩენა? ჩვენც ეს გვინდა!

ირაკლი ქოგალია ზუგდიდის "ბაიას" ძირითად გუნდში ზამთრის მოსამზადებელ შეკრებაზე დამკვიდრდა და უმოკლეს დროში გუნდის წამყვან ფიგურადაც იქცა. 18 წლის ფორვარდმა მეორე ეტაპის ორივე მატჩში გაიტანა და ორივეჯერ მოხვდა "ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში. სეზონის მეორე ნახევრის სტარტზე ინდივიდუალურად სულ რამდენიმე ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი და ქობალია ერთ-ერთი მათგანია. *"დაიმახსოვრეთ მისი გვარი, ეს ბიჭი სეზონის აღმოჩენა გახდება"*, - თქვა ამას წინათ "ბაიას" თავკაცმა **ელგუჯა ქომეთიანმა**.

ჩემპიონატი შატილშიც ავიდა

"ვიტ ჯორჯიას" მცხეთის სტადიონის რეკონსტრუქციის შესახებ "ლელოს" მკითხველი სრულადაა ინფორმირებული. ყოფილ "არმაზზე" მოედნის საფარი ჯერ სათამაშოდ მზად არ არის და ამიტომაც ვიტელები მეტოქეებს ჯერჯერობით თემქაზე, სპორტკომპლექს "შატილში" (ყოფილი "სიხარული") მასპინძლობენ. იმედია, მცხეთაში სამუშაოების დასრულებას მალე დაადგება საშველი და მწვავე ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშე მდგარ ქართულ ფეხბურთს ერთი ნორმალური არენაც შეემატება.

ზესტაფონს იმედი აქვს, რომ ბოროტი ზრახვა არავის აქვს

"ზესტაფონის" ოფიციალურ ვებგვერდზე "დინამო"-"ზესტაფონის" მატჩის მე-18 წუთზე მომხდარი ეპიზოდია განხილული – მოედნის ცენტრთან ახლოს **გიორგი ონიანი რობერტინიოსთან** ორთაბრძოლისას დაეცა, ლაინსმენმა **ზაზა მენთეშაშვილმა** არბიტრ **თორნიკე გვანცელაძეს** თამაშის წესების დარღვევა ანიშნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კოლეგის ნიშანს ყურადღება არ მიაქცია და "დინამოს" ბრაზილიელს შეტევის დასრულება ადროვა. რობერტინიომ არაზუსტად დაარტყა.

"ნამდვილად შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ ეპიზოდის ბედი ვინმეს ბოროტმა განზრახვამ გადაწყვიტა, თუმცა ისიც აშკარაა, რომ მსგავსი შეცდომების შედეგად საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი" უკვე არაერთგზის დაზარალებულა. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ ასეთი შეცდომებს ადგილი მომავალში მაინც აღარ ექნება", - ნათქვამია "ზესტაფონის" განცხადებაში.

მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ ტორპედოელებიც, რომლებმაც "ოლიმპთან" მატჩისას არბიტრის მიერ ბოლო წუთზე დანიშნული ჯარიმა, რომელსაც გოლი მოჰყვა, უსამართლოდ მიიჩნიეს.



სიხისტე და დანაკარგები

"დინამო"-"ზესტაფონის" შეხვედრისას ექიმებს ბევრი საქმე ჰქონდათ. სამწუხაროდ, ორივე გუნდის თითო დაშავებულმა ფეხბურთელმა თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. დინამოელი ბოსნიელი **სემირ ჰაჯიბულიჩი** პირველი ტაიმის ბოლოს შეცვალეს, ზესტაფონელი **თორნიკე გორგიაშვილი** კი მეორის დასაწყისში. მათი მდგომარეობის შესახებ ასეთი ინფორმაცია გვაქვს - ორივე ნახევარმცველმა ფეხი იტკინა, რამდენიმე დღე ვერ ივარჯიშებენ და უახლოეს ტურში მათი თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია.



ფოტოები: www.fcdinamo.ge

ნიკოლოზ გელაშვილი

გელაშვილი, ხიდეშელი... ყველაფერი მოგვარდა

"დინამოსთან" მატჩის განაცხადში "ზესტაფონმა" **ნიკა გელაშვილი** შეიყვანა და, ალბათ, იქ **გიორგი ხიდეშელიც** მოხვდებოდა, რომ არ გაციებულიყო. ალბათ, მიხვდით, ეს ორი ფეხბურთელი რატომ გამოვარჩიეთ – ესპანურ შეკრებაზე მომხდარი უსიამოვნო ამბის შემდეგ მათ კლუბის დატოვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და გელაშვილი და ხიდეშელი, რომლებიც "ზესტაფონში" გამორჩეულები არიან, ამავე კლუბის სამსახურში რჩებიან.

გიორგი ხიდეშელი

ქარიული ფეხბურთი

● ინტერვიუ

იაპონელებმა მუჯირს სიურპრიზი ჩაუშალეს

ორი ხუთიანის ნაცვლად ერთი ათიანი მისცეს

დავით მუჯირმა იაპონიის ჯეი-ლიგის "სანფრეჩე ჰიროსიმასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და "ამომავალი მზის" ქვეყანაში პირველი ჩვენებური იქნება.

33 წლის ქართველი კონტრაქტითაც კმაყოფილია და ახალი გუნდითაც, მაგრამ იაპონელებმა ერთი სურვილი მაინც არ შეუსრულეს, რის გამოც სიურპრიზი არ გამოუვიდა. ამის შესახებ ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ჯეი-ლიგა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ასეთ დონეზე საქართველოდან მოხვედრა საკმაოდ ძნელია.

- ეს მიხაილო პეტროვიჩის დამსახურებაა, იაპონიაში გამიხსენა და წამიყვანა გუნდში, რომელიც, ვფიქრობ, მართლა მაგარი დონის პირველობაზე უნდა თამაშობდეს. ამას ჩემი გუნდიდან გამომდინარე ვამბობ, ფეხბურთელებიც მაღალი დონისანი არიან და მთლიანობაში საკონტროლო მატჩებში გუნდიც ძალიან მომეწონა.

- როგორც ვიცით, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმე.

- დიახ, ერთწლიანი, რადგან ამ ეტაპზე ასე მერჩივნა მეც და კლუბსაც.

- ეტყობა, გუნდს იოლად შეეწყვე, რადგან "სანფრეჩე ჰიროსიმაში" უკვე მესამე გოლი გაიტანე.

- კარგი გუნდი დამხვდა, მწვრთნელი მენდობა და თავისუფლად ვთამაშობ. გუშინ 1:2 კი წავაგეთ კორეელებთან, მაგრამ ერთადერთი გოლი მე გავიტანე. სხვათა შორის, ზედიზედ მესამე შეხვედრაა გამაქვს.

- ეტყობა, ფორმა სწრაფად აღიდგინე.

- ჯერჯერობით, თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მთავარია, ჩემპიონატს როგორ ფორმაში შევხვდები. ჯერ საკმაოდ დიდი დატვირთვების პირობებში ვთამაშობთ. ეს მიხაილო პეტროვიჩს ახასიათებს, ასე იყო გრაცის "შტურმში" და არც იაპონიაში უღალატია მომზადების ჩვეული სტილისთვის. სხვათა შორის, ის შეკრებაზე შედეგს ყურადღებას არც აქცევს, მთავარია, გუნდი სეზონისთვის კარგად მოამზადოს და შეათამაშოს. ყოველდღე ორჯერ გვავარჯიშებს, ოთხ დღეში ერთხელ კი დილის 7 საათზე სირბილს ამატებს. მოკლედ, საკმაოდ მძიმე რეჟიმში ვვარჯიშობთ.

- უძლებ ასეთ დატვირთვებს?

- ჯერ პრობლემა არ მქონია. შეკრების ყველაზე რთული ეტაპი უკვე დასრულებულია, ყოველ მესამე დღეს თამაშებია, ერთი კვირაც და ჰიროსიმაში დავბრუნდებით. სხვათა შორის, ახალწვეულთა პრეზენტაციაც მერე დაგეგმეს და 5 მარტს იაპონიის ჩემპიონატიც დაიწყება.

ისე, იაპონელებმა გამაოცეს, ძალიან შრომისმოყვარე ხალხია, ვარჯიშებზე ყველა გიჟივით დარბის და მაინც არ იღლებიან.

- ბინა და მანქანა უკვე მოგცეს?

- ჰიროსიმაში სულ 2 დღე ვიყავი, მაშინ კონტრაქტი გაფორმებული არ მქონდა და სამედიცინო შემოწმება გავიარე. დანარჩენი დრო სულ შეკრებაზე ვართ, ჯერ ოკინავაში, ახლა მიკაზაკიში, კონტრაქტს ხელი მოვაწერე და სამუშაო ვიზაზე შევიტანე განაცხადი. ჰიროსიმაში 26 თებერვალს დავბრუნდებით და ბინას მერე შევარჩევ.

რაც შეეხება მანქანას: "სანფრეჩე ჰიროსიმას" სპონსორი კომპანია "მაზდაა" და ყველა ფეხბურთელი ამ ფირმის მანქანით მოძრაობს. მეც ამ მანქანას მომცემენ.

- როგორც ვიცით, 10-ნომრიანი პრესტიჟული მაისურა გადმოქცეს, ამ ნომერს კი ყველა კლუბში გამორჩეულ მოთამაშეს აძლევენ.

- ამ დროს, რომ იცოდეთ, მე 55-ნომრიანი მაისურა მინდოდა, მაგრამ უარი მითხრეს.

- რატომ?

- თუ არ ვცდები, "სანფრეჩე ჰიროსიმაში" თუ საერთოდ ჯეი-ლაგაში დიდი ნომრების გაცემა მიღებული არ არის და თავად სურდათ, გუნდის 10 ნომერი მე ვყოფილიყავი.

- 55 ნომერი რატომ გინდოდა?

- მამაჩემისთვის სიურპრიზის მოწყობას ვაპირებდი. სულ 5 ნომერი იყო, წლეულს, 7 აპრილს კი 55 წლის ხდება და სიმბოლურად მსურდა ამ ნომრიანი მაისურის ჩაცმა, ესიამოვნება-მეთქი. სამწუხაროდ, სიურპრიზი არ გამომივიდა.

- შეეჩვევა თუ არა ფეხბურთელი გუნდს, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, სამზარეულოზეც. თქვენ იაპონური რაციონი გაქვთ თუ ევროპული?

- ეს პრობლემა არ არის, გუნდი ყველანაირ საკვებს გვთავაზობს. ასეა შეკრებაზეც და ქალაქებშიც შევნიშნე, რომ ყველანაირი რესტორანია, ადგილობრივიც, ევროპულიც. ასე რომ, ეს ნამდვილად არ არის პრობლემა. თან, იაპონური სამზარეულო ისედაც მიყვარს.

მერაბ მამულაშვილი

● ამბები

დიდ-პაგარა ნაცნობები და ერთი უცნობი

ყაზანის "რუბინის" დუბლშემადგენლობამ თურქეთში მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა. გუნდში ემზადებიან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველი **საბა კვირკველია, ავთანდილ ბრაჭული,** აგრეთვე ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი **გორემიშვილი.** ბოლო საკონტროლო შეხვედრა "რუბინი 2"-მა მარიუპულის "ილიჩივეცთან" 1:2 წააგო.

ყაზანელ დუბლიორთა მთავარმა მწვრთნელმა დაცვის ცენტრში კვირკველია-ბრაჭულის დუეტი დააყენა, მეორე ტაიმში კი ორივე შეცვალა და ამ დროს მოედანზე გორემიშვილი შეუშვა.

"რუბინთან" თავი არ გამოუჩენია "ილიჩივეცის" ქართველ ნახევარმცველ **თორნიკე ოქრიაშვილს.** სამაგიეროდ, მისი მონაწილეობით უკრაინელებმა დანიური კლუბი "ჰორსენსი" 5:0 დაამარცხეს.

თორნიკე მოედანზე 59-ე წუთზე გამოჩნდა და მეოთხე გოლი მისი გადაცემით გავიდა, ოქრიაშვილმა ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო.

"სევასტოპოლში" ითამაშა **მათე ღვინიანიძემ** - მან სომხურ "გიუმრისთან" რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა და კარის წინ მარტო დარჩენილმა ბურთი მიზანს ააცილა. მატჩი, რომელიც 0:0 დასრულდა, ქართველმა მცველმა შეუცვლელად ჩაატარა.

მერაბ მამულაშვილი

მამალაძის ბრავმა სერიოზულია

ესპანურ შეკრებაზე დაშავებული **ზურაბ მამალაძის** ტრავმა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. "ზესტაფონის" 28 წლის მეკარეს მენისკი დაუზიანებია და, სავარაუდოდ, ოპერაციაც დასჭირდება. მიმდინარე სეზონში მისი თამაშის შანსი უმცირესია. მამალაძის არყოფნაში იმერელთა ძირითადი მეკარის, **როინ კვასხვაძის** დუბლიორი ახალგაზრდა **კახაბერ მეშველიანი** იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ქალთა ფეხბურთი

თეკლეს პენალტიც ვერ გაუგანეს

თეკლე გულორდავა

საქართველოს 17-წლამდელ ქალთა ნაკრები აზერბაიჯანული შეკრებიდან დაბრუნდა, სადაც **გერონტი ნაჭყებიას** გუნდმა ადგილობრივ ნაკრებთან ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. უკვე გაუწყეთ, რომ ქართველებმა პირველი შეხვედრა **ანა ჩემინავას** გოლით 1:0 მოიგეს, მეორე თამაში კი 0:0 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების მეკარე **თეკლე გულორდავამ** თერთმეტმეტრიანი მოიგერია.

ლევან ჯანეზაშვილი

აზერბაიჯანი-საქართველო 0:1

● ექსკლუზივი

წერილი მერე

მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში

1990 წლის 15 თებერვლის საფეხბურთო ყრილობას უძღოდა დაახლოებით 5-თვიანი სამზადისი. ამ პერიოდში იმართებოდა შეხვედრები, კრებები; პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ ფეხბურთის ქომაგები, ჟურნალისტები. ფეხბურთელები და ფეხბურთში მომუშავე ფუნქციონერები კი დამოუკიდებლობაზე საუბარს გაურბოდნენ. მათ ამ საკითხის დასმაც კი არასერიოზულად მიაჩნდათ, საზოგადოებამ ზოგადად იცოდა, რომ ჩვენი საფეხბურთო სამყარო დამოუკიდებლობის იდეას არ იზიარებდა...

1989 წლის 6 ივნისს „ლელოში" დაიბეჭდა კინორეჟისორ **ალექსანდრე ჟღენტის** წერილი „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?" მოდი, ახლა, ამდენი ხნის შემდეგ ერთად ჩავიკითხოთ ეს წერილი და დასკვნები მერე გამოვიტანოთ. ავტორი ასე იწყებდა:

„ვიცი, ბევრს ამ სათაურის წაკითხვაზე ელდა ეცემა და მაინც ჩემი სათქმელი მინდა გაუწყოთ, დრომ მოიტანა და ყველაფერი პირდაპირ უნდა ითქვას. დღეს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი კატასტროფის წინაშეა. ნუ მოვიტყუებთ თავს, თითქოს არაფერი ხდებოდეს. ეს ასე არ არის, ხოლო კვლავაც თუ ასე გაგრძელდა, უარესიც მოხდება. მაგალითების მოყვანა ძნელი როდია: შექმნილ გარემოებათა გამო აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდების ურთიერთობა მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება სპორტულ ასპარეზობად ჩაითვალოს. „სპარტაკის" ფანატებს, საკავშირო პრესის აღიარებით, იარაღისა და ბომბების ისეთი მარაგი ჩამოართვეს, შინაგან საქმეთა ჯარების დივიზიას ეყოფოდა. მათი საბრძოლო ლოზუნგებიც შავრაზმელების ლოზუნგებისგან არაფრით განსხვავდება. რაც ბევრგან სხვაგანაც შეიმჩნევა, ფეხბურთთან მას მეტად სუსტი კავშირი აქვს და ა.შ.

რა ხდება? რამ „გარდაქმნა" ასიათასობით ადამიანი სტადიონებზე, ემოციათა ამ ეპიცენტრში?

შორიდან დავიწყოთ. დავიწყოთ იმით, რომ როგორც ასეთი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში — არასოდეს ჩატარებულა. ტარდებოდა და ახლაც ტარდება რუსეთის ჩემპიონატი (ანუ რუსეთის ღია ჩემპიონატი), მოკავშირე რესპუბლიკების გუნდების რეგულირებული რაოდენობით. ყველა ეს ჩემპიონატი შეძლებისდაგვარად პრიორიტეტს მოსკოვის გუნდებს ანიჭებდა, ბოლო ხანს კიევის „დინამოს", თუმცა უმცირესი შანსის გაჩენისას „სპარტაკს" ეძლევა „მწვანე შუქი".

სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატების „ჰარმონიის" დამრღვევი მხოლოდ საქართველო იყო. ჯერ იყო და, ჩვენი პირველი გუნდი თავდაპირველად საერთოდ არ შეიტანეს დამფუძნებელი ჩემპიონატის სიაში, შემდეგი ჩემპიონატების და ტურნირების ისტორია კი მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებისა და, პირველ ყოვლისა, ჩვენი გუნდის თითქმის გაუთავებელი დისკრიმინაცია გახლდათ. მაგალითებს აქ არ მოვიყვან (ტომების შედგენა შეიძლება!). განა სასიამოვნოა, როდესაც ჩვენი უნიჭიერესი ფეხბურთელები სსრკ ნაკრებში თითქმის ყველგან რუს სპორტსმენებად ინათლებიან? ეს იმიტომ ხდება, რომ „არ არსებობს" უცხოეთში არავისთვის საბჭოთა ნაკრები, არსებობს რუსეთის გუნდი.

იყო დრო, საქართველოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში წარმომადგენელიც არ ჰყავდა და ყველამ ვიცით, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში საბჭოთა საფეხბურთო ფედერაციიდან არავინ ახლდა ჩვენებს სტუმრად ჩატარებულ მატჩზე.

საკავშირო მანკიერებებმა, ცხადია, „საშინაოც" შვეს. ასე გაჩნდა ჯანსაღ ფესვებს მოკლებული რესპუბლიკური „ნაკრები" — თბილისის „დინამო" და სათანადო თეორიებიც იმის შესახებ, რომ ჩვენ, ქართველებს, თურმე სსრკ ჩემპიონატში (თუ გნებავთ, არცთუ სრულფასოვანში), მონაწილეობის მისაღებად არ შეგვიძლია რამდენიმე გუნდი დავაკომპლექტოთ და ვარჩინოთ. საკამათოა ახლაც გაბატონებული დოქტრინა იმის შესახებ, რომ თურმე საქართველოს ყველა გუნდის ვალია, „გაუზარდოს" თბილისის „დინამოს" ვირტუოზები. განა ცხადზე ცხადი არ არის, რომ, რაც უფრო მეტი იქნება ერთმანეთის მეტოქე ქართული კლუბი, მით უფრო დიდია შანსი ერთი სუპერკლუბის გაჩენისა (შემდგომი გადაკომპლექტებით, რასაკვირველია).

მაგრამ მთელი უბედურებაც ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონატს არ ჰქონდა და არა აქვს არავითარი სპორტული სტიმული. გამარჯვებულის II ლიგაში გადასვლა არც მატერიალურად და არც სხვა პირობებით სახარბიელო არ არის.

აშკარაა, დღესდღეობით ერთადერთი სპორტული სტიმული ევროპული ტურნირებია. საქართველოს და ნებისმიერი სხვა რესპუბლიკის გუნდები კი ამ ტურნირებში მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონატში წარმატების შემთხვევაში მოხვდებიან... ხომ არ დადგა დრო, რეგიონული ან, უფრო გულახდილად ვთქვათ, რესპუბლიკური „ნორმალური" ჩემპიონატის ლიდერები მივავლინოთ უეფა-ს ტურნირებზე? ვითომ მალტისა ან ისლანდიის კლუბებზე ნაკლებად ითამაშებენ „რესპუბლიკელი" ფეხბურთელები ევროპაში?!

სტადიონებზე მაყურებელთა ფსიქოზიც ხომ წლების განმავლობაში დაგუბებული და საჯაროობის პირობებში ამოხეთქილი ერეოვნული ენერგიაა! აბა, გავიხსენოთ ბოლო მატჩები: „დი-ნა-მო"!, „დი-ნა-მო"! შეცვალა „საქართველო!" „საქართველომ!" ბოლო სათასო მატჩზე კი ერთი დროშაც არ იყო თეთრ-ცისფერი. სამაგიეროდ, უამრავი სამფერი ფრიალებდა.

ვიყოთ გულწრფელნი: უახლოეს წარსულში ეროვნული მეობის გამოვლენის ლამის ერთადერთ საშუალებას სპორტი წარმოადგენდა. ახლა სხვა დროა და თუ ქვეყნის ჩემპიონატების გათამაშება კვლავ ძველებურად გაგრძელდა, თუ 30-50-იანი წლების ატმოსფერო არ მოისპო, ადვილი მოსალოდნელია სტადიონების დაცარიელება. ან, რაც უარესია, „გლადიატორთა" სარბიელად მისი გადაქცევა...

ჯერჯერობით კი უაზრო კოსმეტიკის გარდა არავითარი მოდერნიზაცია არ მომხდარა: რუსულ „დ"-ს ქართული „თბილისიც" მიაწერეს დინამოელთა მაისურაზე. ეს არის და ეს. სხვათა შორის, ეს ბილინგვა ცოტა ხნის წინ აღიარებული სოციალისტური რეალიზმის განსაზღვრას მოაგონებს კაცს: „ფორმით ეროვნულს, შინაარსით კი სოციალისტურს"...

უმთავრესიც ვახსენოთ — დიდი ხანია გვჭირდება ეროვნული ნაკრები. ეს გუნდი კი ეროვნული ჩემპიონატის გარეშე არ (და ვერც) შეიქმნება! მხოლოდ ჩვენი ერის განსაკუთრებულ ნიჭიერებას უნდა ვუმადლოდეთ საოცარ მიღწევებს: 1956 და 1979 წლების სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონობას, 1964 და 1974 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონობას და 1981 წლის თასების თასს, მოპოვებულს ერთადერთი კლუბის ხარჯზე! და თუ ამ კლუბის კრიზისია, მეტი რომ არ ვთქვათ, ეს ბუნებრივია (პირიქით რომ მომხდარიყო, უფრო საკვირველი იქნებოდა!) „დინამომ", ეტყობა, თავისი მორალური (და სხვაგვარიც) პოტენციალი ამოწურა. ესეც არაა გასაკვირი, სხვა ქვეყნებს გადავხედოთ: სადღაა მრისხანე „ჩელსი", „ჩეპელი", „კოლო-კოლო!" სამაგიეროდ, სხვები აღმოცენდნენ ეროვნულ ნიადაგზე. იქნებ განსაზღვრული დროის შემდეგ „ყოფილებმა" კვლავაც აღიდგინონ ძველი დიდება, მაგრამ არსად არ არსებობს მუდმივმოქმედი ძლიერი კლუბი, არსებობს ეროვნული ფეხბურთი.

ქართული ფეხბურთი რომ არ მოკვდეს, მაყურებლისა და საზოგადოების ინტერესების დევალვაცია რომ არ მოხდეს, საჭიროა „ბაღის" შექმნა. „ერის საფეხბურთო ცხოვრება ხეხილის ბაღს წაგავს. ერთი ხე ნაყოფს ისხამს, მეორე ხმება და ამოძირკვავენ, მესამეს ნერგს ახარებენ. თუ ასე არა აქვს აწყობილი საქმე გონიერ მებაღეს და იგი ერთი, თუნდაც ძლიერი და ნამყენი ჯიშის ხის ხარჯზე აპირებს ყოფნას, ადრე თუ გვიან უბაღოდ დარჩება".

ნუ დავივიწყებთ ბრაზილიელი აიმორე მორეირას ამ სიბრძნეს! მე ამას მინდა დავუმატო, რომ კარგ ხეხილს მებაღე მხოლოდ საკუთარ ბაღში მოიყვანს.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი: ეროვნული პროცესები სპორტში საყოველთაო კანონზომიერებაა (ხშირად ისინი პოლიტიკურ პროცესებსაც უსწრებს წინ), რომელი ერთი მაგალითი მოვიყვანო: ბასკეთი და კატალონია, უელსი და შოტლანდია, ჩეხეთი და მორავია, ვალონია და ჰოლანდია და უამრავი სხვა. სპორტს თავისი ეთნიკური საზღვრები აქვს. ეს შესანიშნავიცაა — ერთა მეტოქეობა სპორტულ ასპარეზზე, ხშირად ადმინისტრაციული დაყოფის ერთგვარ კორექტირებას ახდენს.

სულ ახლო მომავალში ბევრი გარდაქმნაა მოსალოდნელი. მოდი, სპორტსაც ნუ ჩამოვაშორებთ ამ პროცესს. უკუვაგდოთ „ტრაქტორებისა" და „სტალინეცების" ეპოქა და თუ დღეს მთელი სერიოზულობით მსჯელობენ საქართველოს სრულ თვითდაფინანსებაზე და ქართველი ჭაბუკების მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის თაობაზე, ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ და შევქმნათ კიდეც საკუთარი სუვერენული საფეხბურთო სამყარო, რომელშიც, ეჭვი არ მეპარება, უნიჭიერესი სპორტსმენები აღიზრდებიან.

აი, საქართველოს ასეთი პირველობის პირობებში გამოჩნდებიან საერთაშორისო ასპარეზზე ფეხბურთის ოსტატები და არა დღევანდელი საკავშირო თუ რესპუბლიკური უბადრუკი „გათამაშების" შედეგად. ჩვენს მოძმე ერებთან კი შეჯიბრების უთუოდ უფრო დახვეწილ და დემოკრატიულ ფორმებს გამოვნახავთ.

ჩემი წერილი, ეჭვგარეშეა, გარკვეულ რეზონანსს გამოიწვევს, რისი დიდი სურვილიც მაქვს: დროა, უძრაობის ხანის „შეჯიბრებების" ჭაობს დავაღწიოთ თავი და ეს, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ სიკეთეს მოიტანს."

ზურაბ პეტრიაშვილი

გაგრძელება საშშგაზეთოგით

ჩელსი

ხანდახან, მდიდრებიც ფიქრობენ

აბრამოვიჩის თავსაჭეხი

რა ბედი ეწევა „ჩელსის“ თავკაცს **კარლო ანჩელოტის**? ეს კითხვა ინგლისურ მასმედიაში აქტუალური გახდა. ერთ გამოცემას თავად იტალიელი მწვრთნელის პრესკონფერენციიდან ასეთი ციტატა მოჰყავს:

„ცხოვრებაში არ გადავმდგარვარ. სამსახურიდან გაქცევა არ მჩვევია, საქმეს არასდროს ვანებებ თავს. ჩემი გაშვება-დატოვების ამბავი მეპატრონემ უნდა გადაწყვიტოს, მე ამაზე ლაპარაკს ნუ მომთხოვთ. ჩემი საქმე დაუღალავი შრომაა. ვცდილობდი და მომავალშიც შევეცდები მაქსიმუმს მივაღწიო. ეს ფეხბურთია, კაცი ასეთი პერიოდისთვის მზად უნდა იყო და ის საკუთარი თავის რწმენით უნდა დაძლიო“.

პრესაში გაჟონა ამბავმა, რომ ინგლისის ჩემპიონთა მეპატრონე **რომან აბრამოვიჩმა** კლუბის დირექტორატის ნევრები უკვე შეკრიბა და კრიზისთან დაკავშირებული თათბირი ჩაუტარა. ამბობენ, რომ ანჩელოტის მსგავსად აბრამოვიჩიც ფიქრობს, რომ მისი გუნდის მილიონერ ფეხბურთელთაგან მხოლოდ ორი თამაშობს ისე, როგორც უნდა თამაშობდეს - **ჯონ ტერი** და **ბრანისლავ ივანოვიჩი** - დანარჩენებს კი დროა გაახსენდეთ, რომ იმ ხელფასის ფონზე, რომელსაც „სტემფორდ ბრიჯზე“ იღებენ, გაცილებით უკეთ მართებთ თამაში.

რუსმა მილიარდერმა იანვარში **ფერნანდო ტორესსა** და **დავიდ ლუიზში** გვარიანი თანხა, 75 მილიონი ფუნტი გადაიხადა, მაგრამ იმისათვის, რომ თავის ფეხბურთელებს კიდევ უფრო მეტი კონკურენცია აგრძნობინოს, მზადაა ზაფხულში კვლავ გაიკრას ჯიბეზე ხელი. გარდა ამისა, აბრამოვიჩი არ მალავს, რომ საკუთრივ „ჩელსის“ ახალგაზრდათა გადაყვანაც სურს წინა პოზიციებზე. ამას რომ ამბობენ, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა **ჯოშ მაკეჩრანსა** და „ფულჰემში“ გაქირავებულ **გაელ კაკუტას** გულისხმობენ.

მაგრამ როგორც ინგლისური ტაბლოიდები წერენ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აბრამოვიჩს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია რა მოუხერხოს ანჩელოტის - მწვრთნელმა, რომელმაც შარშან პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო და ფეხბურთის ასოციაციის თასზეც გაიმარჯვა, წლეულს შეიძლება საერთოდ ვერაფერი მოიპოვოს. ამის მიუხედავად, ანჩელოტის შემცვლელი ჯერ არ ჩანს. ლაპარაკია სამ თუ ოთხ კანდიდატზე, რომელთა შორის ყველაზე სასურველი „ჩელსის“ თავკაცად უკვე ნამუშევარი **გუუს ჰიდინკია**, მაგრამ ჰოლანდიელმა თქვა, რომ თურქეთის ფეხბურთის ასოციაციასთან სამნლიანი კონტრაქტი აქვს და მის დარღვევას არ აპირებს - თურქთა ეროვნული გუნდის მწვრთნელობაში ჰიდინკს წელინადში 8 მილიონ ევრომდე აქვს.

ამბობენ, რომ კიდევ ერთი კანდიდატი „პორტუს“ თავკაცი **ანდრე ვილას-ბოასი**. ის **ჟოზე მოურინიოს** მწვრთნელობის პერიოდში „ჩელსის“ სკაუტი გახლდათ. ლაპარაკობენ „ფულჰემის“ თავკაცს **მარკ ჰიუზზეც**, რომელიც 1995-98 წლებში „სტემფორდ ბრიჯზე“ თამაშობდა.

გამოხმაურება

ლას ვეგასი და კიდევ რაჯლაც

აი, რა ხდებოდა ლეიტონის გასახდელში

„ვივა ლას ვეგას,“ - აი, რას მღეროდნენ ლონდონური გუნდის, „ლეიტონ ორიენტის“ ფეხბურთელები თავიანთი „ბრისბეინ როუდის“ გასახდელში კვირა საღამოს. მიზეზი: ფეხბურთის ასოციაციის თასზე „არსენალთან“ 1:1 ითამაშეს და ახლა „ემირეით სთედიუმზე“ გადათამაშება ელით, ეს კი ინგლისის პირველი ლიგის გუნდისთვის გვარიანი ფულის მოხვეტას ნიშნავს. და რა შუაშია აქ ლას-ვეგასი? საქმე ის გახლავთ, რომ კლუბის თავმჯდომარე **ბერი ჰერნმა** ბიჭებს მატჩამდე უთხრა, თუ ფრედ ითამაშებთ, ლას-ვეგასში ნაგიყვანთო.

როგორ წარიმართა თამაში? ანგარიში 53-ე წუთზე „მეთოფე“ **ტომაშ როსიცკიმ** გახსნა, მაგრამ დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მასპინძელთა 26 წლის ფრანგმა ფორვარდმა **ჟონატან ტეუმ** გაქვითა და...

„როდესაც გასახდელში თავმჯდომარე შემოვიდა ბიჭებმა ელვის პრესლის ცნობილი სიმღერა „ვივა ლას ვეგასს“ შემოსძახეს“ - უამბო ჟურნალისტებს მწვრთნელმა **რასელ სლეიდმა**.

და ნუ გგონიათ, რომ ბერი ჰერნი სიტყვებს ჰაერში ფანტავს. აღტაცებულმა თავმჯდომარემ თქვა:

„ჩვენთვის ლას-ვეგასში მოგ ზაურობა კარგად ნაცნობი რამ გახლავთ. პირველ ლიგაში გადასვლაც იქ ვიზეიმეთ. ვფიქრობ, ახლა ბიჭებს ლას-ვეგასი და კიდევ რაღაც ენდომებათ და ამას თასიდან „არსენალის“ გამოთიშვის შემთხვევაში ვპირდები.

რაც შეეხება ლას-ვეგასს, ჩვენ ყველანი ისეთ გუნებაზე ვართ, რომ დღესვე სიამოვნებით დავსხდებოდით თვითმფრინავში და საზეიმოდ გავემგზავრებოდით, მაგრამ რასელი არ დაგვრთავს ნებას. ამ უქმეებზე პირველ ლიგაში „ჰადერსფილდთან“ გველის შეხვედრა და იმიტომ. ამწუთას ნერვიულობისგან გულის შეტევისა და უდიდესი სიამოვნების ნაზავს განვიცდი. ფეხბურთის თამაში ხომ ყოველთვის ცრემლით მთავრდება, ხან სიხარულის და ხანაც იმედგაცრუების“.

„არსენალისა“ და „ლეიტონ ორიენტის“ საპასუხო შეხვედრა „ემირეიტ სთედიუმზე“ 2 მარტს გაიმართება, გამარჯვებულს კი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ელის დაპირისპირება.

სლეიდმა დასძინა: „რასაკვირველია, „იუნაიტედთან“ შეხვედრა უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ ჩვენ ჯერ „არსენალთან“ გვაქვს საპასუხო თამაში. ვამაყობთ, რომ შეჯიბრებაში ასე შორს გავაღწიეთ. ვამაყობთ იმით, რაც „არსენალის“ წინააღმდეგ შევძელით“.

ლივერპულსა და სხვაზე

რატომ არ გახდა დიდი დეშამი ლივერპულის მწვრთნელი?

დიდიედეშამმა გასულ ზაფხულს „ლივერპულის“ სათავეში ჩადგომაზე უარი თქვა. რატომ? თურმე მას ორი პრინციპული მიზეზი ჰქონდა და მათ შესახებ ფრანგმა სპეციალისტმა „სანს“ უამბო. ამაზე სალაპარაკოდ „მარსელის“ თავკაცი თვით **კენი დალგლიშს** შეხვედრია, რომელიც იმხანად, კლუბის დავალებით, სამსახურიდან ახალი გაშვებული **რაფა ბენიტესის** შემცვლელს ეძებდა. როგორც იცით, შემდეგ მერსისაიდელებმა არჩევანი **როი ჰოჯსონზე** შეაჩერეს.

ხვალ 42 წლის დეშამი კვლავ ინგლისურ „თემას“ ეჭიდება, ჩემპიონთა ლიგაში სერ **ალექს ფერგიუსონს** უნდა დაუპირისპირდეს - „ველოდრომზე“ „მარსელი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს. გასული ზაფხულის ამბავს კი „იუვენტუსისა“ და „ჩელსის“ ყოფილი ვარსკვლავი ასე იგონებს:

„როდესაც გავიგე, რომ „ლივერპული“ მწვრთნელობას მთავაზობდა, უზომო სიამაყე ვიგრძენი, მაგრამ მაინც „მარსელში“ დავრჩი. პასუხის მოსაფიქრებლად ორ წამზე მეტი არ დამჭირვებია. რასაკვირველია, „ლივერპულის“ დონის გუნდი სამსახურს ყოველდღე არ გთავაზობს და ასეთ დროს უარის თქმა ძნელი საქმეა, მაგრამ აქ, მარსელში პირობა მქონდა მიცემული. იმხანად „ველოდრომზე“ დადებული კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წელინადი მრჩებოდა, ხოლო პრეზიდენტს, ფეხბურთელებს და ფანებს დავპირდი, რომ საქმეს ბოლომდე მივიყვანდი. „მარსელში“ არიან მოთამაშეები, რომლებიც აქ ჩემი გულისთვის მოვიდნენ. მათი მიტოვება არაფრით შეიძლებოდა. თან „ლივერპულმა“ მწვრთნელობა რომ მთხოვა, სეზონისწინა შეკრებამდე ორი დღეღა რჩებოდა. მოკლედ, სიტყვის კაცი გახლავართ და ყოველმხრივ ხელფეხ შეკრული ვიყავი.

იყო მეორე მომენტიც: სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა, სადაც საფრანგეთის ნაკრების ბანაკში დიდი სკანდალი აგორდა. ასეთ დროს ჩემი ხალხისთვის იმის თქმა, რომ „მარსელს“ ვტოვებ და ინგლისში გავრბივარ, ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა“.

დიდიე დეშამი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალტიტულიანი ფეხბურთელია. ის გახლდათ მსოფლიოს, ევროპის, საფრანგეთის და იტალიის სამგზის ჩემპიონი. ჩემპიონთა ლიგა ერთხელ „მარსელის“ და ერთხელაც „იუვენტუსის“ შემადგენლობაში მოიგო. ფლობდა ევროპის სუპერთასს, იტალიის თასსა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასს. დეშამი ფრიად წარმატებულია როგორც მწვრთნელიც: 2004 წელს ფრიად საშუალო დონის „მონაკო“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, სადაც **ჟოზე მოურინიოს** „პორტუსთან“ დამარცხდა. შემდეგ დეშამი „იუვენტუსში“ გადავიდა. ტურინელები 2006 წელს საფეხბურთო გარიგებებში ამხილეს, სერია A-დან გააგდეს და სწორედ მაშინ დაუდგა „სიტყვის კაცი“ მხარში თავის ყოფილ გუნდს. მისი ხელმძღვანელობით „ბებერი ქალბატონი“ უმაღლეს დივიზიონში დაბრუნდა. „მარსელში“ მისულმა კი გუნდს საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოაგებინა - „ველოდრომზე“ ქვეყნის ჩემპიონობა 17 წელინადი არ ეზიმათ.

დეშამი ამბობს, რომ კენი დალგლიშისთვის უარის თქმა სულაც არ იყო განპირობებული იმით, რომ „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ გამოდიოდა, თუმცა ის, რომ ძველი მეპატრონეების, **ჯორჯ ჯილეტისა** და **ტომ ჰიკსის** ხელში დირექტორატში საქმეები არეული იყო, ფრანგმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა.

„მონაწილეობს თუ არა გუნდი რომელიმე კონკრეტულ წელიწადს ჩემპიონთა ლიგაში ჩემთვის გადამწყვეტი არ არის. მთავარი სპორტული პროექტია, ის მიზნები და პირობები სადაც მე მუშაობა მომიწევს. „ლივერპულის“ დღევანდელი და ზაფხულის დროინდელი პროექტი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. თან მაშინ დღის წესრიგში კლუბის გაყიდვა იდგა“.

და ბოლოს, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრის შესახებ. „მარსელის“ მწვრთნელმა კარგად იცის, რომ მათ წყვილში ფავორიტი „იუნაიტედია“, მაგრამ განა 2004 წელს ზუსტად ასე არ იყვნენ „რეალი“ და „ჩელსი“ „მონაკოსთან“?

„მჯერა, რომ ჩვენ „იუნაიტედის“ დამარცხება შეგვიძლია. ამისა თავად რომ არ მწამდეს, ფეხბურთელებს მოედანზე მოსაგებად გასვლას როგორ ვთხოვდი? რასაკვირველია, ჩვენ საკუთარ თავს დიდი ამოცანის წინაშე ვაყენებთ. „იუნაიტედის“ ამოცანა ხომ მხოლოდ ჩვენი დამარცხება კი არა, ყველა შემდეგი ეტაპის გავლა და თასის მოპოვებაა. მანჩესტერელები თავს შესანიშნავად იცავენ და შეტევაშიც უზომოდ ნიჭიერი ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებულნი, მაგრამ მათ დაცვაში ერთი-ორი სუსტი წერტილი მაინც შევნიშნე. მე მათზე ინტერვიუში ცხადია არ ვილაპარაკებ, მაგრამ მათი არსებობა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ორივე შეხვედრაში დაცვაში არ ვიდგებით, რადგან შანსი წინაც გვაქვს“.

მაშ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ უნდა ეშინოდეს?

„კარგი იქნება, თუ მანჩესტერელები „ველოდრომზე საკუთარ თავსა და იოლ გამარჯვებაში აბსოლუტურად დარწმუნებულები გამოვლენ. თუ „იუნაიტედი“ „მარსელს“ დაამარცხებს, არავის გაუკვირდება, ხოლო „მარსელის“ მოგება დაუვიწყარ შედეგად შევა ისტორიაში“.

ვესტ ჰემი

მეტიუ აფსონი (მარცხნივ) საჰაერო ორთაბრძოლისას

აპსონის დასასრული და ბა

„ვესტ ჰემის“ კაპიტანი **მეტიუ აპსონი** აქილევსის მყესის ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილ მცველს ლონდონელებთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა, ასე რომ, შეიძლება ითქვას, მისი კარიერა „აპტონ პარკზე“ დასრულდა.

აპსონის გამოკლებამ „ჩაქუჩთა“ თავკაცი **ავრამ გრანტი** და მისი ასისტენტი **უოლი დაუნესი**, რომელსაც დაცვა აბარია, საგონებელში ჩააგდო. ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ჩაქუჩებს“ მცველთა დიდი არჩევანი არ დარჩათ. მათ განკარგულებაში არიან პორტუგალიელი **მანუელ და კოსტა**, ადგილობრივი სკოლის აღზრდილი **ჯეიმს ტომკინსი** და ახალზელანდიელი **უინსტონ რიდი**.

31 წლის აპსონი, რომელსაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 21 შეხვედრა აქვს ჩატარებული, მოედნიდან ორი კვირის წინ, „ბირმინგემთან“ შეხვედრაში გავიდა კოჭლობით. ის შეხვედრა „ვესტ ჰემმა“ 1:0 წააგო. აღსანიშნავია, რომ მაგჩის წინ ექიმებს მის ტრავმაზე უკვე ჰქონდათ ეჭვი, მაგრამ აპსონმა მაინც ითამაშა. როგორც გაირკვა, ამ შემთხვევაში რისკი წამგებიანი ყოფილა, რის გამოც „ვესტ ჰემს“, წუხელ, „ბარნლისთან“, ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელის გარეშე მოუწია თამაშმა.

რა ღონე უნდა იხმაროს გრანტმა აპსონის დატოვებული სიცარიელის შესავსებად? სავარაუდოდ, მთელი დარჩენილი სეზონის განმავლობაში დაცვის ცენტრში ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** ითამაშებს.

ამრიგად, დაცვაში „ჩაქუჩებს“ პრობლემები აქვთ, მაგრამ იქნებ თავდასხმაში გაუმართლოს? გრანტს ამ იანვარში გერმანული „ჰოფენჰაიმიდან“ ნაყიდი, საფრანგეთში დაბადებული სენეგალელის 25 წლის **დემბა ბასი** ეიმედება, იგი ახალ დროებად მიაჩნია. ჯერჯერობით ბა ამართლებს კიდეც. ლონდონში გადმობარგებისთანავე მოახერხა თავის გამოჩენა - „ვესტ ბრომვიჩს“ 3:3 დასრულებულ შეხვედრაში ორი გოლი გაუტანა. იმ შეხვედრაში „ჩაქუჩებმა“ მართლაც ივაჟკაცეს, 3:0-ს აგებდნენ და ანგარიში გაათანაბრეს.

„თქვენ გაინტერესებთ ჰგავს თუ არა ის დროგბას? - ეკითხება ჟურნალისტებს გრანტი - დიახ, ჰგავს. ის ძალიან კარგი თავდამსხმელია. კარგა ხანია ბუნდესლიგაში მის თამაშს ვაკვირდები და ვხედავ, რომ მცველებს მის წინააღმდეგ თამაში ძალიან უჭირთ. მას გოლის საუცხოო ალღო აქვს. ბას დიდი პლუსი ის არის, რომ ყველგან შეუძლია თამაში - შუაში, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ამწუთას ის საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ არც ვაჩქარებთ. ჩვენ ის თანდათანობით მიგვყავს სასურველ კონდიციამდე“.

ბამ „ჰოფენჰაიმის“ შემადგენლობაში 100-ზე ნაკლებ შეხვედრაში 37 გოლი გაიტანა, მაგრამ მუხლი იტკინა და ამის გამო „შტუტგარტმა“ და „სტოკმა“ მის ყიდვაზე უარი თქვეს - ექიმებმა დაიწუნეს.

გრანტმა განაგრძო: *„მისი ფასი 15 მილიონი ფუნტია, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო მხოლოდ და მხოლოდ 6 მილიონად შევიძინეთ. პირველად ცხოვრებაში ფეხბურთელის ტრავმამ ხელი შემიწყო“.*

გვერდი მოამზადა

ილია ბაბუნაშვილმა

იტალია. სერია A. XXV ტურის გამოხმაურება

ჭოჭი დაუჯერებს მონტელას?

ტურის მიმოხილვა და არა მარტო

ბებერი ძალბატონის კრიტიკული დღეები

„იუვენტუსის“ კრიზისი თითქოს „ინტერის“ ძლევით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა - ტურინული გრანდი ლეჩეში ჩავიდა და ადგილობრივ გუნდთან შერცხვა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე **ლუიჯი დელ ნერიმ** ტრადიციად ქცეული სიტყვები თქვა: *„ამ მარცხისგან კარგი გაკვეთილი მივიღეთ და უკვე ვიცით, რა უნდა გამოვასწოროთ და სად გვაქვს ხარვეზები“*. თუმცა, „იუვეს“ მთავარმა მწვრთნელმა მეტოქის უპირატესობაც აღიარა და დასძინა, რომ „ლეჩემ“ სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. მეტიც, მწვრთნელის თქმით, მისი გუნდი განადგურებას გადაურჩა და ამას იღბალს უნდა უმადლოდეს.

ახალი „იუვენტუსის“ შენება ლუიჯი დელ ნერისთან ერთად თავის თავზე **ჯუზეპე მაროტამ** აიღო, შესაბამისად, კრიტიკა არც კლუბის სპორტულ დირექტორს აკლია. თავად მაროტა სიმშვიდეს ინარჩუნებს და სჯერა, რომ „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს: *„მესმის გულშემატკივრების, რომლებიც შეშფოთებულნი არიან გუნდის ასპარეზობით, მაგრამ პირადად მე, საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. გუნდი სწორი გზით მიდის და შედეგები აუცილებლად მოვა, იქამდე კი სიმშვიდე უნდა გამოვიჩინოთ და მწვრთნელს მუშაობის საშუალება მივცეთ. სერია A-ს მიმდინარე გათამაშების დასრულებამდე კიდევ არაერთი ტურია დარჩენილი და მდგომარეობის გამოსწორების საშუალება ნამდვილად გვაქვს. დარწმუნებულიც კი ვარ, რომ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ. მთავარია ერთად დავდგეთ და გავუმკლავდეთ იმ პრობლემებს, რომლებიც სახეზეა. გულშემატკივართა მხარდაჭერაა უმნიშვნელოვანესი, რომელსაც მუდმივად ვგრძნობთ“*.

„რომას“ ახალი თავკაცი ვინჩენცო მონტელა

რომას მწვრთნელი დაუნიშნეს

ძნელად წარმოსადგენი კია, როგორ აძლევს **ვინჩენცო მონტელა** მითითებებს **ფრანჩესკო ტოტის**, მაგრამ ფაქტია, რომ მინიმუმ სეზონის ბოლომდე ასეთი სურათის ხილვა არაერთხელ მოგვიწევს. დიახ, „ჯალოროსის“ მესვეურებმა არჩევანი გუნდის ექსფეხბურთელზე შეაჩერეს, რომელიც მხოლოდ 35 წლის არის და სამწვრთნელო საქმიანობაში პირველი ნაბიჯები უნდა გადადგას. ხელშეკრულებას 2011 წლის 30 ივნისამდე აქვს ვადა და თუ მხარეები კმაყოფილები დარჩებიან თანამშრომლობით, კონტრაქტიც გახანგრძლივდება. მონტოლა რთულ პერიოდში ჩაუდგა გუნდს სათავეში, ფეხბურთელები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არიან მოქცეულნი და თითქოს მოტივაციაც არ ჰყოფნით, რომ ბრძოლა გააგრძელონ. „ჯენოასთან“' განცდილი მარცხის შემდეგ, ტრიგორიისკენ მიმავალ ავტობუსს ტიფოზებმა კვერცხები დაუშინეს, რითიც უკიდურესი უკმაყოფილება გამოხატეს. ასეთ ვითარებაში მოჰკიდა საქმეს ხელი ვინჩენცომ და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. და მაინც, ტოტი დაუჯერებს მონტელას?

ტურის სიმბოლური ნაკრები

ჟილე (ბარი) - **სანტაკროჩე** (ნაპოლი), **ვიდალი** (სამპდორია), **კანინი** (კალიარი), **ბრივიო** (ლეჩე) - **მესბაჰი** (ლეჩე), **ლაძარი** (კალიარი), **ერნანესი** (ლაციო) - **ტოტი** (რომა), **პალოსკი** (ჯენოა), **პალასიო** (ჯენოა).

„ბარის“ ერთადერთი ნათელი წერტილი მეკარე **ჟილე** გახლავთ, რომელმაც „ლაციოსთან“ წაგებულ შეხვედრაში უამრავჯერ გადაარჩინა გუნდი გოლისგან და სრულიად დამსახურებულად მოხვდა რჩეულ ფეხბურთელთა შორის. საინტერესოდ გამოიყურება თავდასხმის ხაზი, სადაც სამივე ფეხბურთელი ერთი მატჩიდან მოხვდა. „ჯენოა“-“რომას“ დაპირისპირებაში შემტევებმა იძალეს დაცვაზე და შედეგიც საზეზეა: **როდრიგო პალასიო** და **ალბერტო პალოსკი** „ჯენოადან“, **ფრანჩესკო ტოტი** კი „რომადან“. აღსანიშნავია, რომ მეექვსედ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის „ლაციოს“ შემტევი ნახევარმცველი **ერნანესი**. ბრაზილიელმა გამარჯვების გოლი გაუტანა „ბარის“ და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა „ბიანკოჩელესტეს“.

ტურის მოვლენა

„რომამ“ ძალიან ცუდად დაიწყო სეზონი და კარგა ხანი ცხრილის ფსკერზე განისვენებდა. მაშინვე დაიწყო საუბრები იმაზე, რომ კლაუდიო რანიერის პოსტის დატოვება მოუხდებოდა. ალბათ,

ალბერტო პალოსკო - ტურის გმირი ტურის მატჩში

ჯობდა ასეც მომხდარიყო, მაგრამ „ჯალოროსიმ“ გამოასწორა მდგომარეობა და ერთი ხანობა, ოთხეულშიც შეაბიჯა. თუმცა, სეზონის მეორე ნახევრიდან აღმასვლას ისევ კრიზისი მოჰყვა, რასაც შეენირა კიდეც რანიერის სკამი. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე „შახტართან“ განცდილი მარცხის შემდეგ, მწვრთნელს ბოლო შანსი მისცეს და გენუაში საბრძოლველად გაუშვეს - თუ რა მოხდა „სტადიო მარასიზე“, ქვემოთ ვისაუბრებთ, ტურის მოვლენა კი უდავოდ კლაუდიო რანიერის „რომადან“ წასვლაა.

ტურის მატჩი და გმირი

ეს ორი ნომინაცია გავაერთიანეთ, რადგან ერთი შეხვედრის ირგვლივ მოგვიწევს საუბარი. „რომა“ სამი ბურთის სხვაობით უგებდა „ჯენოას“ და საბოლოო ჯამში, 4:3 დამარცხდა. ამაში ლომის წილი ახალგაზრდა თავდამსხმელს ალბერტო პალოსკის მიუძღვის, რომელმაც ორჯერ შეარხია რომაელთა კარის ბადე. ალბერტო „მილანის“ აღზრდილია, რამდენიმე შეხვედრა „როსონერის“ მთავარ გუნდში აქვს ნათამაშები, რის შემდეგაც „პარმაში“ გაანათხოვრეს. ამ ზამთარს „ჯენოაში“ მოხვდა და თავისი პირველი გენუური გოლი სნორედ გასულ კვირას გაიტანა. პირველს მეორეც მიაყოლა და მთავარი შემოქმედი გახდა იმ გამარჯვების, რომელზეც გენუასა და თელს იტალიაში კიდევ დიდხანს ისაუბრებენ.

ტურის შეცდომა

ჯერ ის ვთქვათ, რომ ტურის შეცდომა **ჯანლუკა პეჯოტომ** დაუშვა, შემდეგ კი განვმარტოთ, ვინ არის ეს ადამიანი... არც ფეხბურთელია და არც მწვრთნელი - პეჯოტო „ინტერი“-„კალიარის“ შეხვედრაში ლაინსმენი გახლდათ და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ეს შეცდომა სარდინიელებს გაშვებულ გოლად დაუჯდათ, „ინტერმა“ კი ძვირფასი სამი ქულა ჩაინერა აქტივში. ეს ამბავი მხოლოდ ამ ორი გუნდისთვის არ გახლავთ მნიშვნელოვანი, რადგან „ნერაძური“ სასკუდეტო მარათონშია ჩაბმული. ამად არის, რომ „მილანის“ და „ნაპოლის“ მესვეურებმა კიდევ ერთხელ აიმაღლეს ხმა მსაჯთა შეცდომებზე და „ინტერის“ გამარჯვებას დაუმსახურებელი უწოდეს. ვერ გეტყვით, როგორ განვითარდებოდა და მოვლენები პეჯოტოს რომ ალამი აეწია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - „ნერაძურიმ“ ოფსაიდიდან გატანილი გოლით გაიმარჯვა. ამას „ლეგა კალჩოს“ სამსაჯო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, **სტეფანო ბრასკიც** ადასტურებს:

„ლაინსმენმა ნამდვილად დაუშვა შეცდომა და ამის უარყოფა შეუძლებელია. იმ ეპიზოდში „კალიარის“ საჯარიმოში ბევრი ფეხბურთელი ირეოდა და საკმაოდ რთული იყო იმის განჭვრეტა, იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა. თუმცა, ეს არ ამართლებს მთავარი მსაჯის თანაშემწეს, არბიტრები სწორედ იმიტომ იღებენ კვალიფიკაციას და მაღალ ხელფასებს, რომ სწორედ ასეთ სიტუაციებში მიიღონ სწორი გადაწყვეტილება“.

ტურის ფრაზები

კლაუდიო რანიერი (რომას მთავარი მწვრთნელი): *„ყოველთვის კარგი მსურდა „რომასთვის“, მაგრამ ჩემთვის მისი მწვრთნელობა ისტორია დასრულდა. ფეხბურთელებს უკვე დავემშვიდობე და წარმატებები ვუსურვე“.*

ლუიჯი დელ ნერი (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი): *„ვერაფერში ვერ ვივარგეთ, სიმართლე გითხრათ, ძალიან გაგვიმართლა, რომ გამანადგურებელი ანგარიშით არ წავაგეთ“.*

ციფრები და ფაქტები

- სამბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა და გამარჯვების მოპოვება 2001 წელს „ბარისთან“ პაექრობაში „პერუჯამ“ მოახერხა. და აი, ათი წლის შემდეგ იგივე „ჯენოამ“ გაიმეორა;

■ ■ ■

- 2010 წლის 3 ოქტომბრის შემდეგ, „ლეჩემ“ პირველად შეინახა საკუთარ მოედანზე კარი მშრალად;

■ ■ ■

- **მასიმილიანო ალეგრიმ** მეასე გამარჯვება მოიპოვა სამწვრთნელო კარიერაში. სულ მის ანგარიშზე 259 შეხვედრაა: 100 გამარჯვება, 73 ფრე და 86 მარცხი;

■ ■ ■

- „კიევოსთან“ გამარჯვება „მილანმა“ **სილვიო ბერლუსკონის** კლუბის სათავეში მისვლის 25-ე წლისთავაზე მოიპოვა. ბუნებრივია, რომ წარმატება პრეზიდენტს მიეძღვნა;

ლაშა წიკლაური

ამბები მოკლედ

ახალი ტრანზიციული პოლიტიკა

კონტრაქტი ვუდგეიტს

უახლოეს ხანებში „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობა 31 წლის მარადტრავმირებულ **ჯონათან ვუდგეიტს** ახალ ხელშეკრულებას შესთავაზებს. მოგეხსენებათ, მან უკანასკნელი წელიწად-ნახევარი გამოტოვა და ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „მილანთან“ დაბრუნებისთანავე ახალი დაზიანება მიიღო. ამჯერად სერიოზული არაფერია და ჯონათანი თამაშს უკვე ერთ კვირაში შეძლებს. ინგლისის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელზე **ჰარი რედნაპი** დიდ იმედებს ამყარებს, ამის შესახებ მან „სქაი სპორტსს“ განუცხადა.

აქვე მოგახსენებთ მეორე ამბავს, რომელიც „დეზების“ ბანაკს ეხება. იმავე ჰარი რედნაპის განცხადებით, ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს სეზონის ბოლოს გუნდიდან **ლუკა მოდრიჩის** გაშვებას. მასმედია კულუარული ქორებით ნასაზრდოები ხმების გავრცელებას არ უშინდება და აცხადებს, რომ სერ **ალექს ფერგიუსონი** მზადაა, ხორვატში 35 მილიონი ფუნტი გაიღოს, რადგან მისი გათვლით ფეხბურთიდან მიმავალი **პოლ სქოულზის** შეცვლას მასზე უკეთ ვერავინ შეძლებს. *„ლუკა მხოლოდ კარგი ფეხბურთელი კი არა, ბრწყინვალე ადამიანია. ასეთ ფეხბურთელებს და ასეთ პიროვნებებს გუნდში იოლად ვერ შეცვლი. ის ბოლომდე იხარჯება ყველგან, სადაც მისი იმედი აქვთ. თუკი კონკურენტუნარიანი გუნდის აშენება გვინდა, რომელიც ყოველ წელს იბრძოლებს ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად, ასეთი ვარსკვლავები ულაპარაკოდ უნდა შევინარჩუნოთ“*, - აცხადებს რედნაპი.

ლევან ბიბილაშვილი

ლივერპული: კონტრაქტები ლიდერებს

„ლივერპულის“ ახალი ხელმძღვანელობა მზადაა, გუნდის წამყვან მოთამაშეებს კონტრაქტების გახანგრძლივება შესთავაზოს. პირველ რიგში ლაპარაკია **პეპე რეინასა** და **დირკ კუიტის** შესახებ. მერსისაიდელები თავიანთ მეკარეს კვირაში 10 ათასი ფუნტით მეტ ანაზღაურებას ჰპირდებიან. ამით მათ ესპანელის „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლო გადასვლის სცენარის თავიდან არიდება სურთ. თავის მხრივ რეინასა აგენტი აცხადებს, რომ მისი კლიენტი მზადაა „მანიუს“ წინადადებას მოუსმინოს, რადგან მას ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა სურს. რაც შეეხება კუიტს, ჰოლანდიელს „ლივერპულთან“ ხელშეკრულება 2012 წლის ივლისში ეწურება და თუკი ის შემდგომ თანამშრომლობაზე არ დათანხმდა, კლუბს მისი გაყიდვა მოუწევს, - გვამცნობს ჟურნალი „ფიფლი“. „დეილი სტარის“ ინფორმაციით კი, **მარტინ შკრტელის** გადაბირებას ზაფხულზე „ვოლფსბურგი“ შეეცდება. გერმანელებს საამისოდ 5 მილიონი ფუნტი უკვე გამზადებული აქვთ.

ლევან ბიბილაშვილი

ბონავენტურ კალუმ კარიერა დაასრულა

სოლომონ კალუს უფროსმა ძმამ, **ბონავენტურ კალუმ** 33 წლის ასაკში კარიერა დაასრულა. უკვე ერთი წელია, რაც კოტ დ'იუვარელი უკლუბოდაა და უშედეგოდ ეძებს სასურველ კლუბს. გასულ კვირას კი 33 წლის ფორვარდმა უშედეგო ძიებას წერტილი დაუსვა და კარიერის დასრულება გადაწყვიტა. საუკეთესო წლები მან როტერდამის „ფეიენოორდში“ გაატარა, სადაც იგი უეფას თასის გამარჯვებული გახდა. მან როტერდამში 6 წელი ითამაშა და 149 შეხვედრაში 35 გოლი გაიტანა. მას ასევე უთამაშია ისეთ გუნდებში, როგორებიცაა „ოსერი“, „პსგ“ და „ჰერენვენი“. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს: კოტ დ'იუვარის ფორმით მან 51 თამაშში 12 გოლის გატანა მოახერხა.

გიორგი ბუაჩიძე

BUNDES LIGA

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტურის გამოხმაურება

ბაიერნი ფორმაშია!

მაგრამ მაინც: დაცვას მიხედე, ლუის, დაცვას!

Flop: დაწყევლილი შალკე

„შალკემ" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში, „ვალენსიასთან" ძალიან კარგად ითამაშა და „მესტალიაზე" სასურველ ფრესაც (1:1) მიაღწია. წესით, ამ წარმატებას გელზენკირხენულ გუნდზე ბუნდესლიგისთვისაც კარგად უნდა ემოქმედა, მაგრამ არა: კვირას სულ სხვა, ძველი და ისევ ის უნიათო „შალკე" ვიხილეთ. **ფელიქს მაგათის** გუნდი აუტსაიდერ „გლადბახთან" 1:2 დამარცხდა.

მიმდინარე სეზონში „შალკეს" ერთი უცნაური ჩვეულება აქვს: რამდენჯერაც კარგად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში, იმდენად ცუდად თამაშობს მერე ბუნდესლიგაში. სასწაული რომ მოხდეს და „შალკემ" ჩემპიონთა ლიგა მოიგოს, ევროპის ელიტური საკლუბო ლიგის პირველი გამარჯვებული იქნება, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ლიგაში იასპარეზებს...

Flop: პაულის ანტირეკორდი

„ზანკტ პაულის" ფეხბურთელები „ჰამბურგთან" მოგებული დერბის შემდეგ მეცხრე ცაზე იყვნენ და სხვას ვის უნდა დაებრუნებინა კიცელები მიწაზე, თუ არა დორტმუნდის „ბორუსიას". „ვესტფალენშტადიონზე" „ზანკტ პაულის" ნაგება, რა თქმა უნდა, არავის გაჰკვირვებია, მაგრამ **ჰოლგერ სტანისლავსკის** ფეხბურთელებმა 90 წუთის განმავლობაში დორტმუნდის კარისკენ სულ სამჯერ დაარტყეს, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან ცოტაა.

მეტსაც გეტყვით: მიმდინარე სეზონში ასე ცოტა დარტყმა ერთ თამაშში არც ერთ სხვა კლუბს არ ჰქონია.

Flop: აინტრახტი აჭრილია

„აინტრახტში" მონასტერი აირია. „ნიურნბერგთან" 0:3-ის შემდეგ, ფრანკფურტელთა მთავარ მწვრთნელ **მიხაელ სკიბეს** მოწინააღმდეგეები მოუმრავლდნენ. ამას წინათ სკიბემ თავდამსხმელი **იოანის ამანატიდისი** გუნდიდან მოკვეთა და თქვა, ძალიან ცუდად იქცევა და აღარ ვათამაშებო. არადა, ამანატიდისი ფრანკფურტის პუბლიკის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. შეფების მოთხოვნით, სკიბემ ბერძენი ფორვარდი გუნდში მაინც დაბრუნა და „ნიურნბერგთან" მოედანზე 72-ე წუთზეც შეუშვა, მაგრამ ამ ამბავმა სკიბეს მდგომარეობა არ შეამსუბუქა. სკიბეს ავტორიტეტი მაგრადაა შელახული.

Flop: ყანა ბრუხვეგზე

საკუთარ მოედანზე „ბაიერნთან" 1:3 წაგების შემდეგ „მაინცის" მთავარმა მწვრთნელმა **თომას ტუხელმა** თქვა, ჩვენი სტადიონის მოედნის საფარი ისეთ საშინელ მდგომარეობაშია, რომ ბუნდესლიგას არ შეეფერებაო. „ბრუხვეგშტადიონის" მინდორი სატელევიზიო ექსპერტმა **იენს ლემანმაც** დაიწუნა და მაინცელებს ახალი, კარგი მინდორი უსურვა.

Flop: პერის ჯოჯოხეთი

„ვერდერი" პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლას მიჩვეული არ არის და ბრემენულ კლუბში ამიტომაცაა ქაოსური მდგომარეობა. თუკი აქამდე ასე არ იყო, „ჰამბურგთან" ჩრდილოეთის დერბიში განცდილი კრახის (0:4) შემდეგ „მუსიკოსები" სასონარკვეთილები არიან. ბრემენული ავბედობის საუკეთესო მაგალითი კი **პერ მერტეზაკერია**. გერმანიის ნაკრების მცველი კარიერის ყველაზე საშინელ სეზონს ატარებს. პერმა „ჰამბურგთანაც" ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. პირველი ორი გოლი კი უშუალოდ მის სინდისზე იყო.

Top: ფანტასტიკური ფავრი

სადებიუტო მატჩში „შალკეს" დამარცხებისა და აქედან გამომდინარე მიონხენგლადბახში გადარჩენის იმედის ნაპერწკლის გაღვივების შემდეგ, „გლადბახის" ახალი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ნებისმიერ კითხვაზე პასუხს სიტყვა „ფანტასტიკურით" იწყებდა. ერთადერთი კითხვა, რაზეც მოკიაფეთვალებიანმა შვეიცარიელმა თქვა, ეს ნაღდად არ იყო ფანტასტიკურიო, მატჩის პირველ წუთს ეხებოდა - ბოლოადგილოსანმა „ბორუსიამ" პირველ წუთზე ხომ გოლი გაუშვა. ისე კი, ლუსიენი ბედნიერი და კმაყოფილი იყო ყველაფერ იმით, რაც „ბორუსია-პარკზე" პირველი წუთის შემდეგ მოხდა.

მატჩის წინ „გლადბახის" შეფები ამბობდნენ, თუ მეორე ბუნდესლიგაში გავვარდებით, ლუსიენ ფავრთან ერთად გავვარდებითო. თუ ასე გააგრძელებს, მიონხენგლადბახური კლუბი ნაღდად არ გავარდება. გუნდმა 2010 წლის 9 აპრილის შემდეგ პირველი საშინაო მატჩი მოიგო და თანაც, კონკურენტები დამარცხდნენ. ფავრისთვის ესეც ფანტასტიკურია.

Top: დუტის ყნოსვა

„ფრაიბურგის" თავკაცმა **რობინ დუტმა** „ვოლფსბურგთან" მატჩში (2:1 „ფრაის" სასარგებლოდ) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი სპეციალისტია...

„ანტონ პუცილას ხელით განგებ არ უთამაშია," - თქვა მატჩის შემდეგ დუტმა და დასძინა, - ამას ისე ვამბობ, როგორც „ფრაიბურგის" დამრიგებელიო, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ „ვოლფსბურგის" მწვრთნელი რომ ყოფილიყო, სხვანაირ კომენტარს გააკეთებდა. ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ პუცილას ხელით თამაშს „ვოლფსბურგის" კარში **შტეფან რაიზინგერის** მიერ გატანილი გოლი მოჰყვა. რაიზინგერი კი იქ რომ იდგა, სადაც იდგა, სწორედ დუტის დამსახურებაა. გოლამდე ორი წუთით ადრე რობინმა „ფრაიბურგის" ლიდერი **იან როზენტალი** მოედნიდან გაიყვანა და ტაქტიკა შეცვალა - 4-4-2-ზე გადაერთო. შეცვლამ 43-ე წუთზე გაამართლა. მატჩის შემდეგ დუტმა ისიც თქვა, რომ როზენტალის შერცხვენა არ უნდოდა, მაგრამ იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო.

აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც რობინ დუტი ბუნდესლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნევა და როგორც ამბობენ, მისი გადაბირება „ლევერკუზენს" სურს.

Top: ჰამბურგი - სინათლე გვირაბის ბოლოს?

როგორც იქნა, „ჰამბურგმა" სპორტული დირექტორი იპოვა. 20-თვიანი (!) ძებნის შემდეგ გადაწყდა, რომ ზაფხულში ამ თანამდებობაზე დანიელი **ფრანკ არნესენი** დაინიშნება. ეს კი საკმაოდ დიდი სენსაციაა - არნესენი აქამდე ლონდონის „ჩელსის" სპორტული დირექტორის პოსტზე მუშაობდა, სადაც სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება. არნესენმა „ჰამბურგთან" სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

Top: ბაიერნის დროული გამოფხიზლება

„ბაიერნი" ფორმაში ზუსტად იმ დროს შევიდა, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდება. **ლუის ვან გაალის** გუნდმა „მაინცთან" (3:1) საკმაოდ კარგად ითამაშა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუნხენურ კლუბში უკვე ყველაფერი დალაგდა. **არიენ რობენი** და **ფრანკ რიბერი** ჯანმრთელები არიან, **მარიო გომესი** მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, **თომას მიულერი** თავის საყვარელ პოზიციაზე (პლეიმეიკერი) თამაშობს და **ბასტიან შვაინშტაიგერიც** სანატრელ პოზიციაზე (საყრდენი ნახევარმცველი) დბრუნდა. ერთადერთი, რაც ბავარიული გრანდის ფანებს „ინტერთან" უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ აღელვებთ, „ბაიერნის" დაცვის ხაზია...

Top: მოტივატორი კლოპი

რასაც უნდა ეუბნებოდეს **იურგენ კლოპი** თავის შეგირდებს შესვენებაზე, ფაქტია, რომ მის სიტყვებს ყოველთვის მოსდევს შედეგი. დორტმუნდის „ბორუსია" მეორე ტაიმს ყოველთვის ძალიან კარგად იწყებს და ასე მოხდა „ზანკტ პაულისთან" შეხვედრაშიც. მეორე ნახევრის დაწყებიდან მხოლოდ 4 წუთი იყო გასული, როცა ბურთი ისევ კიცელთა კარში აღმოჩნდა და ტაბლოზე BVB-ს სასარგებლოდ 2:0 აენთო. „ზანკტ პაულის" ერთადერთი ნუგეში ამ ეტაპზე ისაა, რომ გუნდი სატურნირო ცხრილში კარგ საზოგადოებაშია. „დორტმუნდს" კი, ამ სეზონში მეორე ტაიმის პირველ 15 წუთში 12 გოლი აქვს გატანილი. ამბობენ, კლოპი იმდენს ახერხებს, რომ შესვენებაზე შეგირდებს პირველი ტაიმის მომენტებს ვიდეოჩანაწერში უანალიზებსო. როგორც ჩანს, ეს ფეხბურთელებსაც ისე მოსწონთ, როგორც ნებისმიერ მაყურებელს, როცა ტელევიზორში, შესვენების დროს, პირველი ტაიმის საინტერესო მომენტებს უჩვენებენ.

მიუნხენელები „ინტერთან" მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდებიან

XXIII ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 3-1-3-3)

ოლივერ ბაუმანი (ფრაიბურგი) - **ფილიპ ვოლშაიდი** (ნიურნბერგი), **ანდრეას ვოლფი** (ნიურნბერგი), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ) - **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი) - **იან შლაუდრაფი** (ჰანოვერი), **თომას მიულერი** (ბაიერნი), **გონსალო კასტრო** (ლევერკუზენი) - **მარკო როისი** (ბორუსია მ), **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი), **დიდიე ია კონანი** (ჰანოვერი)

„ჰანოვერის" თავდამსხმელი **დიდიე ია კონანი** „კიკერის" ტურის სიმბოლურ ნაკრებში შემოვიდა მოხვდა, რაც, დაგვეთანხმებით, შესანიშნავი შედეგია. მეოთხედ ეხედავთ „ფრაიბურგის" მეკარე **ოლივერ ბაუმანს**, „დორტმუნდის" მარცხენა მცველ **მარსელ შმელცერს** და „ბაიერნის" შემტევ **თომას მიულერს**. სიმბოლურში პირველად გამოჩნდნენ **იან შლაუდრაფი** და **ფილიპ ვოლშაიდი**.

ტურის გმირი

იან შლაუდრაფი (ჰანოვერი)

„კაიზერსლაუტერნთან" 3:0-ზე მოგებული მატჩის შემდეგ, რომელშიც დუბლი შეასრულა, **იან შლაუდრაფმა** თქვა, მეორე გოლის შემდეგ **ფლორიან ფრომლოვიტცთან** იმიტომ მივირბინე, რომ „კაიზერსლაუტერნს" ვხედებოდით, ფლო კი „ეშმაკებში" თამაშობდა და იქ ჯეროვნად არ დააფასესო. სხვათა შორის, ფრომლოვიტცს აღარც „ჰანოვერში" აფასებენ - სათადარიგოთა სკამს ხეხავს. კითხვაზე, თუ რატომ არ მიირბინა ფლოსთან პირველი გოლის შემდეგ, შლაუდრაფმა უპასუხა, ისე გამიხარდა, რომ ყველაფერი დამავიწყდაო. „კიკერ.მა" შლაუდრაფი ტურის გმირად დაასახელა, რაც საავსებით სამართლიანი გადაწყვეტილებაა.

საუკეთესო ფეხბურთელები

23 ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	საშ. შეფასება
1. ნური შაჰინი	ბორუსია (დ)	2.57
2. მანუელ ნოიერი	შალკე	2.59
3. შინჯი კაგავა	ბორუსია (დ)	2.62
4. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.63
5. სვენ ბენდერი	ბორუსია (დ)	2.66
6. ოლივერ ბაუმანი	ფრაიბურგი	2.68
7. რომან ვაიდენფელერი	ბორუსია (დ)	2.70
8. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.71
9. მარიო გომესი	ბაიერნი	2.75
10. კრისტიან ვეტკლო	მაინცი	2.77

გოლს ალუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	გოლი	პასი	ქულა
1. მარიო გომესი	ბაიერნი	18	3	21
2. არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	9	9	18
3. დიდიე ია კონანი	ჰანოვერი	11	7	18
4. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	16	1	17
5. თომას მიულერი	ბაიერნი	8	9	17
6. თიოფანის გეკასი	აინტრახტი	14	2	16
7. იულიან შიბერი	ნიურნბერგი	7	9	16
8. ლუკას ბარიოსი	ბორუსია (დ)	10	5	15
9. ლუკას პოდოლსკი	კიოლნი	9	5	14
10. მარკო როისი	ბორუსია (მ)	6	8	14

ამტანი ბურთი

კლუბებმა მასპინძე გადარჩნენ

„შალკეს" გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს: ცენტრალური მცველის, **კრისტოფ მეტცელდერისა** და საყრდენი ნახევარმცველის, **პეერ კლუგეს** ტრავმები სერიოზული არ აღმოჩნდა. მეტცე და კლუგე კვირას, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" წაგებული (1:2) მატჩის დროს დაშავდნენ. გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** კრისტოფი 32-ე წუთზე შეცვალა, კლუგე კი შესვენებაზე. „შალკეს" სამედიცინო შტაბის ოფიციალური განცხადებით, მეტცელდერი და კლუგე ხვალ სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში ორივე ითამაშებს. „შალკე" შაბათს „ნიურნბერგს" ხვდება.

გომესი ინტერთან ითამაშებს

„ბაიერნის" ექიმებმა თავდამსხმელ **მარიო გომესს** ხვალ გასამართავი უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის მწვანე შუქი აუნთეს. როგორც იცით, ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა შაბათს, „მაინცთან" მატჩში, რომელიც მიუნხენურმა კლუბმა 3:1 მოიგო, ტრავმა მიიღო და „ინტერთან" მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. კვირას და გუშინ გომესს ტკივილები აღარ ჰქონია, რის გამოც ექიმებმა მას „ინტერთან" თამაშის ნება დართეს.

ამასობაში, რეკორდმაისტერის ლიდერმა **არიენ რობენმა** „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ჩემპიონთა ლიგაში

უფრო უადვილდება თამაში, ვიდრე გერმანიის ჩემპიონატში. ჰოლანდიელ დრიბლიორს სჯერა, რომ „ბაიერნი" „ინტერზე" შურისძიებას შეძლებს. *„ჩემი აზრით, „ბაიერნისთვის" წელს ჩემპიონთა ლიგის მოგება უფრო ადვილია, ვიდრე გერმანიის ჩემპიონობა. უნდა ვაღიაროთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" დაწევა და მით უმეტეს გასწრება ჩვენთვის უკვე შეუძლებელია. ისე, პირადად მე, ჩემპიონთა ლიგაში თამაში უფრო მიადვილდება და მჯერა, რომ „ინტერს" გავაგდებთ,"* - უთხრა რობენმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ჰოლანდიელის აზრით, მიუნხენური კლუბი ევროპის კლუბების საუკეთესო ხუთეულში შედის.

ფეეს ალბათ გააგდებენ

მართალია, შაბათს „ჰამბურგმა" „ვერდერთან" 4:0 მოიგო, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში HSV-ს მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** უმუშევარი დარჩება. კლუბის სპორტულ დირექტორად **ფრანკ არნესენის** დანიშვნა სწორედ ამის მომასწავებელიაო, წერს გერმანული პრესა. ფეეს „ჰამბურგთან" კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება და გერმანიაში ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ ახალი სპორტული დირექტორი არნესენი მწვრთნელს ახალ ხელშეკრულებას არ გაუფორმებს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. XXIV ტურის მიმოხილვა

პეპი: ისინი თავის წონა ოქროდ ფასობენ

რა მისცა პრიმერას 24-ე ტურმა ფეხბურთის მოყვარულებს? ერთი ძალიან მაგარი მატჩი და ამ მატჩში საფეხბურთო გენიის ერთი ძალიან მაგარი გაელვება, მეკარის ფანტასტიკური გოლი მატჩის მიწურულს და რამდენიმე მოულოდნელობა. ვფიქრობთ, ერთი ჩვეულებრივი ტურისთვის არცთუ ცოტაა. „ბარსელონამ", ამჯერად, შეინარჩუნა 5-ქულიანი უპირატესობა. სამაგიეროდ, ორივე გრანდი კიდევ უფრო დაშორდა მდევრებს... არა, ასე - „მდევრებს".

ლეო მესი, მან ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის

ბევრი იბრძოლა, თუ ცოტა (უფრო კი ბევრი) ბილბაოს „ატლეტიკმა", საბოლოოდ ის მაინც დამარცხდა „კამპ ნოუზე". ბასკებს ამდენი ჯაფა წყალში ჩაუყარა პატარა, მაგრამ ჯადოქარმა არგენტინელმა **ლეო მესიმ**, რომელმაც 77-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა სტუმართა კარში. ხანდახან იფიქრებ კაცი, ხომ არ სჯობს ამდენ წვალებას, ოფლისღვრას, ტანჯვას ეგრეევე დანებდე, გაუშვა გოლი და „ბარსელონას" თამაშით მაყურებელთან ერთად შენც ისიამოვნო? შედეგი ხომ ბოლოს ყოველთვის (თითქმის) ერთნაირია - ჩემპიონი გამარჯვებული ტოვებს მინდორს. თუმცა ბილბაოელებს საამაყოდ ექნებათ, რომ ლიდერს ამ სეზონში ყველაზე დიდი ჯაფა მათ დააყენეს მისსავე მოედანზე, გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე „ერკულესმა", რომელმაც ერთადერთმა შეძლო „კამპ ნოუზე" მოგება, მაგრამ მაშინ ხომ „ბარსელონა" თავის თავს არ ჰგავდა.

თამაში კი მაგარი გამოდგა, მაგრამ დიდწილად ეს **ხოაკინ კაპაროსის** გუნდის სუპერმოტივაციის დამსახურებაა. ბასკებმა თავდადებით იბრძოლეს მსაჯის უკანასკნელ სასტვენამდე. „ბარსამ" კი მოიგო, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველამ კარგად ითამაშა - თუკი კარში **ხოსე პინტო**, რომელიც ტრავმირებულ **ვიქტორ ვალდესს** ცვლიდა, საიმედო იყო, თუკი **ანდრეს ინიესტა** ციბრუტივით ტრიალებდა შუახაზში, მესი ჯადოქრობდა, ხოლო **დავიდ ვილია** ძალზე სახიფათოდ უტევდა სტუმართა კარს, ორი საგოლე პასი მიითვალა **დანი ალვეშმა**, ვიტყვით, რომ თამაში ჩააგდო **ჟერარდ პიკემ**, რომელსაც, ვისაც არ დაეზარა, ყველამ მოუგო ორთაბრძოლა, სუსტი იყო დაცვის ცენტრში გადაყვანილი **სერხიო ბუსკეტსი** (პენალტი „აიკიდა"), აგრეთვე მის ნაცვლად მოთამაშე **ხავიერ მასკერანო**, **პედროც** სათანადოდ ვერ ეხმარებოდა მესისა და ვილიას.

ეს თამაში მე-100 იყო „ბარსას" თავკაცისთვის ლა ლიგაში, ფეხბურთელებმაც **ხოსეპ გვარდიოლას** იუბილე არ ჩაუმწარეს - პეპმა მეასე შეხვედრა მოიგო. თამაშის შემდეგ გვარდიოლა გუნდის თამაშით აღფრთოვანებული იყო. სამი წელია, რაც პეპი გუნდს წვრთნის და ჯერ მას ერთი აუგი არ დასცდენია თავის ფეხბურთელებზე, ახლა კი ქებით ცაში აიყვანა:

„დღევანდელი თამაში იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, თუ რა შეუძლიათ ამ ფეხბურთელებს. ისინი თავის წონა ოქროდ ფასობენ და რაც უნდა მოხდეს, როგორ განწყობაზეც არ უნდა დავასრულოთ სეზონი, ჩემს ამ დამოკიდებულებას მათ მიმართ იოტისოდენადაც არ შევიცვლი. არასოდეს ამ გუნდის შესაძლებლობაში ეჭვს არ შევიტან.

ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება ჩვენს თავს, სად გაუჭირდა გუნდს, რა გაგვიჭირდა. ისიც შესანიშნავად მესმის, რომ ერთი-ორ ცუდ შედეგს, კრიტიკაც მოჰყვება. დიდმა გუნდმა კი ყველაფერ ამას მხოლოდ გამარჯვებებით უნდა უპასუხოს.

ხუთი ქულით ვუსწრებთ „რეალს". დამერწმუნეთ, ეს, სეზონის ამ ეტაპზე საოცარი მიღწევაა - ჩვენი კონკურენტი დიდი გუნდია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბოლო დროის წარმატება გავიმეოროთ.

მეტოქემ დღეს ძალიან გაგვირთულა მიზნის მიღწევა - ძნელია, 9 კაცს პლუს მეკარეს ებრძოლო და გოლი გაუტანაო. იმ მომენტმა, როდესაც ლეოს ნაქცევისთვის პენალტის დანიშვნა შეიძლებოდა, კარგი სამსახური გაგვიწია - მაყურებელი აენთო და ბოლომდე ძალიან მაგრად გვიგულშემატკივრა. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი მატჩში.

დღეს ჩვენ კარლესისა და ვალდესის გარეშე ვითამაშეთ. ოპტიმისტად ვრჩები და ვიმედოვნებ, რომ ისინი მალე შემოგვიერთდებიან".

გვარდიოლამ რომ სავარაუდო პენალტი ახსენა, სწორედ ის მომენტია, როცა ლეო მესიმ სუნთქვა შეუკრა პლანეტის ფეხბურთის მოყვარულთ - გზად ხუთი ბილბაოელი მოატყუა და მეექვსეს წინაშე დაეცა.

„ბარსას" პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** „ბილბაო" შეაქო: *„აი, მესმის მეტოქე - კლუბი, რომლისგანაც მაგალითს უნდა ვიღებდეთ, რომელიც მხოლოდ საკუთარი რესურსებით გადის ფინს. საისხარულოა, რომ დღეს ორმა ასეთმა გუნდმა მაყურებელს დიდებული სანახაობა შესთავაზა".*

ეს მატჩი მესის გმირობისა იყო, მაგრამ **დანი ალვეშზეც** ვთქვათ - ბრაზილიელს 11 საგოლე პასი დაუგროვდა სეზონში. ამ მაჩვენებლით ის ევროპის მონინავე საფეხბურთო ლიგებში ნებისმიერ მცველს სჯობს.

პინტო, რომელიც უსტვენს

ეს თამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „ბარსას" სარეზერვო გოლკიპერისთვის იყი - ხოსე მანუელ პინტო მუხლმტკივან ვიქტორ ვალდესს ცვლიდა. დიახ, ხოსე და არა ჟოზე, რადგან პინტო „ბარსელონაში" კი თამაშობს, მაგრამ ანდალუსიელია და არა კატალონიელი. ის 35 წლისაა და აქამდე „ბეტისსა" და „სელტაში" უთამაშია.

სხვათა შორის, პინტოს გრანდში გზა სწორედ... სხვისმა მუხლმა გაუკაფა - 2008 წლის დასაწყისში „ბარსას" სათადარიგო გოლკიპერი **ხორკერა** შინ ერთობოდა, როცა მუხლის მყესები დაიზიანა, მეორე გოლკიპერობა პინტოს შესთავაზეს, რომელიც ვიგოს „სელტაში" თამაშობდა. დებიუტამდე კი მას სამი თვე მოუწია ცდამ. ისე, თავიდან რამდენჯერაც პინტო კარში ჩადგა, კატალონიელებმა იმდენჯერ წააგეს. მათდა ბედად, პინტო სეზონში სულ 3-ჯერ ათამაშეს. ზაფხულში იჯარით გადმოყვანილი ანდალუსიელი „ბარსამ" 500 ათას ევროდ იყიდა (ალბათ, გუნდის ნაყიდ ფეხბურთელთაგან, პინტო ყველაზე იაფი დაუჯდა „ბლაუგრანას"). ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონში კი გოლკიპერი სახალისო სკანდალში გაეხვია - „კოპენჰაგენის" **სესარ სანტინმი** უკვე დასარტყამად მოიქნია ფეხი, როცა სასტვენი შემოესმა, იფიქრა, მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირესო და გაჩერდა. შემდეგ უეფას ჩინოსნები თვალს არ უჯერებდნენ, როცა ვიდეოზე აშკარად გამოჩნდა - უსტვენდა პინტო, რომელიც შემდეგ მაგრად ხალისობდა, საფეხბურთო აფერისტობა, რომ გამოუვიდა - ვალდესის შემცვლელს მსაჯის სასტვენის იმიტაციისთვის 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

„ბილბაოსთან" მატჩში მან სტუმართა 4 დარტყმული მოიგერია, გოლი კი მხოლოდ პენალტის ნიშნულიდან გაუშვა. მან ერთხელ **ფერნანდო ლორენტეს** დარტყმული მოიგერია, რითაც მისდამი კეთილგანწყობილი „კამპ ნოუს" ოვაცია დიმასახურა:

პინტო ბედნიერებისგან მეცხე ცაზე „დაფრინავდა": *„სამი ქულა შინ დავტოვეთ. ძალიან მაგარი გრძნობაა, როცა ამდენი ადამიანი მხარს გიჭერს და შენი წარმატება ასე უხარია. ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგან ამ გამარჯვებაში წვლილი მეც მიმიძღვის. „ბარსელონაში" გატარებული თითოეული წუთი ჩემთვის საოცრებაა, ვუყურებ ნამდვილ ვარსკვლავებს, მათთან ერთად ვვარჯიშობ... მწვრთნელს შეუძლია ყოველთვის ჰქონდეს ჩემი იმედი, თამაშისთვის 100 პროცენტით ვარ მზად".*

ლა პულგა - 250

„ბარსა"-„ბილბაოს" მატჩის შემდეგ მედიასთან საუბარში ყველაზე სიტყვაძუნწი თამაშის გმირი იყო: *„კიდევ ერთ წაფორხილებას ვვრაფრით დავუშვებდით. ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და ხალხი გავახარეთ"*, - განაცხადა მესიმ, რომელსაც ასევე იუბილე ჰქონდა - „ბარსელონას" მაისურით 250-ე თამაშს ატარებდა.

სწორედ 250-ე მატჩში მან შეძლო პრიმერადივიზიონის ბომბარდირთა დავაში 25 გოლით დაწინაურება. დღეისათვის, ის ევროპის საუკეთესო მეგოლეა. **კრიშტიანო რონალდო** „ოქროს ბუცისთვის" ბრძოლაში მას ერთი გოლით ჩამორჩება, სხვები კი ძალიან შორს არიან - ურუგვაელმა **ედინსონ კავანიმ** 20 გოლი გაიტანა, ბულგარელმა **დიმიტარ ბერბატოვმა** კი - 19.

მესიმ 250 თამაშიდან 165 ლა ლიგაში ჩაატარა. იმ თამაშების 77%, რომლებშიც მესიმ ითამაშა, „ბარსამ" მოიგო.

ლეო მესი:

250 თამაში „ბარსელონას" მაისურით
ლა ლიგა: 165 თამაში, 113 გოლი
ესპანეთის თასი: 25 თამაში, 17 გოლი
ესპანეთის სუპერთასი: 5 თამაში, 5 გოლი
ევროპის სუპერთასი: 2 თამაში
ჩემპიონთა ლიგა: 51 თამაში, 31 გოლი
მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი: 2 თამაში, 2 გოლი

ლაკი არანსუბია

ალმერიაში იშვიათი რამ მოხდა, თამაშის 95-ე წუთზე, როცა „დეპორტივო" 0:1-ს აგებდა, მასპინძელთა კართან კუთხური დაინიშნა. სტუმართა 31 წლის ბასკი გოლკიპერი **დანიელ არანსუბია** მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა და ყველას დაასწრო თავით, რითაც გალისიელებს ქულა გადაურჩინა. ეს დანიელის პირველი გოლია პროფესიულ კარიერაში.

თავად გოლკიპერი მიიჩნევს, რომ მისი წვლილი დიდი არაა, უბრალოდ, ძალიან გაუმართლდა: *„მინდოდა ბიჭებს რაიმეთი დავხმარებოდი. წინ ადრეც წავსულვარ, მაგრამ გოლი არასოდეს გამიტანია და, სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არც ამჯერად მქონდა, რომ გავიტანდი. ასეთ რამეებს ვარჯიშებზე არ ამუშავებენ, ეს უბრალოდ დიდი გამართლებაა"*, - განუცხადა მეკარემ რადიო „კადენა სერს".

ლა ლიგა. XXIV ტური

რეალ სოსიედადი-მალიორკა 1:0

რეალ სოსიედადი (4-2-3-1): ბრავო - ესტრადა, ანსოტეგი, დემიდოვი, დე ლა ბელა - რივასი, არანბურუ - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა (83. ბერგარა), გრიზმანი (77. სუტილი) - ტამუდო (89. აგირეტჩე).

მალიორკა (4-2-3-1): ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რუბენი, კევინი - ჟოაო ვიქტორი (56. გონსალო კასტრო), მარტი - ნსუე, დე გუზმანი, პერეირა (70. აკი) - ვებო.

გოლი: 1:0 ტამუდო (55)

გაფრთხილება: არანბურუ - დე გუზმანი, კევინი

კუთხური: 10-5; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12-9 (4-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 22 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	24	21	2	1	73-13	65
2. რეალი	24	19	3	2	55-19	60
3. ვალენსია	24	14	6	4	38-25	48
4. ვილიარეალი	24	14	4	6	42-24	46
5. ბილბაო	24	12	2	10	38-34	38
6. ესპანიოლი	24	12	1	11	30-35	37
7. სევილია	24	10	4	10	36-38	34
8. სოსიედადი	24	11	1	12	35-37	34
9. ატლეტიკო	24	10	3	11	33-31	33
10. ხეტაფე	24	9	4	11	35-38	31
11. მალიორკა	24	9	4	11	25-31	31
12. რასინგი	24	7	7	10	21-33	28
13. დეპორტივო	24	6	8	10	21-35	26
14. ოსასუნა	24	6	7	11	25-30	25
15. ერკულესი	24	7	4	13	24-38	25
16. სპორტინგი	24	5	9	10	23-31	24
17. ლევანტე	24	7	3	14	24-36	24
18. სარაგოსა	24	5	8	11	22-37	23
19. ალმერია	24	4	9	11	24-40	21
20. მალაგა	24	5	5	14	31-50	20

ბომბარდირები: 25 - ლეო მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 16 - დავიდ ვილია (ბარსელონა).

● ამბები

პანდიანი რონალდოს: ჩემს ქვეყანაში ამისთვის დანტისტთან გაგიშვებდი

რადიო COM-თან ინტერვიუში „ოსასუნას" ურუგვაელმა ფორვარდმა **ვალტერ პანდიანიმ** რამდენიმე ტურის წინ **კრიშტიანო რონალდოსთან** მომხდარი ინციდენტი გაიხსენა: *„იმ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენ ვიყავით, ეს რომ ჩემს სამშობლოში მომხდარიყო, კრიშტიანოს დანტისტთან შევლა მოუწევდა. მაგრამ, რადგან დიდ პატივს ვცემ პუბლიკას, ის მხოლოდ ჩემ მიერ ნათქვამი რამდენიმე უხეში სიტყვით გადარჩა. ვიცი, რომ არც ეს არის კარგი საქციელი, რისთვისაც მაყურებელს ბოდიშს ვუხდი. რონალდოს ვურჩევ, ცოტათი თავმდაბალი იყოს ცხოვრებაში, ნუ დაავიწყდება, რომ ერთ დროს ღარიბი ბიჭი იყო, რომელიც პატარა კუნძულიდან ევროპაში ჩამოვიდა. მიბაძოს მესის და გადაადგოს თავისი სულელური ჩვევები, თორემ ერთხელაც ცუდად დაამთავრებს".*

სხვათა შორის, რონალდოს ბოლო ტურშიც შეემთხვა მცირე ინციდენტი, „ლევანტესთან" მატჩის მიმდინარეობისას, სტუმართა ერთ-ერთი ფეხბურთელი წაიქცა, თუმცა რონალდომ ამას ყურადღება არ მიაქცია, შეუტია და კარშიც დაარტყა, რითაც გუნდის ახოვანი კაპიტნის, **სერხიო ბალესტეროსის** რისხვა დაიმსახურა. ბალესტეროსმა გაინია პორტუგალიელზე, მაგრამ თანაგუნდელებმა და „რეალის" სხვა ფეხბურთელებმა შეაჩერეს.

ვალდესი გადარჩა?

„ბარსელონას" ძირითადმა გოლკიპერმა **ვიქტორ ვალდესმა** კვირა საღამოს ცნობილ დოქტორ **რამონ კუგატს** მიაკითხა კლინიკაში, რათა ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყო, რა არის მიზეზი მუხლის ამოუცნობი ტკივილებისა, რომელიც მას „არსენალთან" მატჩის შემდეგ გამუდმებით აწუხებს. კუგატმა დაასკვნა, რომ მარცხენა ფეხის მუხლის უკანა კუნთები დაჭიმულია და მას ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება. თუკი კუგატის დასკვნა გამართლდება, ვალდესი 2 კვირას გამოტოვებს და არა 6-ს, როგორც აქამდე ეგონათ. ასეთ შემთხვევაში, მას 8 მარტს „არსენალთან" საპასუხო მატჩში თამაშის შანსი აქვს.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

მოურინიო: ლიონი ჯადოა, რომელიც უნდა მოვიშოროთ!

ლიონი ლისანდრო ლოპესის გარეშე იბრძოლებს

ექვსი წელია, მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა ლიგას მერვედფინალში ეთიშება. ზედიზედ ექვსჯერ მერვედფინალურ ეტაპს რომ ვერ გასცდა, ეს „სამეფო გუნდისთვის", რბილად რომ ვთქვათ, დიდი სირცხვილია. მადრიდელთათვის სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: „რეალი" ისევ „ლიონს" გადაეყარა...

როცა „რეალი" უკანასკნელად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, რაც 2004 წელს მოხდა, **ჟოზე მოურინიო** ჯერ არ იყო „განსაკუთრებული", **კრიშტიანო რონალდო** „მანჩესტერ იუნაიტედში" თავის სადებიუტო სეზონს ატარებდა, ხოლო **მესუთ იოზილი** კი სულაც 15 წლის ბავშვი გახლდათ და ესსენის „როტ-ვაისში" ბურთაობდა. მას მერე ზუსტად შვიდი წელი გავიდა და დღეს, „ლიონთან" პირველი მერვედფინალური მატჩის წინ, მთელ მადრიდს პირველ რიგში ზემოთ ხსენებული სამეულის იმედი აქვს.

„ლევანტესთან" მატჩში, რომელიც „რეალმა" 2:0 მოიგო, მოურინიომ იოზილი 75-ე წუთზე შეუშვა მოედანზე, **ჩაბი ალონსოს** კი საერთოდ არ უთამაშია. მატჩის შემდეგ ჟოზემ განმარტა, იოზილი და განსაკუთრებით ჩაბი ალონსო სპეციალურად დავასვენე, რათა „ლიონთან" თამაშს ორივე სრულ მზადყოფნაში შეხვდესო.

გაზეთ „მარკას" მიმომხილველთათვის იოზილის მხოლოდ 15-წუთიანი თამაში და ჩაბის სკამზე დასმა იმის ნიშანია, რომ მოურინიოს „ლიონთან" ყველაზე მეტად სწორედ ამ ორი ფეხბურთელის მაქსიმალური მზადყოფნა სჭირდება. ესპანელი ჟურნალისტები განსაკუთრებით გერმანელ პლეიმეიკერს აქებენ: *„ნახევარდაცვის შეფი უდავოდ მესუთ იოზილია. კაკა მასთან ახლოსაც ვერ მიდის,"* - წერდა „მარკა" „რეალისა" და „ლევანტეს" მატჩის მიმოხილვაში.

ცხრა წელია, მოურინიოს ჩემპიონთა ლიგაში თავისი გუნდებით საკუთარ მოედანზე არ წაუგია - ჟოზეს უკანასკნელი საშინაო მარცხი 2002 წლის 23 თებერვლით თარიღდება და მაშინ ის „პორტუს" მთავარი მწვრთნელი იყო. მას მერე ჟოზეს გუნდებმა („პორტუმ", „ჩელსიმ" და „ინტერმა") ჩემპიონთა ლიგაში 148 საშინაო მატჩი ჩაატარეს...

თუმცა „რეალი" დღეს სტუმრად თამაშობს და ზემოთ თქმულზე უფრო საინტერესო მადრიდული გრანდის „ლიონთან" დაპირისპირებების სტატისტიკაა, რომელიც „სამეფო გუნდისთვის" ერთობ არასახარბიელოა. „რეალს" საფრანგეთის შვიდგზის ჩემპიონთან ექვსთამაშიანი მოუგებელი სერია აქვს. უშუალოდ ლიონში კი მადრიდელებს დიდი ხანია, ფრისთვისაც კი არ მიუღწევიათ. ბოლო სამ გასვლით შეხვედრაში „სამეფო გუნდი" ლიონში სამჯერ დამარცხდა და ერთი გოლიც კი არ გაუტანია. ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი სეზონის მერვედფინალში მადრიდელებმა „სტად ჟერლანზე" 0:1 წააგეს, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული საპასუხო შეხვედრა კი 1:1 დამთავრდა.

„*რომ გითხრათ, „ლიონთან" სტატისტიკაზე ფიქრი და ნერვიულობა ღამე არ მაძინებს-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. როცა გაირკვა, რომ მერვედფინალში „ლიონთან" გვექნებოდა საქმე, მე და ჩემი შტაბის წევრებმა იმ დღიდან დავიწყეთ ფრანგულ კლუბზე მასალების შეგროვება და ახლა შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „ლიონი" თავიდან ბოლომდე შესწავლილი მყავს,"* - განაცხადა მოურინიომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ჟოზეს სურს, გახდეს პირველი მწვრთნელი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა სამ სხვადასხვა კლუბთან ერთად ექნება მოგებული. *„ამისათვის საჭიროა, რომ ორი ჯადო მოვიხსნათ: „ლიონი" და მერვედფინალი,"* - ამბობს ჟოზე.

„ლიონის" ფეხბურთელები კი სხვაგვარად ფიქრობენ. *„მართალია, მოურინიოს ხელში „რეალის" ფეხბურთელები მენტალურად უფრო ძლიერები არიან, ვიდრე შარშან, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ისტორია კვლავ განმეორდება,"* - ეს ფრანგული გრანდის არგენტინელი თავდამსხმელის, **სესარ დელგადოს** სიტყვებია. აქვე გეტყვით, რომ დღეს მისი თანამემამულე და მეწყვილე **ლისანდრო ლოპესი** ვერ ითამაშებს.

ისევე, როგორც შარშან, დღესაც ყურადღების ცენტრში იქნება „რეალის" ფრანგი ფორვარდი **ქარიმ ბენზემა**, რომელიც მადრიდულ გრანდში 2009 წელს სწორედ „ლიონიდან" გადაბარგდა. მაშინ „სამეფო გუნდმა" ბენზემას სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო გადაიხადა. *„მიუხედავად იმისა, რომ „ლიონთან" მხოლოდ კარგი მოგონებები მაკავშირებს, იმედი მაქვს, რომ ჩემს ყოფილ გუნდს აუცილებლად დავამარცხებთ და არა მარტო მეოთხედფინალში გავალთ, არამედ ჩემპიონთა ლიგასაც მოვიგებთ,"* - აცხადებს ბენზემა.

გოტფრიდ ლენცი

OLYMPIQUE LYONNAIS

დღეს, 23:45

ლიონი (საფრანგეთი) VS რეალი (ესპანეთი)

22 თებერვალი. ლიონი. სტად დე ჟერლანი

სავარაუდო შემადგენლობები

ლიონი (4-2-3-1): ლორისი - რეგეიერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო - კალსტროიმი, ტულალანი - ბაშტოში, გურკუფი, ბრიანი - სესარ დელგადო.

რეალი (4-2-3-1): კასილიასი - არბელოა, რ. კარვალიო, პეპე, სერხიო რამოსი - ჩაბი ალონსო, ხედირა - კ. რონალდო, იოზილი, დი მარია - ბენზემა.

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

ანჩელოტი ფრთხილობს, კოპენჰაგენი ხელწამოსაკრავი არაა

კარლო ანჩელოტი

დღეს, 23:45

კოპენჰაგენი (დანია) VS ჩელსი (ინგლისი)

22 თებერვალი. კოპენჰაგენი. პარკენ სტადიონი

სავარაუდო შემადგენლობები

კოპენჰაგენი (4-4-2): ვილანდი - იორგენსენი, ანტონსონი, ვენდტი, პოსპეხი - კლაუდემირი, ბოლანოსი, კვისტი, ვინგაარდი - გრონკიერი, ნ'დოიე.

ჩელსი (4-3-3): ჩეხი - ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული - ესიენი, მიკელი, ლემპარდი - ანელკა, ტორესი, მალუდა.

არბიტრი: ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია

„**რეალის**" არ იყოს, ჩემპიონთა ლიგის მოგება ბოლოს და ბოლოს ლონდონის „ჩელსისაც" სურს. მეტიც, **რომან აბრამოვიჩს** ევროპის ელიტარული საკლუბო ტურნირის თასი უკვე ღამღამობით ესიზმრება. „ლურჯების" მეტოქე ერთი შეხედვით მოკრძალებული „კოპენჰაგენია" და წესით, ლონდონელებს ამ ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ „ჩელსი" ბოლო დროს აჭრილია, „კოპენჰაგენს" კი მკაცრი გუნდის სახელი აქვს - ისეთის, რომელსაც ნებისმიერი მობილიზაციადაკარგული გრანდის გამწარება შეუძლია.

კარლო ანჩელოტის გუნდი ასოციაციის თასიდან გავარდა და საქმეები კარგად არც ინგლისის ჩემპიონატშიც მისდის. ლონდონური კლუბი პრემიერლიგის ცხრილში მეხუთე ადგილზეა და ლიდერ „მანჩესტერს" 12 ქულით ჩამორჩება. შესაბამისად, რაც დრო გადის, ანჩელოტი უფრო და უფრო მძიმე წნეხის ქვეშ ექცევა. ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, აბრამოვიჩმა ინგლისის ჩემპიონობაზე უკვე ხელი ჩაიქნია და თუ ანჩელოტი ვერც ჩემპიონთა ლიგაში შეძლებს წარმატების მიღწევას, იტალიელს „სტემფორდ ბრიჯიდან" გააძევებენო. ყოველ შემთხვევაში, კარლიტოს გუნდმა მინიმუმ „კოპენჰაგენის" ბარიერი მაინც უნდა დაძლიოს, თუ არა „ჩელსიდან" მართლა გაუშვებენ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანჩელოტი ჩემპიონთა ლიგის სპეციალისტად მიიჩნევა. ალბათ ამიტომ არ აგდებენ დღემდე - თავისი ნებით გადადგომა კი იტალიელმა სპეციალისტმა კატეგორიულად გამორიცხა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „ჩელსი" კრიზისშია, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ლურჯები" „კოპენჰაგენთან" დუელში უპირობო ფავორიტებად მიიჩნევიან.

„ჩელსის" ქომაგებმა შვებით ამოისუნთქეს: **ფერნანდო ტორესის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და მას მოედანზე გასვლა შეუძლია. სხვა საქმეა ის, რომ „ლივერპულიდან" ნაყიდი მსოფლიოს ჩემპიონი, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ ფორმაშია. იმავე მდგომარეობაშია **დიდიე დროგბაც** და ანჩელოტი დღეს ალბათ მაინც ისევ ტორესს ენდობა, კოტ დ'ივუარელს კი სკამზე დასვამს.

„კოპენჰაგენის" ფორმაზე კი ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ გუნდმა ბოლო ოფიციალური თამაში 2010 წლის 7 დეკემბერს ჩაატარა - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, „პანათინაიკოსთან" (3:1).

ანჩელოტი შეგირდებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს: *„კოპენჰაგენს" საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავს. დანიელები ორგანიზებულ და დინამიკურ ფეხბურთს თამაშობენ. ასე რომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ."*

გოტფრიდ ლენცი

ამბები

ეროვნული

მავუბა 3 წლით

„ლილის" ერთ-ერთი ლიდერი, კაპიტანი **რიო მავუბა** კლუბში კიდევ 3 წლით დარჩება. ეს გადაწყვეტილება მხარეებმა ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს. 26 წლის ფეხბურთელმა 2015 წლამდე გათვლილი ახალი ხელშეკრულება ამ დღეებში გააფორმა. რიო ჩრდილოეთა ბანკში 2008 წელს „ვილიარელიდან" მოხვდა, პროფესიული კარიერა კი „ბორდოში" დაიწყო. კაპიტნის ანგარიშზეა 6 შეხვედრა საფრანგეთის ეროვნულ გუნდშიც.

„ფუტბოლპრესის" ცნობით, მიუნხენის „ბაიერნის" შეფობა მომავალი სეზონისთვის „ლილის" 19 წლის ბელგიელი ლიდერის **ედენ ჰაზარდის** გადაბირებას გეგმავს. მიუნხენელებმა სწორედ რამდენიმე დღის წინ განაცხადეს, რომ ზაფხულზე უმალლესი კალიბრის ვარსკვლავის გადაბირებაზე არ იზრუნებდნენ. თინეიჯერი ბელგიელი ამ პარამეტრს ნამდვილად აკმაყოფილებს. მისი მთავარი პლუსი უნივერსალიზმია – ედენს თანაბრად მაღალ დონეზე შეუძლია ფლანგისა და ცენტრალური ნახევარმცველის მისიის ზიდვა. რეკორდმაისტერს ძირითადად ინგლისური კლუბების კონკურენციის დაძლევა მოუწევს.

ლევან ბიბილაშვილი

ჯურაბჩიანი: საგა არ დასრულებულა?

კარლოს ტევესის აგენტმა, ბრაზილიელმა ბიზნესმენმა **კია ჯურაბჩიანმა** განაცხადა, რომ მას „კორინთიანსში" არგენტინელი კლიენტის დაბრუნება სურს. შეგახსენებთ, ტევესი ბრაზილიაში 2004-06 წლებში ასპარეზობდა. *„დიდი სურვილი მაქვს „კორინთიანსს" სატრანსფერო ბაზარზე დავეხმარო. სწორედ ამ მიზნით მსურს კარლოსისა და ევროპაში მოასპარეზე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირება, – განაცხადა ბიზნესმენმა. – მინდა ეს გარიგება რაც შეიძლება სწრაფად შედგეს, თუმცა ტევესის შემთხვევაში შეიძლება ორიოდე წლით მოცდა მოგვიხდეს".* გარდა ტევესისა, ჯურაბჩიანმა „ევროპაში მოასპარეზე სხვა ფეხბურთელებიც" ახსენა. ჟურნალისტების ცნობით, ლაპარაკია ვილიარეალელი **ნილმარის**, ტოტენჰემელი **გომეშისა** და „მანჩესტერ იუნაიტედის" **ანდერსონის** შესახებ.

რახან ლაპარაკი „მანჩესტერ სიტის" ლიდერზე ჩამოვარდა, აქვე გეტყვით, რომ სერიოზული ტრავმა მიიღო „ქალაქელთა" სათადარიგო გოლკიპერმა **შეი გივენმა**. ერთ-ერთი ვარჯიშისას ირლანდიელმა მხარი დაიზიანა. უახლოეს დღეებში მას დაწვრილებით სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ და საბოლოო დიაგნოზი მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

ლევან ბიბილაშვილი

კანტონა მანჩესტერს ვალბუენას ურჩევს

„მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდას, **ერიკ კანტონას პოლ სქოულზის** შემცვლელად მარსელის „ოლიმპიკის" შემტევი ნახევარმცველი, **მეთიუ ვალბუენა** ესახება. მოგეხსენებათ, სქოულზი მალე „პენსიაზე" გავა, „მანჩესტერ იუნაიტედში" კი მისი ადგილი გათავისუფლდება. ამიტომაც, კანტონა **სერ ალექს ფერგიუსონს**, 26 წლის ფრანგ ნახევარმცველს ურჩევს. თავად ფეხბურთელი კი ჯერ არ ჩქარობს და ილუზიებს არ იქმნის.

„თუ „მანჩესტერი„ ჩემით რეალურად დაინტერესდა, უარის თქმა რთული იქნება", - განაცხადა ვალბუენამ. შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ შეხვედრაში „მარსელი„ „მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს. სწორედ ამ შეხვედრაში დააკვირდება ფერგიუსონი კანტონას რჩეულს.

გიორგი ბუაჩიძე

თვვგადასავლები

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში ანატოლი მილჩენკო

მსაჯობა იწყებოდა ასე...

არსებობს კინოფილმი „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“.

თანმიმდევრობით მოგახსენებთ, როგორ მოვედი ქართულ ფეხბურთში.

ბორჯომში დავიბადე და გავიზარდე.

როგორც ყველა ბიჭს, მეც ძალიან მიყვარდა ფეხბურთი. მოგვიანებით, ისევ ბავშვობის ასაკში, სიზმრად გადამექცა მსაჯობა. მოკლედ, მსაჯობის სურვილით და მსაჯობაზე ოცნებით ვიძინებდი და ვიღვიძებდი.

მოგვიანებით საცხოვრებლად სოჭში გადავედით. ვთამაშობდი სხვადასხვა გუნდში, მაგრამ მსაჯობის სიყვარული და ამოჩემებული სურვილი ნუთითაც არ მშორდებოდა. მომენტიც მალე დადგა და ეს ისე მოხდა, რომ „გაგებაშიც“ არ ვიყავი.

სოჭში, ერთმანეთს ხვდება მოსკოვის ცსკა (რომელიც მაშინ საბჭოთა ფეხბურთის „ქვემეხი“ იყო) და ორეხოვოზუევოს „ზნამია“.

რატომღაც მსაჯი ადგილზე არ აღმოჩნდა.

როგორი საქმეა? - შეჩქვიფდნენ და გამოსავალიც იპოვეს.

მომადგა მაშინდელი სოხუმის სპორტის თავკაცი, ბატონი მიხეილ თურქია:

- ტოლიკ, უნდა იმსაჯო (ეს ჩემთვის თავზარდაცემა იყო).

რა ვქნა ახლა? - როგორ ვუმსაჯო გუნდს, სადაც თამაშობს შესტერნიოვი, პონედელნიკი დ ა.შ.? ხომ გამჭყლიტეს, ძია პეტრე! (გახსოვთ კინოფილმიდან „მიხო“).

არადა - რას იზამ?

სასწრაფოდ გადამაცვეს სახელდახელოდ მოძებნილი მსაჯის ფორმა და „შემაგდეს“ მოედანზე.

თავში ორი აზრი იბრძვის: „რა ვქნა? - ვიმსაჯო ობიექტურად თუ „დილიხორი“ გავუსწორო პრესტიჟულ გუნდს“?

ერთი სიტყვით, - თამაში დაიწყო.

ობიექტურობას არასდროს ვლალატობდი და არც შემდეგ მიღალატია. ფეხბურთში, როგორც სპორტის ყველა სახეობაში, ქიშპი და მტრობა ღობესთანაა ჩასაფრებული.

მოხდა ისე, რომ ცსკა 0:1 აგებს. ამ დროს, წარსულში არმიელმა ორეშნიკოვმა, რომელიც გუნდიდან გაუშვეს და ახლა მათ წინააღმდეგ თამაშობდა, დრიბლინგი განახორციელა და პონომარიოვმა „მოცელა“ საჯარიმოში. უსიტყვოდ მივუთითე თერთმეტმეტრიანზე.

არმიელების გადარევა მაშინ გენახათ. მოედანზე ქარიშხალი დატრიალდა.

- ტი ჩტო, საპლიაკ! - მიყვირა შესტერნიოვმა. - ჟიზნ ნადაელ? - ჩევო ტვორიშ!?

მაგრამ უკან არ დამიხევია.

დამთავრდა მატჩი თუ არა, დავავლე ბურთს ხელი და მთელი ძალით მოვუსვი გასახდელში.

ჩავიკეტე და გული ამოვარდნაზე მაქვს - ახლა მომკლავენ! მორჩა!

მოვიკრიბე ვაჟკაცობა და - გავაღე.

თურქია შემრჩა ხელში.

- მალადეც! - დამარტყა მხარზე ხელი - მაგარი ხარ! ყოჩაღ! მსაჯი ხარ!

მალევე გამომიძახეს თბილისში და დიდი მსაჯობისკენ დამილოცეს გზა ისეთმა გამოცდილმა და ღვაწლმოსილმა კორიფეებმა, როგორებიც გახლდათ ნესტორ ჩხატარაშვილი, კარლო ყრუაშვილი...

მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

ძალიან ვერიდები თარიღების „ჩამოჩოთქვას“, ზუსტად ყველაფერს ვერ გავიხსენებ, მაგრამ მოხდა ისე, რომ გამოძახებული ვარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩზე მოსკოვში.

მაშინდელი ჩემი მდგომარეობისთვის ასეთი პატივი ძალიან დიდ წარმატებად ჩავთვალე.

მოკლედ, ცამეტი დღის შემდეგ მოსკოვში უნდა ვიყო და ვიმსაჯო ისეთი მატჩი, რომელსაც მსოფლიო სპორტის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ თბილისში ვარ და ვვარჯიშობ სტადიონზე. ბურთს ვკენწლი, დრიბლინგებს ვაკეთებ და - ვაი! რაღაც გამჭოლი ტკივილი ვიგრძენი მარჯვენა ფერდში.

არ შევეპუე, ყურადღება არ მივაქციე და გავაგრძელე ბურთის კენწვლა.

მერე აღარაფერი მახსოვს.

გონს საოპერაციო მაგიდაზე მოვედი.

მწვავე აპენდიციტი.

თორმეტი დღეა დარჩენილი იმ უმნიშვნელოვანეს მატჩამდე, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

ახლა, ვის გავუმხილო - „ბრმანაწლავნაოპერაციები“ კაცი ვიმსაჯებთქო? - ვინ გამიშვებს? არადა, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „საკარიერო“ მატჩია, შანსია ჩემს ცხოვრებაში - უმნიშვნელოვანესი.

რა თქმა უნდა, დავმალე, არავის გაუგია.

სამ, თუ ოთხ დღეში ნაკერები მომხსნეს და ისე, რომ არავინ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ის მატჩი ვიმსაჯე წელსაკრავით გაკოჭილმა.

გადავრჩი, მთავარი საქმეც გავაკეთე.

ჩტო ტო ნე ხვატაეტ!

ჩვენი შესანიშნავი მეგობარი და ფეხბურთის უბადლო მწვრთნელი **მიხეილ იაკუშინი** იმ ხანებში ტაშკენტის „ფახთაქორში“ გადავიდა მთავარ მწვრთნელად.

ერთხელ, როცა „ფახთაქორი“ შინ რომელიღაც „საშიშ“ გუნდს ხვდებოდა, მიხეილ იაკუშინმა თამაშამდე დამიმარტოხელა:

- ტოლიკ, როგორ მომენატრა თბილისი, ჩემი თბილისი.

- მერე.

- ძალიან კარგი ქალაქია თბილისი.

- ვიცი, მერე?

- მომენატრა თბილისური მწვადი და ხინკალი.

- დიახ, მეც... (ვიცი, „მაბამს“, მაგრამ ვითომ ვერ ვხვდები)

- აი, შენც... რომ გიყურებ, თბილისურ ხინკალს მაგონებ.

- ეს როგორ?

- თბილისური ხინკალივით, შენც გემრიელი კაცი ხარ, მაგრამ როგორც ხინკალი არ ვარგა „პერიცა“ თუ აკლია, ისე შენც... მოკლედ, რაღაცა გაკლია.

მატჩში სამართლიანად მივეცი „პენალტი „ფახთაქორს“ და მოიგეს. თამაშის შემდეგ გახარებული იაკუშინი მეხვევა და მეუბნება:

- აი, ხომ გითხარი, რაღაცა გაკლიამეთქი?.. პენალტი, პენალტი გაკლდა, რომ სრულყოფილი, ხინკალივით გემრიელი კაცი ყოფილიყავი. ახლა ყველაფერი რიგზეა.

ასტაროჟნა, ტოფიკ!

ტრაბახში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ თავის დროზე ჩემს სასტვენს ემორჩილებოდნენ ფეხბურთის ვარსკვლავები: მესხი, მეტრეველი, იაშინი, სტრელცოვი, ბლოხინი, შესტერნიოვი, პონომარიოვი, კრუიფი, ბეკენბაუერი, გულიტი, შტილიკე, ლინეკერი, მარადონა და ა.შ.

რაც შეეხება მსაჯებს, ძალიან ბევრთან უშუალო მეგობრობა მაკავშირებს.

რადგან მხიარული მოგონებებია, მინდა გავიხსენო ჩვენი მეგობარი - ტოფიკ ბახრამოვი.

ეს ძალიან აკურატული და მოწესრიგებული კაცი საოცარი პედანტურობით გამოირჩეოდა. თვითონ ხომ „აკურატნი“ იყო, სხვებსაც მუდამ წესრიგისკენ მოუწოდებდა და ერთი ბეწვიც რომ გქონოდა ტანსაცმელზე ზედმეტი - უშველებელ ამბავს აგიტეხდა.

გადავწყვიტეთ „შური გვეძია“.

ერთხელ, მოსკოვში ვართ მიწვეული სპარტაკიადაზე „დიდი“ და „პატარა“ მსაჯები.

„პატარებს“ ხუთ-ხუთ - საწოლიანი ნომრები გვერგო. ტოფიკი კია გაჭიმული ორკაციან ნომერში და რომ იტყვიან, „მეცხრე ცაზეა“.

მაშინ მსაჯებს ძალიან თანამედროვე შავი ფორმა გამოუყვეს, რომელიც მხოლოდ ორ-სამ დამსახურებულ მსაჯს ეცვა, მათ შორის ტოფიკ ბახრამოვსაც და ამ ფორმით თავი გენერალივით მოჰქონდა. დააბიჯებს დეზებიანი მამალივით და მხარზე ბუზს არ ისვამს. იმ საღამოსაც მივიდა ნომერში (ძილისგუდაა, ძილი ყველაფერს ურჩევნია), ჩართო შუქი, რომელიც მაშინვე ჩაქრა, რადგან „შურისმაძიებელმა“ ბიჭებმა წინასწარ შემოახვიეს ნათურას ნოტიო საშრობი ფურცელი და ჩართვისთანავე გადაიწვა. ტოფიკსაც ბევრი აღარ უფიქრია, გაუხდელად გაგორდა ლოგინზე და გემრიელად მიიძინა.

გათენდა მეორე დილა და გამოდის სასტუმროს დერეფანში. მესართულე ქალი, დამლაგებელი, გამვლელი და გამომვლელი კვდებიან სიცილით. გაოცებულ ტოფიკასაც უნდა გაიცინოს, მაგრამ არ იცის, რაზე. ბოლოს სარკესთან მიიყვანეს და თავისი, ზურგის მხარეს მთლიანად გათეთრებული ფორმა აჩვენეს. თურმე მის საწოლზე კბილის ორი კოლოფი თეთრი ფხვნილი მოუყრიათ, „ტერაქტი“ მსაჯ ყურაშვილის მიერ იყო დაგეგმილი.

- ნუ, გრუზინი! - გაბრაზდა მაგრამ რა გაბრაზდა.

- პაშუნილი, ტოფიკ... პრასნი, ეხვეწნენ და ძლივს შემოირიგეს. თუმცა მეორე „ტერაქტი“ მეორე საღამოს მოუნყვეს, რკინის საწოლი ისე დაუმონტაჟეს, რომ ჩაწოლისთანავე ჩავარდა და გულგახეთქილი ტოფიკა 10 წუთი მოჰყავდათ გონზე. რომ მიხვდა, რაც მოხდა, საშინელი ხმით დაიღრიალა: „ნუ პაგადი“-ს მგელივით:

- ნუ გრუზინიიიიი, ნუ პაგადიი!

ამის შემდეგ მისი მსაჯობით თუ ჩვენი გუნდი წააგებდა, სულ იმ „ტერაქტს“ ვაბრალებდით. ვინ იცის, შეიძლება ასეც იყო?

ძთო ფაბედით?

ბაქოში ვმსაჯობდი „ნეფთჩის“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩს.

ჩვევა მაქვს ასეთი, რომ ყოველ დილით ვიპარსავ საპარიკმახეროში.

ბაქოშიც, მატჩის დღეს, დილით ქალაქის ერთ საპარიკმახეროში დავუჯექი დალაქს.

გვარიანად გამსაპნა და აუჩქარებლად მპარსავს. მერე და მერე რბილად და შემპარავად დაიწყო.

- ვი ტოვარიშ სუდია და?

- და... ვპასუხობ.

- ვი, პო ფამილიუ - მილიჩენკოვ?

- ნეტ, მილჩენკო...

- ეტო ადინ ჩორტ.

ამის შემდეგ გაჩუმდა და ცოტა ხანში კვლავ მეკითხება:

- ვი ბუდეთე სევოდნია სუდით?

- და..

ისევ გაჩუმდა და ალაპლაპებული სამართებელი რომ ნიკაპის ქვეშ შემიცურა და საყლაპავ მილთან გამიჩერა - მეკითხება:

- ა ნუ კა სქაჟი, ქაქოი სევოდნია ბუდეთ შჩოთ?

- ნე მაგუ სკაზატ, - ვთქვი ალალად და სამართებელი უფრო მომაწვა ყანყრატოზე:

- სკაჟი, ქტო პაბედით? ბაქუ, და?

- კონეშნა! - ვთქვი ხმის კანკალით, ან სხვა რა გზა მქონდა?

- ვოთ ეთა ფანიმაიუ, უ მენია ფრანცუზსკი ადექალონ. მომასხურა მთელ სახე-ტანზე ოდეკოლონი, ფული დავდე და გამოვდივარ.

- ფომნი სუდია, მი 3:0 ხატიმ...

წააგეს იმ დღეს აზერბაიჯანელებმა.

გიკვირთ, რომ ცოცხალი ვარ? აგიხსნით რატომ გადავრჩი. თვითონ ის პარიკმახერი წაუყვანიათ საავადმყოფოში ინფარქტით პირდაპირ სტადიონიდან.

თუმცა... ისიც გადარჩენილა...

მურმან მერკვილიშვილი

● ხელბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მარცხნიდან: ზაზა დოლიძე, ფრანტიშეკ ტაბორსკი, გია გალდავა და ზურაბ კაკაბაძე

ჩეხი სპეციალისტი დაგვეხმარა

ევროპის ახალგაზრდობის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალს რომ თბილისი უმასპინძლებს, გულშემატკივრებმა კარგა ხანია, იციან. ამ შეჯიბრების პროგრამაში ხელბურთიცაა შეტანილი. ცხადია, სტუმრებს კონკურენტუნარიანი გუნდით უნდა დავხვდეთ, ამიტომაც საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **ზაზა დოლიძე**) მომავალი ფესტივალისთვის მზადებას აქედანვე იწყებს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ სპორტის ამ სახეობის მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარების ჩასატარებლად ცნობილი ჩეხი სპეციალისტი, ევროპის ხელბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **ფრანტიშეკ ტაბორსკი** მოინვია. სტუმარმა თბილისში 18-21 თებერვალს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაატარა, გუშინ კი მას ზაზა დოლიძესთან და ხელბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივან **ზურაბ კაკაბაძესთან** ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილე **გია გალდავამ** და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **ირაკლი სამყურაშვილმა** უმასპინძლეს.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

ბაბიშვილი წინ მიიწევს, რეიტინგშიც და ჟურნირზეც

ანა ტატიშვილი წარმატებით ასპარეზობს „აბიერტო მექსიკანოზე“. WTA-ს ტურნირზე, რომელიც მექსიკის ქალაქ აკაპულკოში მიმდინარეობს და რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია, 21 წლის ქართველი საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესეს. მე-2 წრეში მან უკრაინელ **ოლგა სავჩუკს** აჯობა - 2:6, 6:4, 6:3. ჩვენებურმა 18 შესაძლებელიდან 8 ბრეიკ-პოინტი მოიგო, შეხვედრა კი ორსაათ-ნახევარს გაგრძელდა. ახლა მან ძირითად ბადეში გასვლისთვის 26 წლის ჩეხ **პეტრა ცეტკოვსკას** (143) უნდა მოუგოს, რომელიც აკაპულკოს საკვალიფიკაციო ბადეში მე-7 ნომრად არის განთესილი. ცეტკოვსკა 2-3 წლის წინ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა 50-ეულში იყო.

გუშინ ახალი რეიტინგ-ლისტის გამოქვეყნების დღე იყო - ჩვენმა საუკეთესო მეჩოგნემ ბოლო დროს დამკვიდრებულ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და წინ ერთი საფეხურით ნაინა. დღეიდან ანა ტატიშვილი მსოფლიოს 127-ე ჩოგანია. ასეთი ტემპით, ანა საუკეთესო ასეულს 27 კვირაში მიაღწევს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... ტატიშვილს 540 სარეიტინგო ქულა აქვს. 2 საფეხურით დანინაურდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც 310 ქულით მსოფლიოს 188-ე ჩოგანია. სხვები: 234 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** - 235 ქულა; 281 (-) **სოფიო შაფათავა** - 180; 286 (-) **თათია მიქაძე** - 176; 412 (+3) **სოფიო ქვაცაბაია** - 90; 550 (+13) **ეკა გორგოძე** - 53; 597 (-3) **მანანა შაფაქიძე** - 44; 1151 (+1) **ანა ჯიქია** - 3. ვაჟთა რეიტინგი: 635 (-) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 31 ქულა; 862 (-1) **ლადო ჩიხლაძე** - 11.

თურქულ ანთალიაში **გიორგი ცივაძემ** (ურეიტინგო) სცადა 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა, მაგრამ პირველივე წრეში შვეიცარიელ **ჰენრი ლააკსონენთან** (829) წააგო - 4:6, 4:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

● კრივი

ბრინჯაო...

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა ბულგარული შეკრება მოილია და იქვე საერთაშორისო ტურნირშიც მოსინჯა ძალები. ქართველმა მოკრივეებმა ბულგარეთის ნაკრებთან ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ ქალაქ პედრაჟის "სტრაჟას" წარმომადგენლობით ტურნირზე იასპარეზეს და იქიდან ერთი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ. მესამე საპრიზო ადგილი 91 კილოგრამ ნონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლევან გულედანმა** (ფოტოზე) დაიკავა.

პედრაჟის ტურნირზე ათმა ქართველმა იასპარეზა და მხოლოდ ერთი პრიზიორი შესაძლოა, არც იყოს განსაკუთრებული შედეგი, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რამაზ ფალიანი** ამ ეტაპზე შეგირდებს მაქსიმუმს ვერ სთხოვს, რადგან დიდი ხანი არაა, რაც გუნდი სრული დატვირთვით ვარჯიშს შეუდგა. ისიც აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე ისეთ ძლიერ საკრივო ქვეყნებს, როგორებიც კუბა, რუსეთი, უკრაინა, საფრანგეთი, იტალია და მასპინძელი ბულგარეთი არიან, პირველი ნომრები ჰყავდათ გამოყვანილი.

თითო ბრძოლის მოგება თითქმის ყველა ქართველმა შეძლო და ამ შედეგს ფალიანი საკმარისად მიიჩნევს. მისთვის მთავარია, რომ ბიჭებმა საშეჯიბრო პრაქტიკა მიიღეს და ძლიერ მეტოქეებთან არცთუ დიდი სხვაობით დამარცხდნენ.

რაც შეეხება ბრინჯაოსმედალოსან გულედანს, მან პირველ ეტაპზე ფრანგ მოწინააღმდეგეს 5:2 სძლია, შემდეგ აზერბაიჯანელს 3:0 მოუგო, ნახევარფინალში კი ბულგარელთან 2:4 დათმო.

მოკრივეებს ბულგარეთში ფალიანთან ერთად, მისი ასისტენტები **თემურ ოჩიგავა** და **ლევან გაგნიძე** ახლდნენ, ქართულ დელეგაციას კი საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ახალკაცი** ხელმძღვანელობდა.

ამასობაში კი ჩვენი გუნდი უკვე მეორე შეკრებას იწყებს. 23 თებერვალს საქართველოს ნაკრები დაახლოებით 15 მოკრივის შემადგენლობით ბაქოში გაემგზავრება, სადაც ჯერ აზერბაიჯანის ნაკრებთან ერთად გაივლის შეკრებას, 8 მარტიდან კი საერთაშორისო ტურნირშიც ჩაერთვება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს

გადაწყდა: მოჭადრაკე ქალთა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატი საქართველოს დედაქალაქში გაიმართება. ეს გუშინ გახდა ცნობილი: ევროპის საჭადრაკო კავშირის სხდომაზე 9 წევრიდან 7-მა თბილისს დაუჭირა მხარი, ერთმა (საბერძნეთი) თავი შეიკავა, ხოლო ამ კავშირის ყოფილი თავკაცი, სლოვენიელი **ბორის კუტინი,** რომელსაც საქართველოს მიმართ არაერთხელ გამოუხატავს თავისი პატივისცემა, წინააღმდეგი წავიდა. საქმე ის არის, რომ იგი ევროპის საჭადრაკო კავშირის ამჟამინდელი პრეზიდენტის **სილვიო დანაილოვის** მოწინააღმდეგეა და **კირსან ილუმჟინოვთან** ერთად „ზის ნაგში". ფიდეს მესაჭეს და ბულგარელს რომ ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, მთელმა დუნიამ უწყის.

ასეა თუ ისე, თბილისმა გაიმარჯვა. მისი მეტოქე იყო თურქული გაზიანთეფი. საერთოდ, ამ ჩემპიონატისთვის ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს უნდა ემასპინძლათ, მაგრამ შეჯიბრებისთვის აუცილებელი პირობები დროზე ვერ უზრუნველყვეს. ევროპის საჭადრაკო კავშირმა მათი შესრულება რომ მოითხოვა, თურქებმა კონტრაქტი გააუქმეს. არ ეგონათ, ამხელა შეჯიბრების მოკლე დროში ორგანიზებას თუ ვინმე შეძლებდა, მით უმეტეს - საქართველო, რომლის ჭადრაკის ფედერაციას გვერდით დაუდგა დედაქალაქის მერია, სპორტის სამინისტრო, კომპანია „სოკარი ენერჯი ჯორჯია" და ჩემპიონატისთვის სარეკორდო თანხა გაიღეს - 100.000 ევრო. აი, მაშინ კი დაფაცურდნენ სამხრეთელები - დაუნანებლად გაიკრეს ჯიბეზე ხელი. თურქეთის ჭადრაკის ფედერაციას, რომლის თავკაციც **იაზიჩია**, უცებ მოუნდა ბაბაც, ჩიჩიაც, მაგრამ გუშინ პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

„მარტო ფული ხომ არ წყვეტს ყველაფერს, - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ.** - ევროპის საჭადრაკო კავშირის წევრებმა გაითვალისწინეს სახელმწიფოს მხარდაჭერა, გენერალური სპონსორის - „სოკარი ენერჯი ჯორჯიას" თანადგომა, სათამაშო პირობები, საჭადრაკო ტრადიციები და ისიც, რომ ეს შეჯიბრება ორი ლეგენდარული დიდოსტატის - ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნება. ჩემპიონატის მასპინძლობა პატივიცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. სხვა თუ არაფერი, ევროპის საჭადრაკო კავშირისა და ასპარეზობის მონაწილეთა იმედები უნდა გავამართლოთ".

გუშინ ბულგარეთში სილვიო დანაილოვსაც შევეხმიანეთ:

„დღევანდელ სხდომაზე, ფაქტობრივად, ერთსულოვნება სუფევდა. 9 წევრიდან შვიდმა თბილისს დაუჭირა მხარი. არც გამკვირვებია, რადგან კავშირის წევრები მენდობიან. გადამწყვეტ მომენტში, ჩვეულებრივ, პასუხისმგებლობას პრეზიდენტი იღებს საკუთარ თავზე, თანამოაზრეები კი მხარს უჭერენ. ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ ობიექტური ვარ და, რადგან თბილისი ავირჩიე, სჯერათ, ის საუკეთესოა, იქ ყველაფერი შესანიშნავად იქნება. საქართველოს დედაქალაქს მასპინძლობა არასდროს შეშლია. დარწმუნებული ვარ, კონტინენტის პირველობასაც, ტრადიციისამებრ, უნაკლოდ გაართმევს თავს".

2011 წლის ქალთა ევროპის ჩემპიონატს 6-19 მაისს „შერატონ მეტეხი პალასი" უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია

ბელა პირველია, ნინო და გიგა მეორე

ბელა ხოტენაშვილი

ირანში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც, როგორც გაუწყეთ, ქართველებიც მრავლად მონაწილეობდნენ.

A ჯგუფში გიგა ყუფარაძემ მას შემდეგ, რაც ერთპიროვნული ლიდერი - რუსი დიდოსტატი **სერგეი ვოლკოვი** დაამარცხა, 6,5 ქულით I ადგილზე გადაინაცვლა და გამარჯვების რეალური შანსი გაუჩნდა. გუშინ ბოლო ტურში იგი შავი ფიგურებით ჰოლანდიელ დიდოსტატ **სერგეი ტოვიაკოვს** დაუზავდა და 9 შესაძლებლიდან დაუმარცხებლად (5 მოგება, 4 ყაიმი) 7 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი ბელარუსმა დიდოსტატმა **ალექსეი ფედოროვმა,** რომელმაც მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით აჯობა ჩვენებურს და I ადგილი დაიკავა. ყუფარაძე II ადგილს დასჯერდა. დანარჩენ ქართველ მოჭადრაკე ვაჟთა შედეგები ასეთია: 4. **ლევან ფანცულაია** (6,5), 6. **დავით მაღალაშვილი** (6,5), 9. **დავით ზარქუა** (6), 15. **დავით ჯოჯუა** (5,5), 16. **კონსტანტინე შანავა** (5,5), 17. **დავით ლომსაძე** (5,5), 23. **მალხაზ სულაშვილი** (5), 26. **დავით ბერიძე** (5), 27. **გაიოზ ნიგალიძე** (5), 30. **ბაჩანა მორჩილაშვილი** (5), 37. **ივერი ჭილაძე** (4,5), 38. **შოთა აზალაძე** (4,5), 66. **გიორგი გამზარდია** (3).

ქალებში **ბელა ხოტენაშვილმა** და **ნინო ბაციაშვილმა** იყოჩაღეს. მათ, ერთმანეთთან ყაიმით დამთავრებული პაექრობის გარდა, ყველა პარტია მოიგეს და 9 შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს. ოდნავ უკეთესი კოეფიციენტით ხოტენაშვილი I იყო, ბაციაშვილი - II. 7 ქულით III ადგილი აზერბაიჯანელმა **ნარმინ კაზიმოვამ** დაიკავა.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

საათებს დღეს ჩართავენ

ყატარის დედაქალაქ დოჰაში დღეს დაიწყება ფიდეს ეგიდით მოჭადრაკე ქალთა გრანპრის ბოლო მე-6 ეტაპი, რომელშიც წრიული სისტემით 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი იბრძოლებს პირველობისთვის. ესენი არიან: **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2607), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2550), **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2546), **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2516), **მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო, 2502), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2489), **სიუ იუჰუა** (ჩინეთი, 2484), **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი, 2475), **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2454), **შენ იანი** (ჩინეთი, 2443), **ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი, 2410), **მარტა ფიერო** (ეკვადორი, 2353). ტურნირი 5 მარტს დამთავრდება. დასვენების დღეა 27 თებერვალი. საერთო ჩათვლაში 410 ქულით ჯერჯერობით ლიდერობს ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი **ჰოუ იფანი,** რომელმაც გრანპრიზე მონაწილეობის ლიმიტი ამოწურა. მას 20 ქულით ჩამორჩება ჩვენებური ნანა ძაგნიძე. ყატარში I ან II ადგილზე გასვლის შემთხვევაში იგი მთავარ პრიზს დაეუფლება და წლის ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იფანს დაუპირისპირდება. ყატარში ჩვენებურის მთავარი მეტოქეა ინდოელი კონერუ, რომლის აქტივშიცაა გრანპრის ერთი მოგებული ეტაპი (სტამბოლი) და ერთიც გაყოფილი III-V ადგილები. 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა ნანა ძაგნიძემ კი ჯერმუკის (სომხეთი) ტურნირი მოიგო, ნიანძინში (ჩინეთი) II ადგილი დაიკავა, ნალჩიკში II-III ადგილები გაიყო. იმედია, იგი ამჯერადაც გვასახელებს, იმის მიუხედავად, რომ დოჰაში საკმაოდ ტიტულოვანი მეტოქეები ჰყავს - ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჩიბურდანიძე, სხვადასხვა წლების მსოფლიოს ჩემპიონები - სტეფანოვა და იუჰუა, ორგზის ევროპის ჩემპიონი კრამლინგი, მსოფლიოს რეიტინგით მეორე მოჭადრაკე კონერუ, ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი მკრტიჩიანი.

ვაჟა დანელია

სკანვორდი





1. მსოფლიოს უდიდესი სტადიონი, 2. უკრაინელი ფეხბურთელი... შევჩენკო, 3. ირლანდიელი ფეხბურთელი რობი ..., 4. „ჩელსის" ფრანგი ფეხბურთელი (ფოტო), 5. არგენტინელი ფეხბურთელი ხუან სებასტიან..., 6. ნიგერიელი ფეხბურთელი ობლაფემი..., 7. 1999 წელს „ოქროს ბურთის" მფლობელი (ფოტო), 8. იტალიური საფეხბურთო გუნდი, 9. ფეხბურთელთა მწვრთნელი ... ჟაკე, 10. ბერძნულ მითოლოგიაში: მოჭიდავე, 11. ესპანელი ფეხბურთელი ... მუნიტისი, 12. პორტუგალიელი ფეხბურთელი, 13. ქართული სარაგბო კლუბი, 14. პორტუგალიელი ფეხბურთელი, 15. იტალიელი ფეხბურთელი ანდრეა ..., 16. 2006 წელს იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი კეიჯი ..., 17. 1934 წელს იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, 18. გერმანული ავტომობილი, 19. არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელი, 20. გამოჩენილი ესპანელი ფეხბურთელი, 21. ბილიარდის თამაში 15 ბურთით, 22. 2010 წელს ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 23. იტალიელი ფეხბურთელი ფრანჩესკო ... (ფოტო), 24. ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი, 25. გერმანული საფეხბურთო კლუბი, 26. ესპანეთის ნაკრების და „ბარსელონას" ფეხბურთელი, 27. ირანელი ფეხბურთელი ... დაეი, 28. 2006 წელს საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, 29. 2010 წელს არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი, 30. განელი ფეხბურთელი სტეფან...

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ოლიმპია-ცედევიტა. შერმადინი, ოჟბოლტი და ბოისა (7)

გიორგი შერმადინი: პირველობისთვის ადრიატიკაზე

ᲐᲓᲠᲘᲐᲢᲘᲙᲘᲡ თასის 21-ე ტურში საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა: „ოლიმპია“-“ცედევიტას“ მატჩის სასტარტო ხუთეულში მასპინძელთა რიგებში ორმა ჩვენებურმა ითამაშა - **ვლადიმერ ბოისამა** და **გიორგი შერმადინმა.** შეგახსენებთ, რომ 2004 წელს „ოლიმპიას“ ძირითად შემადგენლობაში ასევე ორი თამაშობდა - ბოისა და **მანუჩარ მარკოიშვილი.**

ვოვამ „ცედევიტასთან“ მატჩში მოედანზე 17 წუთი გაატარა, 3 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. შერმადინმა მოხსნები და ქულები წუთებში შეაჯამა: 14 წუთი=6 ქულა+7 მოხსნა. გარდა ამისა, გიორგიმ 1 დაფარებაც ჩაიწერა.

ვოვა ბოისა გასულ სეზონში ხორვატიის ჩემპიონატში თამაშობდა. მაშინ მისი „ზადარი“ იოლად უგებდა „ცედევიტას“, თუმცა მიმდინარე სეზონის წინ ცედევიტელთა შემადგენლობა საგრძნობლად გაძლიერდა და ადრიატიკის ლიგის ფინალურ ოთხეულში მოხვედრაზეც სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს. სწორედ ამიტომ, „ოლიმპია“-“ცედევიტას“ შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მოგების შემთხვევაში სლოვენიელები ოთხეულში იმყარებდნენ პოზიციებს, ხოლო წაგება მათ კვარტეტს მიღმა გადაისროდა.

ეს კარგად ესმოდა „ოლიმპიას“ მთავარ მწვრთნელ **იურე უდოვჩს** და ტრავმირებული (ფეხის კუნთი აწუხებს) შერმადინი მაინც ათამაშა. ოლიმპიელები შეხვედრას კარგად მობილიზებულები შეხვდნენ და თავიდანვე დაეუფლნენ მცირე უპირატესობას, 24-ე წუთისთვის 6:0 გაქცევა მოაწყვეს (2 ქულა ბოისას ანგარიშზე იყო) და 49:33 დანინაურდნენ. 16-ქულიანმა ფორამ მასპინძლებს თავდაჯერება შემატა, რაც ცედევიტელებმა სათავისოდ გამოიყენეს და სულ რაღაც 5 წუთში სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს (49:53). თუმცა, სლოვენიელებმა ხორვატებს გამარჯვება არ დაუთმეს.

ერთ-ერთ სლოვენიურ გაზეთს გიორგი შერმადინმა უთხრა:

- ევროლიგაზე პლეი ოფში ვერ გავედით, თუმცა მომდევნო ორ მატჩშიც არაფერს დავთმობთ. დანარჩენ ორ შეჯიბრებაში პირველობის მოპოვება შეგვიძლია - სლოვენიის ჩემპიონატში და ადრიატიკის ლიგაზე. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო „ცედევიტას“ დამარცხება.

დავძენთ, რომ „ოლიმპიამ“ ადრიატიკის თასი ბოლოს 2002 წელს ვლადიმერ ბოისასთან ერთად მოიგო.

21 ტურის შემდეგ „ოლიმპიას“ 13 მოგება აქვს და ცხრილში მესამე ადგილზეა. ასეთივე შედეგით მეოთხეა ჩერნოგორიის „ბუდუჩნოსტი“. პლეი ოფის ზონის მიღმაა „ზაგრები“ - 12 მოგება (მე-5 ადგილი), „ცედევიტას“ ანგარიშზე 11 გამარჯვებაა.

ადრიატიკის თასის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი. მომდევნო მატჩში „ბუდუჩნოსტი“ „ოლიმპიას“ მიიღებს.

ეფექტური ბუ დელფინები გამორიყული

მარკოიშვილმა, სანიკიძემ და შერმადინმა განვლილ უქმეებზე იმაზე მეტი დადებითი გააკეთეს, ვიდრე წუთობრივი მონაგარი ჰქონდათ. ამ სამეულს არ ჩამორჩა **გიორგი ცინცაძე,** რომელმაც 20 წუთში 11 ქულა, 6 პასი, 3 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ნიშანდობლივია, რომ გიორგიმ მხოლოდ 2 შეცდომა დაუშვა... ასე რომ, თამამად შეგვიძლია, ვთქვათ - ბალტიის თასზე შვედურ „დოლფინსთან“ ჩატარებული შეხვედრა „ბუსთვის“ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ეფექტურ საერთო სტატისტიკას თავი რომ დავანებოთ, გიორგიმ პერიმეტრიდან მაღალი შედეგიანობა აჩვენა: 2-დან 1 ორქულიანი და 4-დან 3 სამიანი ჩააგდო.

„ტარტუ როკმა“ „დელფინები“ 94:68 დაამარცხა.

ბალტიის ლიგაზე 19 ტურის შემდეგ „როკი“ მეოთხე ადგილზეა (13 მოგება). ამავე შეჯიბრებაში, 27 თებერვალს „როკერები“ ესტონურ დერბიში „კალევს“ ტალინში სტუმრობენ.

შენგელიას რეკორდი: 29

შენგელია შარლერუას ფარქვეშ

ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲠ „პეპინსტერში“ მთავარი მწვრთნელის შეცვლის შემდეგ სასტარტო ხუთეულის კალათბურთელად ყალიბდება 19 წლის ქართველი **თორნიკე შენგელია.** იგი კონტრაქტით „შარლერუას“ ეკუთვნის და „პეპინსტერშია“ განათხოვრებული. ბოლო ტურში თორნიკეს სწორედ „შარლერუას“ წინააღმდეგ მოუწია თამაშმა და გამარჯვებაც შეეძლო - მეოთხე პერიოდის წინ 59:53-ს იგებდა. თუმცა, გამოცდილებამ თავისი გაიტანა, ბოლო მეოთხედში „შარლერუამ“ 22:8 იმარჯვა და მატჩი 75:67 მოიგო.

შენგელიამ მოედანზე 29 წუთი გაატარა (ყველაზე მეტი ამ უქმეებზე მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა შორის), რაც ბელგიის ჩემპიონატში მისი რეკორდია, 7 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა და ამდენივე პასი მოაგროვა.

„პეპინსტერს“ 16 მატჩიდან 5 აქვს მოგებული და ბელგიის პირველობის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მერვე ადგილზეა. 26 თებერვალს შენგელიას გუნდი „ლიეჟს“ დაუხვდება.

მარკოიშვილის მორიგი სამქულიანი ტერამოში

28 ქართული ქულა იტალიაში

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონატში მოიგი გამარჯვებები იზეიმეს **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **ვიქტორ სანიკიძის** გუნდებმა. მათ წარმატებებში ქართველებსაც დიდი წვლილი მიუძღვით: ვიქტორმა 12 ქულა ჩააგდო, ხოლო მანუჩარმა - 16.

■ ■ ■

მარკოიშვილის „კანტუ“ „ტერამოს“ ეწვია. წინასწარ ფავორიტებად სწორედ სტუმრები იყვნენ შერაცხულნი. მათ ეს სტატუსი ბოლომდე გაამართლეს: ტერამოში „ახუტულ-ჩახუტული“ ანგარიშით იმარჯვეს - 96:69.

მანუჩარ მარკოიშვილმა ტრავმის მოშუშების შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა: 19 წუთში 16 ქულა, 1 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა გაიფორმა. მანუმ 9-დან 5 ორქულიანი და 3-დან 2 სამიანი გამოიყენა.

მასზე მეტი კანტუელთა კაპიტანმა **ნიკოლა მაზარინომ** ჩააგდო - 26 ქულა.

■ ■ ■

ვიქტორ სანიკიძეს „პესაროსთან“ საშინაო მატჩში 12 ქულის ჩასაგდებად 13 წუთიც ეყო. მარკოიშვილის მსგავსად მანაც კარგად ისროლა - 2 სამქულიანიდან და 4 ორიანიდან მხოლოდ თითო ააცილა, რასაც 3 საჯარიმო მიამატა. ვიქტორმა 12 ქულა არ იკმარა, 2 მოხსნა და თითო პასი-დაფარება გაიფორმა. სანიკიძემ ქულათა უმეტესობა პირველ ტაიმში ჩააგდო.

მატჩის ბომბარდირი 15 ქულით „ვირტუსის“ ფინელი უკანახაზელი **პეტრი კოპონენი** გახდა. ბოლონიელები რიტმს საწყისი სამი პერიოდის განმავლობაში აკონტროლებდნენ, თუმცა ბოლო ათწუთეულში პესაროელებმა თამაშის შემოტრიალება სცადეს და 2 ქულა დააკლდათ - „ვირტუსმა“ 71:70 მოიგო.

■ ■ ■

„აველინოს“ განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია **მერაბ ბოქოლიშვილს.** მისმა გუნდმა რომში „ლოტომატიკასთან“ 70:80 წააგო.

■ ■ ■

„კანტუ“ იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა - 14 გამარჯვება. მეოთხე-მეხუთე პოზიციებს ინაწილებენ „ვირტუსი“ და „აველონო“ (10-10 მოგება 9-9 მარცხი). მომდევნო ტურში „კანტუ“ პირველადგილოსან „მონტეპასკისთან“ სტუმრად ითამაშებს, „აველინო“ „მონტეგრანაროს“ მიიღებს, ხოლო „ვირტუსი“ - „კასერტას“. მე-20 ტურის მატჩები 27 თებერვალს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ნაკრებშიც ასეთი ელისი გვინდა

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ გაიმართა ქართველთათვის მეტად საინტერესო მატჩი - ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ **ნიკა ცქიტიშვილისა** და **ტაირონ ელისის** გუნდები.

შეხვედრა ელისის „ესტუდიანტესმა“ მოიგო - 88:81. საქართველოს ნაკრების ყოფილმა უკანახაზელმა, ტაირონმა ცქიტიშვილის „ლაგუნ აროს“ დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა: 27 წუთში 19 ქულა და თითო მოხსნა-პასი. აქ მთავარი ქულათა სიუხვე კი არა, ელისის სიზუსტე იყო - 5 სამქულიანი ისროლა და ხუთივე მიზანში მოარტყა(!), ასეთივე სიზუსტით ისროლა ორქულიანები (1-დან 1). ელისმა მხოლოდ 2 საჯარიმო ააცილა (4-დან).

- ჩვენი წარმატება სტაბილურობამ განაპირობა. ასეთ დროს კალათბურთელთა სროლის სიზუსტეც მატულობს და გასაკვირი არ არის, თუნდაც მე და კანერ-მედლიმ (23 ქულა) მაღალი პროცენტული სიზუსტით ვისროლეთ, - აღნიშნა ელისმა.

ზემოთ ტაირონი საქართველოს ნაკრების ყოფილ კალათბურთელად მოვიხსენიეთ. შეიძლება ეს შეცდომა იყოს, რადგან დიდია ალბათობა მან ჩვენი ნაკრების მაისურით ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს.

ვინმეს ეგებ ალოგიკურად მოეჩვენოს თხრობის დაწყება ნატურალიზებული ამერიკელით მაშინ, როცა მის წინაალმდეგ ქართველმა ნიკა ცქიტიშვილმა ითამაშა, მაგრამ სამწუხაროდ ნიკაზე საწერი ბევრი არაფერია - მწვრთნელი მხოლოდ 7 წუთით ენდო და ნიკამაც 2 მოხსნა მიითვალა.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრების უკანახაზელის **ტორინ გრინის** „გრან კანარიამაც“ მადრიდში ითამაშა - „ფუენლაბრადას“ ესტუმრა და 11 ქულის სხვაობით წააგო - 81:91. მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელიც „კანარიამ“ 7:22 წააგო. ბოლო მეოთხედში კუნძულელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ მარცხს თავი მაინც ვერ აარიდეს.

ტორინ გრინმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და 17 წუთში 3-3 ქულა-მოხსნა-პასი მოაგროვა.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი კალათბურთელის, **ქუინტონ ჰოსლის** „ხუვენტუდმა“ ვერაფერი გაანყო სტუმრად „მანრესასთან“ - 67:99.

ქუინტონმა 22 წუთში 8 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა.

■ ■ ■

ზემოთ ნახსენები გუნდებიდან სატურნირო ცხრილში ყველაზე ზემოთ „ხუვენტუდია“ (11 მოგება 10 წაგება) - მე-9 ადგილი. „გრან კანარია“ და „ესტუდიანტესი“ მეათე-მეთერთმეტე პოზიციებს ინაწილებენ (10-10 გამარჯვება, 11-11 წაგება). 8 მოგებითა და 13 წაგებით მე-14 ადგილზეა ნიკა ცქიტიშვილის „ლაგუნ არო“.

ტაირონ ელისი ლაგუნ აროსთან მატჩისას

● ლეგიონერები

სამი უკვე პლეი ოფშია, ოთხი ბრძოლას განაგრძობს



ბურთით რეზო გიგაური

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მორაგბეთა გუნდებს „მასის“, „ბეზიეს“ და „პერიგოს“, რომლებიც პირველი ტურებიდანვე ლიდერობენ, პლეი ოფში თამაში განაღდებული აქვთ. კიდევ ოთხს კი იქ მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

A ჯგუფში **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, არჩილ კობაურისა** და **დავით აშვეთიას** „მასი“ 73 ქულით პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარ „ბობინის“ 16 ქულით უსწრებს. პარიზელებმა, ძნელად წარმოსადგენია, დარჩენილ ტურებში პირველი ადგილი ვერ შეინარჩუნონ.

„მასიმ“ მე-17 ტურში უმასპინძლა **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დადუნაშვილის** „მონლუსონს“, რომელიც ასევე პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, სტუმრად ფრეს დასჯერდა **ირაკლი გიორგაძის** „ლავორთან“ - 29:29. კაჭარავამ სრულად ითამაშა, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

გია ლაბაძისა და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინმა“ სტუმრად წააგო მესამეადგილოსან „ბლანიაკთან“ - 10:19. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაგრამ დაშავდა და მომავალ უქმეებზე საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება. ბელქანია განაცხადში არ იყო. „ლა სეინი“ 35 ქულით მე-8 ადგილზეა.

დიმიტრი ბასილაიასა და **ნიკოლოზ მაღალდაძის** „ობენამ“ შინ წააგო „გროლესთან“ - 7:9. ბასილაია, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 59-ე წუთზე გაასინბინეს, მაღალდაძე მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა.

საბურნირო მდგომარეობა

1. მასი - 73 ქულა, 2. ბობინი - 57, 3. ბურგ ან ბრესი - 52, 4. მონლუსონი - 52, 5. დიჟონი - 48, 6. ორლეანი - 39, 7. ნევერი - 37, 8. მაკონი - 35, 9. ანესი - 24, 10. სტრასბური - 21, 11. სურესნე - 13. 12. სერჟ პონტუაზი - 11.

B ჯგუფში ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მეორეადგილოსანმა **გიორგი ნემსაძის** „მონტობანმა“ ლიდერ **ლაშა მალალურაძის** „ბეზიეს“ უმასპინძლა. გუნდები ფრეზე გაიყარნენ - 9:9. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. „ბეზიეს“ ახლა 56 ქულა აქვს და „მონტობანს“ ცხრა ქულით უსწრებს.

დავით კაჭარავას „ნიცა“, რომელიც 43 ქულით მე-4 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, სტუმრად ფრეს დასჯერდა **ირაკლი გიორგაძის** „ლავორთან“ - 29:29. კაჭარავამ სრულად ითამაშა, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

გია ლაბაძისა და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინმა“ სტუმრად წააგო მესამეადგილოსან „ბლანიაკთან“ - 10:19. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაგრამ დაშავდა და მომავალ უქმეებზე საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება. ბელქანია განაცხადში არ იყო. „ლა სეინი“ 35 ქულით მე-8 ადგილზეა.

დიმიტრი ბასილაიასა და **ნიკოლოზ მაღალდაძის** „ობენამ“ შინ წააგო „გროლესთან“ - 7:9. ბასილაია, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 59-ე წუთზე გაასინბინეს, მაღალდაძე მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა.

ვახტანგ მაისურაძე (მარჯვნივ)

გიორგი კუთარაშვილის „შატორენარმა“ სტუმრად მოუგო „გრასს“ - 13:9. კუთარაშვილმა სრულად ითამაშა.

B ჯგუფი

მონტობანი-ბეზიე 9:9, ბლანიაკი-ლა სეინი 19:10, ობენა-გროლე 7:9, გრასი-შატორენარი 9:13, ლავორი-ნიცა 29:29, ვალანსი-რომანი 25:18.

საბურნირო მდგომარეობა

1. ბეზიე - 56 ქულა, 2. მონტობანი - 47, 3. ბლანიაკი - 47, 4. ნიცა - 43, 5. ვალანსი - 42, 6. ლავორი - 39, 7. რომანი - 37, 8. ლა სეინი - 35, 9. შატორენარი - 35, 10. ობენა - 32, 11. გროლე - 31, 12. გრასი - 17.

ლიდერთა ბრძოლა გაიმართა C ჯგუფშიც. **თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგომ“ შინ წააგო მეორეადგილოსან „ლიმოჟთან“ - 9:12, თუმცა სატურნირო ცხრილში პირველი საფეხური მაინც შეინარჩუნა. პერიგოელები „ლიმოჟს“ ახლა ორი ქულით უსწრებენ.

ზიბზიბაძემ სრულად ითამაშა, მარგველაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში დადუნაშვილმა შეცვალა, ნინიძე განაცხადში არ იყო.

ვახტანგ მაისურაძის „სენ ნაზერმა“ შინ დიდი ანგარიშით მოუგო „რიბერაკს“ - 39:5. მაისურაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და 55-ე წუთზე გაასინბინეს.

C ჯგუფი

პერიგო-ლიმოჟი 9:12, სენ მედარი-პაი დუ მედოკი 18:15, მარმანდი-ტური 59:7, სენ ნაზერი-რიბერაკი 39:5, სენ ჟუნიენი-ლანჟონი 27:18, ნიორი-ვანი 22:34.

საბურნირო მდგომარეობა

1. პერიგო - 69 ქულა, 2. ლიმოჟი - 67, 3. ვანი - 60, 4. მარმანდი - 52, 5. სენ მედარი - 46, 6. ლანჟონი - 45, 7. სენ ნაზერი - 44, 8. სენ ჟუნიენი - 38, 9. რიბერაკი - 24, 10. პაი დუ მედოკი - 19, 11. ნიორი - 14, 12. ტური - 8.

D ჯგუფში მორიგი მარცხი განიცადა **მერაბ კვირიკაშვილის, ბექა ურჯუკაშვილის, ლევან დათუნაშვილის, დავით ბალანჩივაძისა** და **რეზო გიგაურის** „ფიჟაკმა“. ჩვენებურთა გუნდმა ამჯერად შინ წააგო „მორლაასთან“ - 17:25 და 31 ქულით მე-11 ადგილზეა.

აუტსაიდერი **კარლენ ასეიშვილის** „ორტეზი“ კი ასევე შინ დამარცხდა „კასტანესთან“ - 20:38.

D ჯგუფი

ლილი-კაორი 57:10, ფიჟაკი-მორლაა 17:25, ლანამეზანი-ოლორონი 45:33, მოლეონი-ლურდი 22:10, ტურნეფოი-სენ ჟან დე ლუზი 30:20, ორტეზი-კასტანე 20:38.

საბურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 71 ქულა, 2. კასტანე - 58, 3. ლილი - 54, 4. ლანამეზანი - 54, 5. ოლორონი - 45, 6. სენ ჟან დე ლუზი - 44, 7. მორლაა - 42, 8. მოლეონი - 42, 9. ლურდი - 39, 10. ტურნეფოი - 35, 11. ფიჟაკი - 31, 12. კაორი - 27, 13. ორტეზი - 21.

● ერთა თასი

ანტონ ფეიქრიშვილი



გია ლაბაძე

ლისაბონში ლაბაძე და ფეიქრიშვილი დაგვაკლდებიან

საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგ მატჩს 26 თებერვალს სტუმრად გამართავს პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან. „ბორჯღალოსნები“ მატჩისთვის მოსამზადებლად ლისაბონში გუშინ შეიკრიბნენ.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა** თავდაპირველად, როგორც უკვე გატყობინებდით, 25 მორაგბეს უხმო. ამათგან შვიდი პირველხაზელი იყო, მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში დაშავდა „კასტრის“ შერკინების ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი** და ლისაბონში გამგზავრება ვერ შეძლო. სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, მესამეხაზელმა **გია ლაბაძემ**, რომელიც ასევე ვერაფრით დაეხმარება ნაკრებს პორტუგალიელებთან მატჩში. სამაგიეროდ, თითქმის ერთნლიანი პაუზის შემდეგ ითამაშებს „მონპელიეს“ მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე.**

პირველ ხაზში ნაკრებს დაუბრუნდებიან **აქსენტი გიორგაძე** (კასტრი) და **გოდერძი შველიძე** (მონპელიე), რომლებმაც ნაკრების სასტარტო ორი შეხვედრა გამოტოვეს.

ტრავმირებულნი არიან და ისევ ვერ ეხმარებიან ეროვნულ გუნდს მეორეხაზელები, **გიორგი ნემსაძე** (მონტობანი) და **ილია ზედგინიძე** (სენ რაფაელი). გამოძახებულთა შორის არ არიან უკანახაზელები **მალხაზ ურჯუკაშვილი** (გურდო) და **ირაკლი გიორგაძე** (ლავორი).

შეგახსენებთ, რომ „ლობუშები“ საქართველოს ნაკრების მსგავსად ჯერაც დაუმარცხებელნი არიან. მათ ერთა თასისთვის ბრძოლაში ძირითადი კონკურენტები, რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებების დამარცხება შეძლეს. საქართველოს ნაკრებთან გამარჯვების შემთხვევაში, სავარაუდოდ, პორტუგალიელებს პირველობას ვერავინ შეეცილება.

პორტუგალიელთა მწვრთნელმა „ბორჯღალოსნებთან“ მოსამზადებლად 30 მორაგბეს უხმო. მასპინძლებს დანაკლისი, ფაქტობრივად, არ აქვთ.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ვასილ კაკოვინი, დავით ხინჩაგიშვილი (ორივე-ბრივი), აქსენტი გიორგაძე (ორივე-კასტრი), გოდერძი შველიძე (მონპელიე), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა).**

მეორე ხაზი: **ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი).**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი).**

N9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (სტიაუა)

N10: მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა მალალურაძე (ბეზიე)

N12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).

N11-14: ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი).

N15: ბესიკ ხამაშურიძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი).

პორტუგალიის ნაკრები

პირველი ხაზი: ჟოაო ჟუნიორი (კდულ), ჟორჟე სეგურადო, ჟოაო კორეია (ორივე-დირეიტო), კრისტიან სპაშუკი (კოლომიე), ჟუან მურე (ელ სალვადორი), ენტონი ალვეში (მონტობანი), ბერნარდო დუარტე (აგრონომია), ლიონელ კამპერნე (პო).

მეორე ხაზი: გონსალო უვა (მონპელიე), ჟუან სევერინო (აგრონომია), რუი დორეი (დირეიტო), ფერნანდო ალმეიდა (სეტუბალი).

მესამე ხაზი: ჟულიენ ბარდი (კლერმონი), ვასკო უვა, ლუის სოუზა (ორივე-დირეიტო), ტიაგო გირაო (კდულ), ჟაკ ლე რუ (აგრონომია).

N9: ჟოზე პინტუ (დირეიტო), ჟოაო ალმეიდა (აგრონომია).

N10: ჯო გარდნერი (ობენა), პედრო კაბრალი (კდულ)

N12-13: პედრო სილვა (ბელენენსეში), ფრანსისკო მირა (აგრონომია), ფერნანდო ოლივეირა, კარლ მურეი (ორივე-კდულ).

N11-14: გონსალო ფორო, ბერნარდო სილვა (ორივე-კდულ), ჯოზე სილვა (აგრონომია), ადერიტო ესტევეში (დირეიტო)

N15: პედრო ლეალი, ანტონიო აგილარი (დირეიტო).

ერთა თასი

III ტურ. 26 თებერვალი

პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა

IV ტურ. 12 მარტი

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

V ტურ. 19 მარტი

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საქართველო	2	2	0	0	+119	10
2. პორტუგალია	2	2	0	0	+9	8
3. რუსეთი	2	1	0	1	+2	5
4. ესპანეთი	2	0	0	2	-64	1
5. რუმინეთი	1	0	0	1	-7	1
6. უკრაინა	1	0	0	1	-59	0

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. ტურნირები

რობინი ჩიგულებს აგრძელებს

მამაკაცთა მიმდინარე სეზონს აშკარა ლიდერი ჰყავს **რობინ სიოდერლინგის** სახით. შვედმა 2011 წელს უკვე მესამე ტურნირის მოგება მოასწრო, თანაც ამ სეზონში ერთადერთი ნაგება აქვს - ავსტრალიის ღიაზე **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** წინააღმდეგ.

ფინალამდე სიოდერლინგმა არც ერთი სეტი არ დაუთმო მეტოქეებს. გადამწყვეტ მატჩში მას ხორვატ **მარინ ჩილიჩთან** შეხვედრამ მოუწია, რომელიც სასწაულებრივ გადაურჩა ნახევარფინალში **მიხაილ იუჟნისთან** მარცხს. რუსს გადამწყვეტ სეტში 5:3-ზე მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ფინალში ჩილიჩი გაუშვა.

სწორედ ხორვატი გახდა ერთადერთი ჩოგბურთელი ამ ტურნირზე, რომელმაც სეტი მოუგო სიოდერლინგს. ფინალის პირველ პარტიაში ჩილიჩი ბრეიკით დაწინაურდა. მართალია, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე მაინც აჯობა სკანდინავიელს - 10:8. მაგრამ ამის შემდეგ მარიანის თამაშის ხარისხი მკვეთრად დაეცა და ერთადერთი ჩავარდნა სიოდერლინგს მეორე სეტის შუაში ჰქონდა, როცა ჩილიჩმა საპასუხო ბრეიკი გააკეთა. შვედი დროულად გამოერკვა და მას შემდეგ ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია - 6:7(8), 6:3, 6:3.

ბრისბენისა და წინა კვირას როტერდამის ტურნირის მოგების შემდეგ რობინმა მარსელშიც მოიპოვა მთავარი პრიზი და **ტომას ენკვისტისა** და **იოახიმ იოჰანსონის** შემდეგ მესამე შვედი გახდა, ვინც ეს ფრანგული ქალაქი დაიპყრო.

■ ■ ■

მემფისის ტურნირი, მართალია, 500-ის კატეგორიისაა, მაგრამ ბოლო წლებში აქ ძლიერი შემადგენლობა არ იკრიბება. ახლაც, რეიტინგის საუკეთესო ათეულის წევრებიდან მხოლოდ ორი ჩოგბურთელი ვიხილეთ - **ენდი როდიკი** და **ფერნანდო ვერდასკო**.

მაგრამ მემფისში იყვნენ სხვა ჩოგბურთელები, რომელთა მიმართ ჩოგბურთის მოყვარულთა ინტერესი დიდი იყო. ერთ-ერთი მათგანია არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, რომელიც თანდათან იბრუნებს ძველ ფორმას. პირველ წრეში შარშანდელი ფინალისტის **ჯონ ისნერის** დამარცხების შემდეგ (6:4, 6:3) დელ პოტროს პრობლემები არ შეჰქმნია **ივან დოდიგთან** და **მაიკლ რასელთან** მატჩებში. ნახევარფინალში გასვლით არგენტინელმა რეიტინგში 132-საფეხურიანი ნახტომი გააკეთა და ახლა 166-ე ადგილს იკავებს.

არგენტინელის შეჩერება ენდი როდიკმა შეძლო. დელ პოტრო ძველებურად ძლიერ დარტყმებს ასრულებდა, მაგრამ შეცდომასაც ბევრს უშვებდა. საბოლოოდ, ენდიმ სამჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, თავად ერთი ბრეიკი დათმო და 6:3, 6:4 გაიმარჯვა. ასე გავიდა როდიკი წელს მეორე ტურნირის ფინალში (პირველი ბრისბენში იყო, სადაც ამერიკელმა სიოდერლინგთან წააგო).

ბადის მეორე მხრიდან ფინალში კანადელმა **მილოშ რაონიჩმა** გააღწია, რომელსაც ბრწყინვალე ტემპი ჰქონდა აღებული. ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში გასვლის გარდა, რაონიჩმა წინა კვირას პირველად გააღწია ATP-ის ტურნირის ფინალში და იქ **ფერნანდო ვერდასკოს** მოუგო. სხვათა შორის, მემფისში ეს ჩოგბურთელები პირველ წრეში შეხვდნენ ერთმანეთს და ისევ კანადელმა გაიმარჯვა. ამას მოჰყვა **რადეკ შტეპანეკის**, **რობერტ კენდრიკისა** და **მარდი ფიშის** ძლევა და ზედიზედ მეორე ფინალი.

გადამწყვეტ მატჩში პირველი სეტი მონოდებებს დუელად გადაიქცა. მოგების უკეთესი შანსი რაონიჩს ჰქონდა, რომელმაც ჯერ ორი ბრეიკ-პოინტი გაანიავა, შემდეგ კი ტაი-ბრეიკზე საკუთარ მონოდებაზე სეტბოლი დაკარგა - 7:9. მეორე სეტის სტარტზე კანადელმა ბრეიკი მოიპოვა და იქვე მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. საქმე ისევ ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ დაძაბულ ბრძოლაში, სამი მატჩბოლის მოგერიების შემდეგ რაონიჩმა სეტებში თანაფარდობა აღადგინა.

მესამე სეტი როდიკმა უკეთ დაიწყო, რაონიჩს კი დაღლა ეტყობოდა. კანადელმა ჯერ ბრეიკი დათმო, შემდეგ კინალამ მეორედ წააგო თავისი მონოდება, ბრეიკ-პოინტები გადაარჩინა და მოულოდნელად თავად გააკეთა ბრეიკი. მაგრამ 5:6-ზე მორიგი მატჩბოლის დროს მილოში ბადესთან გავიდა, მოკლე დარტყმით თითქოს საფრთხე მოიგერია, მაგრამ ენდიმ ნახტომში ულამაზესი ფორჰენდი შეასრულა და ლამაზად დაასრულა ტურნირი.

როდიკმა კარიერაში 30-ე ტიტული მოიგო. ამერიკელმა გააგრძელა შესანიშნავი სერია - უკვე ზედიზედ 11 წელია სეზონში მინიმუმ ერთ ტურნირს იგებს.

■ ■ ■

ბუენოს-აირესში, როგორც წესი, ესპანელები, არგენტინელები და სხვა ის ჩოგბურთელები შეიკრიბნენ, რომლებსაც გრუნტზე თამაში უყვართ.

ლათინოამერიკული ტურნირების სერიაში ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო** დომინირებს. წინა კვირას ბრაზილიაში გამარჯვების შემდეგ მან არგენტინის დედაქალაქში დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი. ალმაგრომ ფინალამდე ისე მიაღწია, რომ მხოლოდ ერთი სეტი დათმო, გადამწყვეტ მატჩში კი სამ პარტიაში დაამარცხა მასპინძელი **ხუან იგნასიო ჩელა**.

ნიკოლასისთვის ეს მეცხრე ტიტული იყო კარიერაში, თანაც ყველა გრუნტზე მოგებული.

ATP

Open 13

მარსელი (საფრანგეთი). პარდი

ფინალი

რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:7 (8:10), 6:3, 6:3.

Morgan Keegan Championships

მემფისი (აშშ). პარდი

ფინალი

ენდი როდიკი (აშშ, 1)-მილოშ რაონიჩი (კან) 7:6(7), 6:7(11), 7:5.

Copa Claro

ბუენოს აირესი (არგენტინა). გრუნტი

ფინალი

ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 1)-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 8) 6:3, 3:6, 6:4.

კარო ფორმაშია

დაძაბული კვირა ჰქონდათ ქალ ჩოგბურთელებს - ისინი ერთბაშად ექვს ტურნირში არკვევდნენ ურთიერთობას. მათგან ყველაზე წარმომადგენლობითი გახლდათ ქალების ტურნირი დუბაიში, სადაც საყოველთაო ყურადღება დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკისკენ** იყო მიპყრობილი.

კაროლინ ვოზნიაცკი

საქმე ისაა, რომ ტურნირის მსვლელობისას სკანდინავიელმა დაიბრუნა პირველი ჩოგნის სტატუსი. ამისთვის მას ნახევარფინალში გასვლა სჭირდებოდა და „კარომ" ეს ამოცანა იოლად გადაჭრა. საერთოდ, **იანკოვიჩთან** ნახევარფინალს თუ არ ჩავთვლით, ვოზნიაცკიმ ყველა მეტოქე ძალიან იოლად დაამარცხა, მათ შორის ფინალში **სვეტლანა კუზნეცოვა**.

რუსს ფინალამდე უფრო რთული გზის გავლამ მოუწია - ორი რთული სამსეტიანი მატჩი ჩაატარა **ცვეტანა პირონკოვასა** და **ფრანჩესკა სკიავონეს** წინააღმდეგ. კუზნეცოვამ იტალიის ნაკრების კიდევ ერთი ლიდერი - **ფლავია პენეტაც** დაამარცხა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ფედერაციის თასის ნახევარფინალში რუსეთს იტალიასთან უწევს შეხვედრა.

ფინალში ვოზნიაცკის არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. პირველი სეტში ერთადერთი გეიმი საკუთარ მონოდებაზე წააგო. ამ პარტიაში მას სამჯერ მეტი „ვინერსი" ჰქონდა და გაცილებით ნაკლები უნებლიე შეცდომა.

მეორე სეტში ასე თუ ისე შეინიშნებოდა ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში, კუზნეცოვამ სამი გეიმის აღება შეძლო, რაც ბრწყინვალედ მოთამაშე ვოზნიაცკის ფონზე დიდი მიღწევა იყო. რუსმა ორი ბრეიკი გააკეთა და ერთხელ საკუთარი მონოდებაც აიღო, მაგრამ ამას დანიელმა ოთხი ბრეიკით უპასუხა და 6:3 გაიმარჯვა.

ვოზნიაცკიმ წელს პირველი და კარიერაში მე-13 ტიტული მოიგო. ამ გამარჯვებისთვის მიღებული 900 სარეიტინგო ქულით მან მნიშვნელოვნად გაუსწრო რეიტინგში **კიმ კლაისტერსს**, რომელიც ახალ ლიდერს 595 ქულით ჩამორჩება.

WTA

Dubai Tennis Championships

დუბაი (საემიროები). პარდი

ფინალი

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 16) 6:1, 6:3.

Cellular South Cup

მემფისი (აშშ). პარდი

ფინალი

მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)-რებეკა მარინო (კან, 6) 6:2, უარი.

XIX Copa BBVA Colsanitas

ბოგოტა (კოლუმბია). გრუნტი

ფინალი

ლურდეს დომინგეს-ლინო (ესპ)-მატილდა იუჰანსონი (საფ) 2:6, 6:3, 6:2.



ამჯერად ხუთი ტურნირი

ჩოგბურთელებს ეს კვირაც არანაკლებ დატვირთული ექნებათ - მამაკაცებს სამ, ქალებს კი ორ ტურნირში მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. ტრადიციულად გთავაზობთ ამ კვირის ტურნირების წარდგენას.

ATP

Dubai Tennis Championships

დუბაი (საემიროები). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 1 619 500 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: *როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ტომაშ ბერდიხი, ივან ლუბიჩიჩი, მარკოს ბაღდატისი...*

რა თქმა უნდა, მთავარი ტურნირი დუბაიში იმართება, სადაც რეიტინგის პირველი სამეულის ორი წევრი ითამაშებს - **როჯერ ფედერერი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. ბუნებრივია, ყველა მათი ფინალის მოლოდინში იქნება. სხვათა შორის, სერბი ამ ტურნირის ბოლო ორი წლის ჩემპიონია, ფედერერს კი დუბაიში ოთხჯერ გაუმარჯვია.

ორივე ფავორიტისთვის ეს იქნება პირველი გამოსვლა ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, სადაც სერბის ტრიუმფი ვიხილეთ. რთულია წარმოსადგენია, ამ დუეტს ვინმემ კონკურენცია გაუწიოს.

Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 995 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: *დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო, ნიკოლას ალმაგრო, სტანისლას ვავრინკა, დავიდ ნალბანდიანი, ალბერტ მონტანიესი, ალექსანდრ დოლგოპოლოვი...*

ეს არის ლათინური ამერიკის სათიხნარო სერიის რიგით მეოთხე და ბოლო ტურნირი. ტიტულის დაცვას შეეცდება **დავიდ ფერერი**, თუმცა მას ღირსეული კონკურენტები ეყოლება. მათ შორის მთავარია **ნიკოლას ალმაგრო**, რომელმაც ბოლო ორ კვირაში ორი ტურნირი მოიგო. რა თქმა უნდა, სახიფათო იქნება **ფერნანდო ვერდასკო**, თუმცა ჯერჯერობით არასტაბილურია. ასევე ყურადღებას იქცევს სეზონის აღმოჩენა **მილოშ რაონიჩი** - ალმაგროს მსგავსად, ისიც ზედიზედ ორჯერ მოხვდა ATP-ის ტურნირების ფინალში და გუშინ მისი შეჩერება მხოლოდ ამერიკელმა **ენდი როდიკმა** მოახერხა.

International Tennis Championships

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 442 5000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: *ენდი როდიკი, მარდი ფიში, სემ კუერი, ჯონ ისნერი, კევინ ანდერსონი, იანკო ტიპსარევიჩი...*

დელრეი ბიჩის ტურნირი ფაქტობრივად აშშ-ის ჩემპიონატი გამოდის, რადგან იქ ამ ქვეყნის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი აპირებს გამოსვლას.

ფავორიტი ენდი როდიკია, რომელიც ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას, რასაც წინა კვირას მემფისის ტურნირის მოგებაც ადასტურებს. შარშან დელრეი ბიჩში **ერნესტ გულბისმა** გაიმარჯვა და ლატვიელი იქ სარეიტინგო ქულების დასაცავად არის ჩასული. ასევე შეიძლება პრობლემები შეუქმნას ადგილობრივ ჩოგბურთელებს არგეტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**, რომლის პროგრესიც უკვე თვალში საცემია.

WTA

Qatar Ladies Open

დოჰა (კატარი). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 721 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: *კაროლინ ვოზნიაცკი, ვერა ზვონარევა, ფრანჩესკა სკიავონე, ნა ლი, ელენა იანკოვიჩი, ვიქტორია აზარენკა, აგნიეშკა რადვანსკა, შაარ პეერი...*

აქ თითქმის იგივე შემადგენლობა იკრიბება, რაც წინა კვირას დუბაიში იყო. სატურნირო ბადეში რეიტინგის საუკეთესო ათეულიდან შვიდ წარმომადგენელს ვხედავთ, მათ შორის მსოფლიოს პირველ ჩოგან **კაროლინ ვოზნიაცკის**, რომელმაც ეს სტატუსი დუბაის ტურნირზე ნაჩვენები ბრწყინვალე თამაშის წყალობით დაიბრუნა. შესაბამისად, სწორედ დანიელი უნდა მივიჩნიოთ მთავარ ფავორიტად.

მაგრამ კაროლინმა, შესაძლოა, ფიზიკურად ვერ გაძლოს, ამიტომაც ფავორიტთა რიგებს მიაკუთვნებენ რუს **ვერა ზვონარევას**, ჩინელ **ნა ლისა** და სხვებს.

Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: *იულია გორეზესი, პოლონია ჰერეროგი, გრეტა არნი, ხისელა დულკო, სიმონა ჰალეპი, არანჩა პარა სანტონხა...*

შარშან ამ ტურნირზე **ვენუს უილიამსმა** გაიმარჯვა, მაგრამ მას ტრავმის გამო არ ექნება სარეიტინგო ქულების დაცვის საშუალება. ამიტომაც ამერიკელის არყოფნაში რთულია მონაწილეთა ამ თანაბარ ჯგუფში რომელიმე ჩოგბურთელის გამოყოფა.

ამიტომაც ნომინალურ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ პირველ ნომრად განთესილი **იულია გორგესი**, მაგრამ ამ ჩოგბურთელმა წელს ვერაფრით მიაღწია სტაბილურ თამაშს. სხვა განთესილ მოთამაშეებზეც იმავეს თქმა შეიძლება. მაგალითად, **გრეტა არნმა** წლის დასაწყისში ოკლენდის ტურნირი მოიგო, სამაგიეროდ, ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში დამარცხდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ფორმულა 1

არ გააუქმდება, მაგრამ გადაიდება

ბაჰრეინში პოლიტიკა უფრო აინტერესებთ

ბაჰრეინის გრან-პრისთან დაკავშირებული ბოლო ინფორმაციის თანახმად, სეზონის პირველ რბოლას არ გააუქმებენ, არამედ მოგვიანებით ჩაატარებენ. ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ საჰირის ტრასაზე რბოლა 17 აპრილის შემდეგ რომელიმე თავისუფალ უქმეებზე გაიმართება.

„ჩვენ მივიღეთ ყველა ოპერაციის შეწყვეტის ბრძანება“, - ამბობს ერთ-ერთი გერმანული კომპანიის წარმომადგენელი სეზონის პირველი გრან-პრისთვის მზადების კომენტარისას. ოფიციალურად კი გრან-პრის გადატანის შესახებ სავარაუდოდ, დღეს გამოაცხადებენ.

ამასობაში სამგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნიკი ლაუდამ** განაცხადა: *„რბოლა უნდა გაუქმდეს“*, ხოლო **სებასტიან ფეტელის** მამამ - **ნორბერტ ფეტელმა** აღიარა, რომ უკვე ჩააბარა ბაჰრეინის ავიაბილეთები და უარი თქვა დაჯავშნილ ნომერზე.

„ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი თანამშრომლების უსაფრთხოება“, - ამბობს „მერსედესის“ ერთ-ერთი შეფი **ნორბერტ ჰაუგი**. მოკლედ ყველა და ყველაფერი ბაჰრეინის გრან-პრის საწინააღმდეგოდაა.

უახლოეს დროში უნდა გადაწყდეს ბაჰრეინის ტესტების ბედი, მაგრამ უკვე დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მას გააუქმებენ ან 3-6 მარტს სხვა ადგილას გადაიტანენ.

მოგვიანებით გავრცელებულ ჭორებს გამოეხმაურა **ბერნი ეკლსტოუნი**. ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პირველი ეტაპის სხვა ქვეყანაში გადატანაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ მანაც დაადასტურა, რომ სავარაუდოდ, რბოლა საჰირზე მოგვიანებით ჩატარდება.

„საბოლოო გადაწყვეტილებას 22 თებერვალს მივიღებთ, - ამბობს ეკლსტოუნი. - *თუ ეტაპის მონაწილეებისა და მაყურებლების უსაფრთხოება დაცული არ იქნება, იქ არავინ გაემგზავრება. ასეთ შემთხვევაში რბოლის თარიღი გადაიწევს. სხვა ქვეყანაში რბოლის ჩატარების საკითხი არც განხილულა“*.

მერსედესმაც მოიგო

ბარსელონას ტესტების მესამე დღეს ისევ წვიმა ჩაერია საქმეში და პილოტებს კვლავ მოუწიათ წვიმის საბურავებზე გადასვლამ. მხოლოდ დღის მეორე ნახევარში გაშრა ასფალტი და მონაწილეებმა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელეს ვარჯიში.

დილის სესია რამდენჯერმე შეწყდა წითელი დროშებით: **პასტორ მალდონადო** გადავარდა ტრასიდან მეხუთე მოსახვევში, იგივე დაემართა მეოთხე ვირაჟზე კიდევ ერთ დებიუტანტ **სერხიო პერესს**. ორჯერ ალმოჩნდა ტრასის მიღმა **ფელიპე მასა**, რომელიც ახალი „ფერარის“ საჭესთან ცვლიდა **ფერნანდო ალონსოს**.

გუნდები სხვადასხვა პროგრამით მუშაობდნენ. ზოგიერთმა რბოლის იმიტაცია ჩაატარა, რისი საშუალებაც სადილის შემდეგ იყო, რადგან მეორე სესია ავარიების გამო არ შეწყვეტილა. ტრასის მდგომარეობა გაუმჯობესდა, გაიზარდა სისწრაფე, შესაბამისად, დღის ბოლოს ბევრმა გაიარა წრეების მოკლე სერია და პილოტები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პირველ ადგილზე. საბოლოოდ, საუკეთესო წრე „მერსედესის“ პილოტმა **ნიკო როსბერგმა** აჩვენა. აღსანიშნავია, რომ მან არა მარტო ამ დღეს, არამედ სამი დღის ჯამში საუკეთესო დრო დააფიქსირა.

ბოლოს კიდევ ერთხელ ააფრიალეს წითელი დროშები - **მარკ უებერის** მანქანა გაჩერდა მეშვიდე და მერვე მოსახვევებს შორის.


მასა ავარიის შემდეგ

III დღე

1. როსბერგი (მერსედესი)	1:23.168 (92 წრე)
2. პეტროვი (ლოტუს-რენო)	+0.295 (93)
3. ჰემილტონი (მაკლარენი)	+0.690 (93)
4. მალდონადო (უილიამსი)	+1.647 (60)
5. უებერი (რედ ბული)	+1.827 (139)
6. ტრული (ლოტუსი)	+2.286 (48)
7. პერესი (ზაუბერი)	+2.389 (115)
8. სუტილი (ფორს ინდია)	+2.552 (102)
9. ბუემი (ტორო როსო)	+2.987 (31)
10. მასა (ფერარი)	+3.340 (123)
11. გლოკი (ვირჯინი)	+3.430 (97)
12. მონდინი (HRT)	+5.010 (39)
13. რიაბოდო (ტორო როსო)	+5.161 (42)
14. კართიკეიანი (HRT)	+7.554 (32)

ავტოსპორტი

ამერიკული სენსაცია

ამერიკაში ნასკარის რიგით 63-ე სეზონი ლეგენდარული რბოლით დაიწყო, რომელსაც „დაიტონას 500 მილი“ ჰქვია. „ამერიკის უდიადეს რბოლაში“ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა 20 წლის **ტრევორ ბეინმა**, რომელსაც აქამდე ნასკარის უმაღლეს დივიზიონში მხოლოდ ერთი ეტაპი ჰქონდა ჩატარებული! ბოლო წრეზე ბეინმა საფინიშო სპურტით მოუგო **კარლ ედვარდსა** და **დევიდ გილანდს**.

ბეინი, რომელმაც სტარტის წინ აღნიშნა თავისი მეოცე დაბადების დღე, „დაიტონა 500“-ის ყველაზე ახალგაზრდა ტრიუმფატორი გახდა. გარდა ამისა, ის მხოლოდ მეორე პილოტია ამ რბოლის 52-ნლიან ისტორიაში, ვინც პირველი ცდიდან შეძლო მთავარი პრიზის მოპოვება. პირველი იყო **ლი პეტი**, რომელმაც 1959 წელს სადებიუტო რბოლაში მოიპოვა გამარჯვება.

საინტერესო ის არის, რომ ამ მოგებისთვის ტრევორს ქულები არ მიუღია, რადგან არ იყო მთელ სეზონზე გაანაცხადში შეყვანილი. ის გუნდმა - Wood Brothers Racing-მა მხოლოდ ამ რბოლისთვის მიიწვია. სხვათა შორის, ამ საჯინიბომ ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველი გამარჯვება მოიპოვა ნასკარის თასზე. და კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი - ტრევორ ბეინმა „ფორდს“ ნასკარის უმაღლეს ლიგაში საიუბილეო მე-600 გამარჯვება მოუტანა.

კარგად დაიწყო ახალი სეზონი ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **ხუან-პაბლო მონტოიამ**, რომელმაც ექვსეულში შეაღწია და გამარჯვებულს მხოლოდ წამით ჩამორჩა. კოლუმბიელს „შევროლეს“ გუნდში საუკეთესო შედეგი ჰქონდა.

ბოლო ხუთი ნლის ჩემპიონისთვის - **ჯიმი ჯონსონისთვის** წლევანდელ „დაიტონა 500“-ზე საქმეები მას შემდეგ წავიდა უკან, რაც ის გრანდიოზულ ავარიაში მოყვა. საერთო ჯამში რბოლა 22-ჯერ (რბოლის რეკორდი) შეწყდა, რის გამოც შეჯიბრების საერთო ხანგრძლივობამ ოთხ საათზე მეტი შეადგინა.

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

რეინჯერსი-ფილადელფია 2:4

1:1, 0:2, 1:1

გოლები: 1:0 ვოლსკი-10 (მაკდონაპი-3, ზაუერი-7), 1:1 ჯ. კარტერი-27 (ფირუ-34, ჰარგნელი-19), 1:2 ფირუ-20 (ჯ. კარტერი-25, ჰარგნელი-20), 1:3 კარჩილო-4 (ქობურნი-10, პოუ-10), 2:3 სტეპანი-16 (ჟირარდი-22, მ. სტაალი-16), 2:4 ვერსტეეგი-15 (ქობურნი-11, ვან რიმსდიკი-14).

კალგარი-მონრეალი 4:0

1:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ბურკი-18 (ტანგეი-29, ო. იოკინენი-30), 2:0 ბაბჩუკი-9 (გლენ ეროსი-13, ბ. მორისონი-29), 3:0 ბურკი-19 (სერჩი-10), 4:0 ტანგეი-16 (იგინლა-32, ბ. მორისონი-30).

ჩიკაგო-პიტსბურგი 3:2 (ბ)

1:0, 0:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 შარპი-31 (ტუუზი-34, ჰიალმარსონი-5), 1:1 კუკი-11 (ტელობტი-8, ორპიკი-11), 2:1 ბიკელი-14 (ბოლანდი-19, კეტი-27), 2:2 სტერლინგი-3 (ჯ. სტაალი-8, ტაილერ კენედი-17).

ბულტები გაიტანეს: ბ. კეინი (ჩიკაგო).

მინესოტა-დეტროიტი 1:2 (ბ)

0:0, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ლიდსტრიომი-12 (ჰუდლერი-21, ბ. სტიუარტი-10), 1:1 ჰავლატი-18 (ბერნსი-21).

ბულტები გაიტანეს: დაციუკი (დეტროიტი), ბერტუცი (დეტროიტი).

ბაფალო-ვაშინგტონი 1:2

0:0, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 მ. პერო-7 (ჰენდერქსი-12, ჩიმერა-12), 1:1 პომინვილი-14 (ვანეკი-28, ტიმ კონოლი-18), 1:2 მ. იოჰანსონი-9 (მ. პერო-7, ოვეჩკინი-38).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მაჯრი

ფრედერისია-აგფ 3:1

ინგლისის თასი

1/8 ფინალი

ვესტ ჰემი-ბარნლი 5:1

იტალია

სერია B

ვარეზე-ფროსინონე 3:3

სერია C1/A

სპეცია-სალერნიტანა 2:1

ესპანეთი

სოსიედადი-ვალიორკა 1:0

გერმანია

II ბუნდესლიგა

ჰერტა-კოტბუსი 2:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

ბულონი-ლე მანი 1:0

პორტუგალია

სპორტინგი-ბენფიკა 0:2

საბერძნეთი

II დივიზიონი

პანაიტოლიკოსი-იანინა 1:1

ეთნიკოსი-ლევადია 1:1

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ლუგანო-ვადუცი 2:1

თურქეთი

მანიშა-ტრაბზონი 1:2

II დივიზიონი

ადანა-ბირეშუნი 2:2

კვიპროსი

ომონია-ბნოსისი 0:0

ისრაელი

მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ფ-თ) 2:0

ჩრ. ირლანდია

კრუზეიდერსი-გლენტორანი 2:1

დონეგალი-კოლრეინი 1:1

დუნგანონი-ნიური 0:0

კალათბურთი

ისრაელი

მაკაბი (ა)-ჰაპოელი (გ) 90:93

ჰოკეი

დანია

ოდენსე-ჰერნინგი 3:4 (ო)

ჰვიდოვრე-როდოვრე 3:2

ესბერგი-ფრედრიკშავნი 5:2

სონდერიისკი-ოლბორგი 2:3 (ბ)

შვედეთი

იურგორდენი-ფრიოლუნდა 5:1

ჩოგბურთი

ATP. დოჰა

გულბისი-ბერერი	6:3, 6:4
სეპი-პეტცშნერი	6:3, 6:7, 2:6
გასკე-დიმიტროვი	6:2, 6:4
ნიემინენი-ფ. მაიერი	4:6, 2:6
როსოლი-კ. ბეკი	7:6, 6:3
ბერდიხი-შარდი	6:2, 6:3
ლუბიჩიჩი-ბუბკა	1:6, 1:6

ATP. დელრეი ბიჩი

ჰარისონი-სერა	6:3, 3:6, 5:7
კუერი-ბრაუნი	6:3, 5:7, 6:3

WTA. დოჰა

კლეიბანოვა-ბარტოლი	5:7, 2:6
ა. რადვანსკა-საფაროვა	6:7, 3:6
პეტროვა-ვინჩი	6:4, 6:2

TV პროგრამა

22 თებერვალი. სამშაბათი

I არხი

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-რეალი (LIVE).

რუსთავი 2

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. კოპენჰაგენი-ჩელსი (LIVE).

HTB-პლუსი (უეხბურთი)

20:15 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ცსკა-პაოკ (LIVE).

23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. კოპენჰაგენი-ჩელსი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:30 მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი - XL GALAN. შვედეთი (LIVE).

05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ნიუ ჯერსი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-რეალი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).

19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

17:55 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი. უგმკ-ტარანტო (LIVE).

05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-კლიპერსი (LIVE).

SPORT+

20:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ცსკა-პაოკ (LIVE).

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. კოპენჰაგენი-ჩელსი (LIVE).

EUROSPORT

16:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. დოჰა. კატარი (LIVE).

EUROSPORT-2

21:00 კალათბურთი. ევროთასი. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბუდიველნიკი (უკრაინა)-არისი (საბერძნეთი) (LIVE).

22:45 კალათბურთი. ევროთასი. მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. გალათასარაი (თურქეთი)-კაზერტა (იტალია) (LIVE).

ამბები

მძლეოსნობა

რეკორდი საფრანგეთში

საფრანგეთის ზამთრის ჩემპიონატზე მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარდა სამხტომში (დარბაზებისთვის) - მისი ავტორია **ტედი ტამგო**, რომელმაც თავისივე შარშანდელ მიღწევას ერთი სანტიმეტრი დაუმატა. ახალი რეკორდი 17 მეტრსა და 91 სანტიმეტრს უდრის. წინა რეკორდი ფრანგმა გასულ წელს, დოჰაში დარბაზებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამყარა.

ასე რომ, ტამგომ დაამტკიცა ახალ სეზონში თავისი ამბიციები. ტედი პარიზში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.

ველოსპორტი

კონტადორი მეთხუთმეტეა

ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა** პირველი რბოლა ჩაატარა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციამ დოპინგის მიღების ბრალდება მოუხსნა და საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის ნება დართო. ტურ დე ფრანსის ჩემპიონმა მრავალდღიან „ტურ ალგავრეზე“ მე-15 ადგილი დაიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მისთვის შედეგი არ არის მნიშვნელოვანი და მთავარი პრაქტიკის მიღებაა. კონტადორის თქმით, ანტისადოპინგო ორგანიზაციებთან საქმის გარჩევამ დიდი დრო წაართვა და ჩვეულებრივზე გაცილებით გვიან დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება.

„რბოლამ ისე არ ჩაიარა, როგორც მინდოდა, მაგრამ მარტო „ტურ ალგავრეზე“ მონაწილეობა - დიდი ტრიუმფია ჩემთვის. ვფიქრობ, ცუდი შედეგი არ მიჩვენებია. არ ვიცოდი, მაგრამ გაზეთიდან შევიტყვე, რომ ველოსპორტის გარეშე ზედიზედ 205 დღე გავატარე. ეს ძალიან ბევრია“, - ამბობს კონტადორი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

მეფე ლოს ანჯელესიდან



კობი MVP გახდა

დასტინ პოფმანი
და მისი ვაჟი ჯეიკ

ჯეკ ნიკოლსონი და
მისი ვაჟი რეიმონდი

ლოს ანჯელესში კალათბურთის სამდღიანი ზეიმი „ვარსკვლავური უქმეების“ მთავარი მატჩით დასრულდა. „ოლ სტარის“ შეხვედრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ორი ვარსკვლავის - **კობი ბრაიანტისა** და **ლებრონ ჯეიმსის** მეტოქეობის ფონზე ჩაიარა. არ არის გამორიცხული, ეს კალაბურთელები წლევანდელ ფინალურ სერიაშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და თუ ეს დუელი ისეთივე სანახაობრივი იქნება, როგორც „ყველა ვარსკვლავის მატჩში“, წინ მართლაც დაუვიწყარი სპექტაკლი გველოდება.

ამ დუელში კი გამარჯვებული ბრაიანტი და მისი გუნდი - დასავლეთის ნაკრები გამოვიდა. კობიმ ახალგაზრდობა გაიხსენა - დიდი ხანია ის ასეთი აგრესიული და სწრაფი არ ყოფილა. „ლეიკერსის“ ლიდერმა 37 ქულა (თამაშიდან - 14/26) დააგროვა და 14 მოხსნა მიითვალა, მათ შორის ათი მეტოქის ფარზე. ბუნებრივია, საუკეთესო მოთამაშის ტიტული სწორედ მას ერგო. „შავი მამბა“ მეოთხედ გახდა „ოლ სტარის“ MVP, რითაც ლეგენდარულ **ბობ პეტიტს** გაუთანაბრდა. *„ვარსკვლავების ეს მატჩი - ბოლო იყო ჩემთვის ლოს ანჯელესში, ამიტომაც შევეცადე მაქსიმალურად მომენდომებინა,* - განაცხადა ბრაიანტმა - *მინდოდა, ჩემი ენერგია პარტნიორებისთვისაც გადამედო და ვფიქრობ, ყველაფერი კარგად გამოგვივიდა“.*

თავის მხრივ, ლებრონმაც არანაკლებ ბრწყინვალედ ითამაშა - მაიამელმა „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ისტორიაში მეორე სამმაგი დუბლი დააფიქსირა - 29 ქულა, 12 მოხსნა და 10 პასი. პირველად ასეთი რამ **მაიკლ ჯორდანმა** გააკეთა შორეულ 1997 წელს.

მატჩის სასტარტო წუთები დაცვაში კარგი თამაშით აღინიშნა. ყველაზე დასამახსოვრებელი იყო **დუეინ უეიდისა** და ბრაიანტის დაპირისპირება. შეხვედრის დებიუტში ეს ვარსკვლავები ძალიან მჭიდროდ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. ამ მინი-დუელში გამარჯვებული კობი გამოვიდა. ბრაიანტმა პარტნიორებიც აიყოლია და პირველ მეოთხედში დასავლეთის ნაკრებს ათქულიანი უპირატესობა მოუტანა. აღმოსავლეთი კარგა ხანი ვერ მოვიდა გონს და ძლივს მიაღწია 20-ქულიან ზღვარს.

დიდი შესვენებისთვის ლებრონმა და კომპანიამ თამაში გაათანაბრეს, მაგრამ ანგარიშში სხვაობა მაინც ათ ქულაზე მეტი იყო. შესანიშნავად გამოიყურებოდა **კრის ბოში.** პირველ ტაიმში ექვსიდან ექვსი ბურთის ჩაგდების გარდა, „მაიამის“ მძიმე ფორვარდი ასე თუ ისე აკავებდა დასავლეთის რეზერვისტებს, თორემ „მასპინძლების“ უპირატესობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ასე კი დიდი შესვენებისთვის სხვაობა 12 ქულას შეადგენდა.

ოლ სტარზე
რიანნამ იმღერა

მეორე ტაიმი ისევე დაიწყო, როგორც პირველი. დასავლეთი ბრაიანტისა და **კევინ დურანტის** მეთაურობით შანსს არ უტოვებდა მეტოქეს. კულმინაცია გახდა კობის ჩატენვა ლებრონის წინააღმდეგ. ამ დროს ლოს ანჯელესის „სტეიპლს ცენტრი“ კინაღამ აფეთქდა. რაღაც მომენტში ისე ჩანდა, რომ აღმოსავლეთმა უბრალოდ ბრძოლა შეწყვიტა. თანაც უეიდმა მიიღო ტრავმა. გარკვეული ხანი მოთამაშეები მოვალეობის მოხდის მიზნით იყვნენ მოედანზე. რაც არ უნდა იყოს, 17-ქულიანი სხვაობა დაღს ასვამდა შეხვედრის მიმდინარეობას.

მიუხედავად ამისა, ბოლო მეოთხედში ყველაფერი თავდაყირა დადგა. დასავლეთი მოდუნდა და პირველმა ეს **ამარე სტაუდმაიერმა** შეამჩნია. სწორედ „ნიუ იორკის“ ლიდერმა (სხვათა შორის, ამარე „ოლ სტარის“ პირველი მონაწილე იყო „ნიქსიდან“ **პატრიკ იუინგის** შემდეგ!) ზედიზედ რამდენიმე ბურთი ჩააგდო, რის შემდეგაც მას ლებრონი წამოეხმარა. „მაიამის“ ფორვარდმა დროულად დაიჭირა რიტმი და თანდათან დაიწყო სხვაობის შემცირება. საბოლოოდ, ასეთმა აქტიურობამ ჯეიმსს სამმაგი დუბლი მოუტანა.

კობისა და ლებრონის
დიდი დუელი

უორენ ბიტი და მისი ვაჟი ბენჯამინი

საფინალო სირენამდე ორწუთნახევრით ადრე ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. სანამ აღმოსავლეთის წევრები კობიზე ორმაგ მეურვეობას იყენებდნენ, ბრაიანტს დამხმარეებად დურანტი და **პაუ გასოლი** მოევლინენ. სწორედ მათმა ორქულიანებმა მოხსნა დაძაბულობა ბოლო წუთზე. მართალია, **რეი ალენის** სამქულიანით სხვაობა ისევ ორ ქულამდე დავიდა, მაგრამ აღმოსავლეთს ჯარიმების ტაქტიკაზე გადასვლამ მოუწია. **კრის პოლმა** და დურანტმა საჯარიმოს ხაზიდან არ ააცილეს და ნომინალურ სტუმრებს მატჩის გადარჩენის შანსი მოუსპეს.

დასავლეთი-აღმოსავლეთი 148:143

37:27, 39:37, 41:36, 31:43

დ: ბრაიანტი (37+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), დურანტი (34), გასოლი (17+7 მოხსნა), უესტბრუკი (12+5 მოხსნა), პოლი (10+7 პასი+5 ჩაჭრა), ენტონი (8+7 მოხსნა), გრიფინი (8+5 მოხსნა+5 პასი), ჯინობილი (7+5 პასი), ნოვიცკი (6+5 მოხსნა), დ. უილიამსი (5+7 პასი), ლავი (2), დანკანი (2).

ა: უეიმსი (29+12 მოხსნა+10 პასი), სტაუდმაიერი (29+6 მოხსნა), ბოში (14+5 მოხსნა), უეიდი (14), ალენი (12), როუზი (11+5 პასი), ჯონსონი (11+3 ჩაჭრა), რონდო (6+8 პასი), პირსი (6), ჰოვარდი (5+7 მოხსნა), გარნეტი (4+5 მოხსნა), ჰორფორდი (2).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ოლ სტარის რეკორდები

დასავლეთის გუნდიდან **კობი ბრაიანტმა** 37 ქულა დააგროვა, **კევინ დურანტმა** - 34. „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ისტორიაში მეორედ მოხდა, როცა ერთ გუნდში ორმა კალათბურთელმა 30 ქულაზე მეტი დააგროვა. პირველად ასეთ შემთხვევას 1977 წელს ჰქონდა ადგილი, როცა აღმოსავლეთის გუნდის წევრებმა - **ჯულიუს ირვინგმა** და **ბობ მაკადუმ** გადალახეს 30-ქულიანი ზღვარი.

■ ■ ■

კობი ბრაიანტი გუშინდელი მატჩის MVP გახდა. „ლეიკერსის“ ლიდერი ბოლო 44 წლის განმავლობაში მეშვიდე მოთამაშეა, ვინც საკუთარ არენაზე მოიპოვა საუკეთესო მოთამაშის ტიტული. მანამდე ეს შეძლეს: **ჯერი უესტმა** (1972, Great Western Forum), მაიკლ ჯორდანმა (1988, Chicago Stadium), **კარლ მელოუნმა** და **ჯონ სტოქტონმა** (1993, Delta Center), ორჯერ **შაკილ ო'ნილმა** (2004, STAPLES Center და 2009, US Airways Center).

■ ■ ■

ლებრონ ჯეიმსმა 29 ქულა, 12 მოხსნა და 10 პასი მიითვალა და მეორე მოთამაშე გახდა, ვინც „ოლ სტარის“ მატჩში სამმაგი დუბლი შეასრულა (პირველი იყო მაიკლ ჯორდანი 1997 წელს). ლებრონმა ზედიზედ ექვს მატჩში მინიმუმ 20 ქულა დააგროვა და ეს ყველაზე გრძელი სერიაა ამ შოუს ისტორიაში. მანამდე რეკორდი **ოსკარ რობერტსონს** ეკუთვნოდა, ვინც ზედიზედ ხუთ მატჩში აგროვებდა მინიმუმ 20 ქულას (1961-65).

■ ■ ■

ტიმ დანკანი და კობი ბრაიანტი მეთორმეტედ იყვნენ პარტნიორები „ყველა ვარსკვლავის მატჩში“. ესეც ერთგვარი რეკორდია. მანამდე 11-ჯერ გაუწიეს ერთმანეთს პარტნიორობა **დოლფ შეიესმა** და **ბობ კოუზიმ**.